# არსენალი

1425
2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

№19 (140). 16–29 სექტემბერი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.



რას გვიმზადეს კრემლი პანკისში?!

რუსული Су-27-ები აფხაზეთში ბრუნდებიან

რომელი ქართული შვეულმფრენი ჩამოვარდა ხევსურეთში...

რისთვის ეძებდა რუკაზე ჰიტლერი ჭიათურასა და ზესტაფონს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამერიკული რადარი თურქეთიდან ირანს დაზვერავს 8



ქართველი სამხედრო პილოტის საბედისწერო გაფრენა 39



წკიპურტები ნასერისათვის 35

ფაუსტპატრონები ბერლინის დაცვისას 30





წიგნი შინაგანი ჯარის საბრძოლო გზაზე 12

ჯავშანქილეტების რისხვა ბელგიურად



52

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**ვარაუდი**

7 საჰაერო დაზვერვა თუ მზადება სპეცოპერაციისთვის?

**სტრატეგიული გათვლა**

8 ამერიკული ანტისარაკეტო რადარი თურქეთში მაინც განთავსდება

**იუბილე**

12 წიგნი შინაგანი ჯარის საბრძოლო გზაზე

**საფრთხე**

15 Су-27-ები გუდაუთაში ისევ გამოჩნდნენ

**სპეცსამსახურების არქივებიდან**

17 სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

**რეგიონი**

20 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**ტაქტიკა**

22 მანევრი თანამედროვე ომებში

**ტერორისტული ორგანიზაციები**

25 „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ ფრანგული შავი სამყაროს მეფეები

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

30 ტანკები ბერლინის ოპერაციაში

**სპეცდანაყოფები**

35 წკიპურტები ნასერისათვის

**გახსენება**

39 ქართველი სამხედრო პილოტის საბედისწერო გაფრენა

**რეზერვისტის ჩანაწერები**

42 რა ხდებოდა რეზერვში

**შემთხვევა**

46 ხევსურეთში ჩამოვარდნილი ქართული შვეულმფრენი

**ომი და სამართალი**

47 კრიმინალური დანაშაულებები აფხაზეთის ომში

**100 დიდი მხედართმთავარი**

50 კლავდიუსი

**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**

52 ჯავშანჟილეტების რისხვა ბელგიურად


გარეკანზე მოდერნიზებული მრავალდანიშნულების F-16E

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

„არსენალის“ ამ ნომერს თან მოჰყვა ბროშურა „თუ ჯარში გაგიწვიეს“. მისი დაბეჭდვა იმან განაპირობა, რომ 18-დან 27 წლამდე ახალგაზრდების, ისევე როგორც მათი ოჯახის წევრების დიდმა ნაწილმა არ იცის ის უფლებები, რითაც სამხედრო-სავალდებულო სამსახურის წვევამდელები სარგებლობენ.

ეს ბროშურა შეიძლება იქცეს უბის წიგნაკადაც, რომელშიც ახალგაზრდები იპოვიან პასუხებს კითხვებზე: ვის იწვევენ ჯარში, გადაუვადდებათ თუ არა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლა სტუდენტებს, დედისერთებს და ა.შ.

„არსენალის“ ბიბლიოთეკის“ სერიით ჩვენ გავაგრძელებთ მკითხველისთვის საინტერესო საკითხებზე ბროშურების გამოცემას. „არსენალის“ ერთგული მკითხველი მათ უახლოეს მომავალში იხილავს.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
12.09.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისრაელის ახალი ჯავშანმანქანა აზერბაიჯანმა აღლუმზე უკვე გამოიყენა



ისრაელის სახმელეთო ჯარებმა შეიარაღებაში ახალი ჯავშანმანქანა Sufa-3 მიიღო. მომავალ ორ წელიწადში ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო სულ 500 ავტომობილს შეისყიდის. ჯავშანმანქანები მსუბუქად დაჯავშნულ, სამეთაურო-საშტაბო და სადაზვერვო ვარიანტებად აიწყობა.

ახალი ჯავშანმანქანა Jeep J8-ის ბაზაზეა შექმნილი და მასზე ავტოკონცერნ Chrysler-ისა და კომპანია Automotive Industries-ის ინჟინრები ისრაელის თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტებთან ერთობლივად მუშაობდნენ.

156-ცხენისძალიანი ძრავით აღჭურვილი Sufa-3 ხუთ კაცზეა გათვლილი. მისი ტვირთამწეობა 1053 კგ-ია, ხოლო სიჩქარე კი 130 კმ/სთ-ში.

ამ დროისთვის ისრაელის სახმელეთო ჯარების განკარგულებაში სხვადასხვა ვერსიის 700 დაჯავშნული მანქანა Sufa-1 და Sufa-2-ია.

# ლიტვურმა „ალბატროსმა“ და ფრანგულმა „მირაჟმა“ ცა ვერ გაიყვეს



ლიტვის სასწავლო-სამხედრო თვითმფრინავი L-39 Albatros-ი ბალტიისპირეთში NATO-ს საპატრულო მისიით მყოფ ფრანგულ ავიაგამანადგურებელ Miraje-ს შეეჯახა.

ავარია ლიტვის ჩრდილოეთით მდებარე ავიაბაზის ახლოს მოხდა, სადაც NATO-ს კონტინგენტის ნაწილია განთავსებული. ფრანგული გამანადგურებელი იმ დროს ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საჰაერო სივრცის გეგმურ პატრულირებას ასრულებდა.

შეჯახების შედეგად „მირაჟი“ დაზიანდა, მაგრამ პილოტმა ავიაგამანადგურებლის მიწაზე დაშვება მაინც შეძლო. ლიტვური თვითმფრინავის ეკიპაჟმა თავს კატაპულტირებით უშველა, საფრენი აპარატი კი ბაზის მახლობლად ტყიან მასივში ჩამოვარდა.

NATO-ს წევრი სახელმწიფოების ავიაგამანადგურებლები ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საჰაერო სივრცეს მორიგეობით 2004 წლიდან აკონტროლებენ. ბალტიისპირეთის ქვეყნებს ამის დამოუკიდებლად გაკეთება სათანადო ტექნიკისა და საშუალებათა უქონლობის გამო ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

„ალბატროსის“ ჩამოვარდნის ადგილი





# ხრახნფრთიანი უპილოტო „მოჩვენება“

კომპანია Israel Aerospace Industries-მა უპილოტო საფრენი აპარატი Ghost-ი („მოჩვენება“) წარმოადგინა. მოდელი „მოძმეთაგან“ უხმაურობით გამოირჩევა და მისი გამოყენება სადაზვერვო საქმიანობისთვისაა მიზანშეწონილი.

აპარატი 1,5 მეტრი სიგრძისაა, 4 კილოგრამს იწონის და ორი ხრახნითაა აღჭურვილი. მას ვერტიკალური აფრენა შეუძლია და მჭიდროდ დასახლებული პუნქტის პირობებისთვის ზედგამოჭრილია. ყველაფერთან ერთად „მოჩვენება“ საკმაოდ კომპაქტურია, რისი წყალობითაც მისი გადატანა ზურგჩანთითაც შეიძლება, ხოლო მართვა ნოუტბუკით ხორციელდება.

ჯაშუში-უპილოტოს ფრენის მაქსიმალური ხანგრძლივობა 6 საათია და 60 კმ/სთ-ში სიჩქარეს ავითარებს.

„მოჩვენების“ მართვის მაქსიმალური დისტანცია 4 კმ-ია.

# ვარდისფერი წყლის ჭავლი მომიტინგეთა დასაშლელად



უცნაური გადაწყვეტილება მიიღო უგანდის პოლიციამ, რომელმაც საპროტესტო აქციის ჩაახშობა... ვარდისფერი წყლის ჭავლით გადაწყვიტა.

მოქალაქეები ქუჩაში ცხრა კაცის მკვლელობას გმობდნენ, რომლებიც უგანდის პრეზიდენტისა და ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციის დარბევისას და[illegible]უპნენ. სწორედ ამ დროს სამართალდამცველებმა მსგავსი შემთხვევებისთვის მსოფლიოში აპრობირებულ საშუალებას მიმართეს – მომიტინგეების დაშლა წყლის ჭავლით გადაწყვიტეს, თუმცა რატომღაც ეს ვარდისფრად შეღებილი სითხით გადაწყვიტეს.

სავარაუდოდ, სამართალდამცველებმა ამ უცნაურ ხერხს აქციიდან გაქცეულ მომიტინგეთა ამოსაცნობად და თითო-თითოდ დასაკავებლად მიმართეს.

# საერთაშორისო მისიებში დაზარალებულ გერმანელ ჯარისკაცებს კომპენსაცია გაუორმაგეს

გერმანიის ხელისუფლებამ მიიღო კანონპროექტი, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ოპერაციებში დასახიჩრებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის კომპენსაციის ლამის ორჯერ გაზრდას ითვალისწინებს.

კანონპროექტის თანახმად, ერთჯერადი კომპენსაციის თანხა ჯარისკაცებისთვის, რომლებმაც მიღებული ჭრილობის შედეგად პროფესიული შრომისუნარიანობა 50%-ით დაკარგეს, ამიერიდან 150 ათას ევროს შეადგენს. აქამდე ეს თანხა მაქსიმუმ 80 ათას ევროს შეადგენდა.

ამჟამად საზღვარგარეთ ოპერაციებში ბუნდესვერის 7140 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს. მათგან 5167 კაცი ავღანეთში ISAF-ის სტაბილურობის დაცვის საერთაშორისო მისიაშია ჩართული, 1377 – კოსოვოში, 272 მოსამსახურე კი სომალის ნაპირებთან ევროკავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების მისიას ასრულებს. გერმანელი ჯარისკაცები ასევე დისლოცირებული არიან სუდანში, სამხრეთ სუდანში, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და ლიბანში.

# ახალ ტრასირებად ტყვიას მხოლოდ მსროლელი დაინახავს



ტრასირებადი ტყვია, რომელიც ფრენისას ანათებს, მეომარს ღამით მიზანში სროლას უადვილებს, თუმცა მის გამოყენებას ერთი მნიშვნელოვანი ნაკლიც აქვს –მოწინააღმდეგეც ხედავს, საიდან ისვრიან.

სწორედ ამიტომ ამერიკელებმა ახალი სახის ტრასირებად ტყვიებზე დაიწყეს მუშაობა, რომლის სინათლის კვალს მხოლოდ მსროლელი ხედავს. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილდება არა საწვავ ნივთიერებასა და პიროტექნიკურ მასალაზე, რომელსაც აქამდე იყენებდნენ, არამედ ფლუორესცენციულ ნივთიერებასა და სინათლის ქიმიურ წყაროზე, რომლის გააქტიურება გასროლისას მოხდება. რაც მთავარია, მანათობელი ნივთიერება ტყვიის უკანა ნაწილში ისე იქნება „ჩამალული", რომ სინათლე გვერდიდან არ გამოჩნდება.

ასეთი ტექნოლოგიით დამზადებულ ტყვიას კიდევ ერთი უპირატესობა ექნება, — ჩვეულებრივ ტრასირებად ტყვიას, როგორც წესი, ფრენისას პირომასალის წვის შედეგად მასა აკლდება, რაც ფრენის ბალისტიკაზეც აისახება. ახალი ტყვია კი ამისგან დაზღვეულია და სროლის სიზუსტეც გაუმჯობესებული ექნება.

# „უჩინარი ტანკი" უკვე რეალობაა

შვედმა ინჟინრებმა შექმნეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა ტანკი მოწინააღმდეგისთვის უჩინარი გახდეს. შვედების მიგნება ქამელეონის ეფექტზეა აგებული, რომელიც შეფერილობის გარემოსდა მიხედვით ცვალებადობას ითვალისწინებს.

ახალი ტექნოლოგიით შესაძლებელი მოძრავი საშუალების ინფრაწითელ დიაპაზონში გაუჩინარებაა. შესაბამისად, მოწინააღმდეგის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები, რომლებიც სითბური აღმოჩენისა და დამიზნების სისტემებითაა აღჭურვილი, ტანკს ვეღარ „დაინახავენ".

როგორც ირკვევა, ტანკის გაუჩინარების ეფექტი ექვსკუთხა ფირფიტებით მიიღწევა. ფირფიტები დამზადებულია სპეციალური მასალისგან, რომელიც ტემპერატურას სწრაფად იცვლის. მათ სათანადო ტემპერატურულ მონაცემებს კი ტანკზე დამონტაჟებული სკანერები გადასცემენ, რომლებიც გარემოზე ინფორმაციას გამუდმებით აგროვებენ. ყველაფერთან ერთად, სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მოწინააღმდეგეს ტანკი ჩვეულებრივ სამოქალაქო ავტომობილადაც „მოაჩვენო".



გამომგონებელთა თქმით, ჯავშანტექნიკისთვის განკუთვნილი „უჩინმაჩინის ქუდის" საბრძოლო მოქმედებებში გამოყენება ერთ-ორ წელიწადში შესაძლებელი იქნება.



საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი იარაღი: რობოტი-კამიკაძე თუ გონიერი ყუმბარა



სამხრეთ კორეისა და აშშ-ის არმიებში კარგა ხანია სამხედრო რობოტების ახალ ტიპზე მუშაობენ, რომელსაც დაზვერვის, განაღმვისა და მოწინააღმდეგის გასანადგურებლადაც გამოიყენებენ. მისი მთავარი თავისებურება მომცრო ზომები და გამძლე კორპუსია, რისი წყალობითაც, რობოტის გასროლა ჭურვის ან ყუმბარის მსგავსად შეიძლება.

სამხრეთკორეელთათვის ყუმბარა-რობოტზე შექმნაზე კომპანია Hanwha Corp-ი მუშაობს. მისი რობოტი მუხლუხით გადაადგილდება და 700 გრამს იწონის. ის რადიომიმღებით, ვიდეოკამერითა და ასაფეთქებელი მოწყობილობითაა აღჭურვილი. მთელი ეს კრებული ერთიანი კორპუსითაა დაცული და მისი გასროლა ყუმბარსატყორცნით 90 მ-მდე შეიძლება. შეიძლება ხელით გატყორცნაც.

ძირს დაცემისას რობოტი დამცავი კორპუსისგან თავისუფლდება და გადაადგილებას უკვე ოპერატორის მეშვეობით იწყებს.

„სასროლი რობოტის“ ამერიკულ ვარიანტზე კი ხმა გავრცელდა, რომ აშშ-ის კონტინგენტი ავღანეთში მას უკვე მოიხმარს. ლაპარაკია კომპანია iRobot-ის ორკილოგრამიან iRobot FirstLook-ზე, რომელიც 4,5 მ სიმაღლიდან ვარდნას უძლებს, 1 მ სიღრმეზე წყალში „ყვინთავს“ და 20 სმ სიმაღლის წინაღობის გადალახვას დამოუკიდებლად ახერხებს.

# არალეტალური იარაღი თურმე ტანკსაც სჭირდება

ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ასიმეტრიული ომის დროს ამერიკელთა არმია ხშირად რთულ ვითარებაში მძიმე ჯავშანტექნიკის გამოყენებას ვერ ახერხებდა. მაგალითად, მძლავრი გამანადგურებელი შეიარაღებით აღჭურვილი ტანკი ბლოკპოსტისკენ მიმავალ ავტობუსს თუ ააფეთქებდა, თორემ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. იგივე ითქმის მასობრივ არეულობებსა და უიარაღო ადამიანების აგრესიაზე, რის აღსაკვეთადაც ჩვეულებრივი შეიარაღებას გამოყენება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არაჰუმანურია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამერიკელი სამხედროები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მძიმე ჯავშანტექნიკის შეიარაღებაშიც საჭიროა არალეთალური საბრძოლო საშუალებები. ამ ზაფხულს უკვე დასრულდა M-98-ზე მუშაობა, რომლითაც ამერიკელები მძიმე ტექნიკასა და ჯავშანმანქანებს შეაიარაღებენ. ეს 66 მმ-იანი ჭურვია და მისი სროლა სტანდარტული ყუმბარსტყორცნით LVOSS-ით შეიძლება. ეს ყუმბარსატყორცნები ტანკების კოშკურებსა და ჯავშანმანქანების კორპუსებზეა განთავსებული. რაც შეეხება ჭურვს, ის 730 გრამს იწონის და ნეილონის და მუყაოსგანაა დამზადებული.

მისი სროლის სიშორე 150 მეტრია, აფეთქებისას კი მხოლოდ მძლავრ სინათლესა და ხმას (170 დბ) გამოსცემს. აფეთქება 10-15 მე რადიუსში მყოფ ადამიანებს სმენას უხშობს და მათ დეზორიენტაციას იწვევს.

ერთი სიტყვით, ახალი საბრძოლო საშუალება კარგი მიგნებაა უწესრიგობის აღსაკვეთად და ასევე სამოქალაქო სატრანსპორტო საშუალების გასაფრთხილებლად, რომელიც სხვა სიგნალზე არ რეაგირებს. რაც მთავარია, M-98 ადამიანის ჯანმრთელობას დიდად არ აზიანებს.



# ჯარისკაცებისთვის „გონიერი“ უნიფორმის შექმნაზე მუშაობა დაწყებულია

პენტაგონმა კონკურსი გამოაცხადა უნივერსალური ტანსაცმლის შექმნაზე, რომელიც ნებისმიერ ამინდში იქნება გამოსადეგი. ტანსაცმელი მფლობელს სიცხეში უნდა აგრილებდეს, სიცივეში ათბობდეს, თავსხმა წვიმაში კი წყალგაუმტარი უნდა იყოს. ასეთი უნიფორმა ერთ დიდ პრობლემას გადაჭრის — ამინდის კაპრიზების გათვალისწინებით, ჯარისკაცებს ზურგით ტანსაცმლის მთელი „გარდერობის“ თრევა უწევთ.

სამხედროები კომერციულ სტრუქტურებს ისეთი ქსოვილის შექმნას სთხოვენ, რომელიც ამინდის შესაბამისად შეიცვლის თვისებებს. ამასთან, მასალამ არა მხოლოდ გარემოს, არამედ სხეულის ტემპერატურაზე რეაგირებაც უნდა შეძლოს. მაგალითად, „გონიერმა“ სამოსმა დიდი ფიზიკური დატვირთვის დროს ჯარისკაცის სხეულიდან სითბოსა და ოფლის გამოდევნას მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი. უნივერსალურთან მიახლოებული ტანსაცმლის ვარიანტები უკვე არსებობს. როგორც წესი, ისინი დიდი და მძიმე ქურთუკის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც სხვადასხვა ქსოვილის რამდენიმე ფენა აქვს. ასეთი ფორმა გარდა იმისა, რომ მძიმე და მოუხერხებელია, საკმაოდ ძვირიცაა. სწორედ ამიტომ მკვლევართა მიზანი ისეთი ქსოვილის შექმნაა, რომელიც ყველა საჭირო ფუნქციას შეითავსებს და უნივერსალურ სამოსს მსუბუქს და გადაადგილებისას მოსახერხებელს გახდის.

ყველაფერთან ერთად, სამხედროებს სპეციფიკური მოთხოვნებიც აქვთ: „გონიერი“ ტანსაცმელი, სულ ცოტა, 20 გარეცხვას უნდა უძლებდეს, იყოს ჰიპოალერგიული და ინერტული გარემოსადმი. მაგალითად, არ უნდა რეაგირებდეს ჯავშანჟილეტის დეტალებზე, აღჭურვილობაზე და ა.შ. არაა აუცილებელი პირველივე მოდელი ცეცხლგამძლე იყოს — ამ მოთხოვნას მოგვიანებით უნივერსალური ტანსაცმლის მწარმოებლებს წაუყენებენ.

# საჰაერო დაზვერვა თუ მზადება სპეცოპერაციისთვის?



Ми-8АМТШ

„ვინ გამორიცხავს, რომ ამერიკელთა მიბაძვით, რუსული ГРУ-ს თუ ФСБ-ს სპეცდანაყოფებმაც არ გადმოსხან დესანტი იმ შვეულმფრენებიდან, რომლებსაც ჩეჩნეთიდან პანკისამდე მისაფრენად მხოლოდ ნახევარი საათი სჭირდებათ. თანაც ეს შვეულმფრენები ხეობების გავლით დაბალ სიმაღლეზე იფრენენ და ქართული რადიოლოკატორების მიერ მათი აღმოჩენა თითქმის შეუძლებელი იქნება“, — ეს არის ამონარიდი სტატიიდან „თუ ამერიკელებს შეუძლიათ?“, რომელიც ა. წ.-ის 10 ივნისის „არსენალში“ დაიბეჭდა.

7 სექტემბერს, გამთენიისას, ტანეს ხეობით სოფელ შატილის მახლობლად სამი Ми-8 ტიპის რუსული სამხედრო შვეულმფრენი შემოიჭრა საქართველოს საჰაერო სივრცის 3 კმ სიღრმეში და 15 წთ დასტრიალებდა თავს სასაზღვრო პოლიციის საგუშაგოს.

უკავშირდება თუ არა ეს „არსენალში“ სამი თვით ადრე გამოთქმულ ვარაუდს?

რუსეთის სამხედრო ავიაციას 2008 წლის ომამდეც არაერთხელ დაურღვევია საქართველოს სივრცე როგორც კონფლიქტის რეგიონებში, ისე შატილთან თუ პანკისის ხეობის ახლოს, მაგრამ ეს, ძირითადად, საჰაერო დაზვერვას ან ძალის დემონსტრირების ისახავდა მიზნად.

რა მიზეზი შეიძლება ჰქონოდა 2011 წლის 7 სექტემბრის ინციდენტს?

საჰაერო დაზვერვა ღამით და თანაც სამი შვეულმფრენის შესრულებით ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რადგან სამი საფრენი აპარატის დაფიქსირება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ერთის.

ამასთან, საჰაერო სივრცე, ქართველი მესაზღვრეების განმარტებით, Ми-8 ტიპის შვეულმფრენებმა დაარღვიეს. ამ ტიპის შვეულმფრენი უნივერსალური საფრენი აპარატია, შეუძლია როგორც საჰაერო დაზვერვა, ისე საჰაერო დარტყმის მიყენება (მის ექვს პილონზე საავიაციო ბომბები და უმართავი რაკეტების გასაშვები ბლოკებია დაკიდებული) და რაც მთავარია, დესანტის გადასხმაც.

„არსენალის“ ვარაუდით, 7 სექტემბერს, გამთენიისას, ქართულ ცაში შემოჭრილ რუსულ შვეულმფრენებში მედესანტეებიც ისხდნენ, რაც ამაგრებს ჩვენს სამი თვის წინანდელ ვარაუდს, რომ პაკისტანში ბინ ლადენის სალიკვიდაციო ამერიკული საჰაერო სპეცოპერაციის მიბაძვით რუსულმა სპეცსამსახურებმა შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით ანალოგიური ოპერაციის ჩატარება სცადონ, თუნდაც იმავე პანკისის ხეობაში, რისთვისაც სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებს გამოიყენებენ.

გვინდა გაგახსენოთ „არსენალის“ კიდევ ერთი სტატია „თანამედროვე რუსული ავიაცია საქართველოს საზღვრებთან“, რომელიც ა. წ.-ის 24 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა.

ამ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ 2010 წელს ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ კი ბუდიონოვსკისა და კორენოვსკის საჰაერო ბაზებში, განთავსდა 22 მოდერნიზებული სატრანსპორტო-მოიერიშე შვეულმფრენი Ми-8АМТШ, რომელთა რიცხვი, სავარაუდოდ, გაიზრდება.

Ми-8АМТШ-ს, რომელსაც „ტერმინატორსაც“ უწოდებენ, შეუძლია როგორც შეიარაღების წაღება (Inehv-ის ტიპის 8 ცალი მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა ან 80 უმართავი რაკეტა ოთხ ბლოკში, ან ორი 23 მმ-იანი საავიაციო ქვემეხი ჩამოსაკიდ კონტეინერში), ისე სრულად აღჭურვილი 26 მედესანტის გადაყვანა.

ამ შვეულმფრენებზე დაყენებულია მეტეორადიოლოკატორი, თანამგზავრული ნავიგაციის სისტემა, ინფრაწითელ დიაპაზონში ხედვის აპარატურა, ხოლო პილოტები ღამის ხედვის მოწყობილობებს იყენებენ.

ის გარემოება, რომ საქართველოს საჰაერო სივრცე ღამით დაარღვიეს და შვეულმფრენები ხეობის გაყოლებით დაბალ სიმაღლეზე შემოფრინდნენ, უნდა მიუთითებდეს, რომ რუსმა სამხედროებმა სწორედ Ми-8АМТШ-ები გამოიყენეს, რადგან ზემოხსენებული აპარატურის გარეშე ღამით ხეობებში მხოლოდ თვითმკვლელი თუ იფრენს.

რა შეიძლება ყოფილიყო საჰაერო შემოჭრის მიზანი?

ერთ-ერთი ვერსიით, შეიძლება რუსული სპეცდანაყოფები კვალში ედგნენ რომელიმე ჩრდილოკავკასიურ შეიარაღებულ ჯგუფს და ამ დევნაში შემთხვევით 3 კმ-ით შემოიჭრნენ ქართულ ცაში.

თუმცა ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება Ми-8АМТШ-ის ბორტზე დაყენებული თანამგზავრული ნავიგაციის სისტემის შესაძლებლობა, რომელიც სულ რამდენიმემეტრიანი ცდომილებით განსაზღვრავს შვეულმფრენის ადგილმდებარეობას და 3 კმ-ით შეცდომა წარმოუდგენელია.

ამასთან, თუკი რუსული შვეულმფრენები 15 წთ-ის განმავლობაში დასტრიალებდნენ ჩვენს სასაზღვრო საგუშაგოს, მაშინ მასზე აღმართული საქართველოს სახელმწიფო დროშასაც შეამჩნევდნენ.

„არსენალის“ ვარაუდით, ქართული საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომაც გაგრძელდა და თანაც არა მარტო კონფლიქტის ზონებში, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები შეზღუდულია (ყველა ხეობაში რადიოლოკატორს ვერ დააყენებ), რუსული შვეულმფრენების შემოფრენა ხეობებიდან უმეტესად დაუფიქსირებელი რჩება. სამ რუსულ Ми-8АМТШ-ს (რომელთა ფრენის მანძილი 610 კმ-ია) თავისუფლად შეძლოთ ღამით, ხეობის გაყოლებით მიფრენილიყვნენ პანკისამდე და დაახლოებით 70 კარგად შეიარაღებული სპეცრაზმელი გადაესვათ.

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამერიკული ანტისარაკეტო რადარი თურქეთში მაინც განთავსდება

## რამდენიმეწლიანი პოლიტიკური ვაჭრობის შემდეგ ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის მძლავრი რადიოლოკაციური სადგურის თურქეთში განთავსებაზე ანკარა დათანხმდა

ბოლო ორი წლის განმავლობაში არ წყდებოდა პოლიტიკური ვაჭრობა ევროპაში ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის ერთ-ერთი კომპონენტის — ბალისტიკური რაკეტების სტარტის აღმომჩენი მძლავრი ფაზირებულანტენიანი რადიოლოკატორის განთავსების ადგილზე.

ბუში-უმცროსის პრეზიდენტობის დროს პრობლემა გადაწყვეტილი ჩანდა — 10 ანტირაკეტა — პოლონეთში, რადარი კი ჩეხეთში უნდა განთავსებულიყო; ოფიციალური ვარშავაც და პრაღაც თანახმა იყვნენ, მაგრამ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ობამამ ყველაფერი შეცვალა.

ბუშის დროინდელი გეგმა შეიცვალა და ევროპაში ამერიკული ანტისარაკეტო თავდაცვის კომპონენტების განთავსებაში წამყვანი ადგილი ხმელთაშუა



თურქეთში განთავსებული რადარიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით ხმელთაშუა ზღვაში მცურავი Aegis სისტემით აღჭურვილი სამხედრო ხომალდები SM-3 ტიპის ანტირაკეტებით მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების ჩამოგდებას შეეცდებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაში მოდრეიფე Aegis-ის (საბრძოლო მართვის სახომალდე მრავალფუნქციური სისტემა) სისტემით აღჭურვილ იმ სარაკეტო კრეისერებსა და საესკადრო ნაღმოსნებს მიენიჭა, რომლებიც SM-3 Standard-ის ტიპის ანტირაკეტებით იყვნენ შეიარაღებული. შესაბამისად, აღარ იყო იმის აუცილებლობა, რომ რადარი ჩეხეთში დამონტაჟებულიყო. საჭირო გახდა მძლავრი რადიოლოკაციური სადგურის უფრო წინა პოზიციაზე (ირანთან ახლოს) განთავსება.

იმ რადარის სახელწოდება, რომლითაც პენტაგონს სურს დროულად დააფიქსიროს სავარაუდო მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების სტარტი, AN/TPY-2-ია. ის ე.წ. X-დიაპაზონში მოქმედებს და 2 ათასი კმ სიშორეზე შეუძლია ჩოგბურთის ბურთისხელა მეტალის ნივთის აღმოჩენა ცაში.

ეს რადარი თავიდანვე იქმნებოდა როგორც THAAD-ის (საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტების ატმოსფეროს ზემოთ გზაგადამჭრელი სახმელეთო ბაზირების მობილური ანტისარაკეტო კომპლექსი) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ სანამ ამ ძვირად ღირებულ ანტისარაკეტო სისტემას პენტაგონი „ჭკუაზე მოიყვანს“, X-ს დიაპაზონში მომუშავე რადარები გამოდგებიან მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების სტარტის შესახებ ინფორმაციის გადასაცემად ხმელთაშუა ზღვაში (და ვინ იცის, შეიძლება უახლოეს მომავალში, შავ ზღვაში) მოდრეიფე ანტირაკეტებით აღჭურვილი კრეისერებისთვის, რათა მათ მოასწრონ ანტირაკეტების დროულად გაშვება.

მკითხველს დააინტერესებს, რატომ ეწინააღმდეგებოდა ანკარა NATO-ელ პარტნიორს ამ რადარის თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებაში.

ოფიციალური ანკარის კატეგორიული მოთხოვნა გახლდათ, რომ თურქეთში ამ რადარის ამუშავების შემდეგ მის მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია არავითარ შემთხვევაში არ გადასცემოდა ისრაელს.

სამიოდე წლის წინ ეს პრობლემა არც დადგებოდა, რადგან თურქეთ-ისრაელის თანამშრომლობა სამხედრო და სადაზვერვო სფეროში უმაღლეს დონეზე იყო ასული — ებრაელები თურქულ სამხედრო ტექნიკას მოდერნიზებას უტარებდნენ, ანკარა ისრაელის უპილოტო სადაზვერვო საფრენ აპარატებს ყიდულობდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების პილოტები საბრძოლო

**ჩვენი დოსიე:** ირანის ისლამური რესპუბლიკის შეიარაღებაში სხვადასხვა კლასისა და ტიპის რაკეტებია, მათ შორის — ბალისტიკურიც. Shihab-1-ტიპის ბალისტიკური რაკეტების მოქმედების რადიუსი 300 კმ-მდეა, Shihab-2-ის — 700 კმ-მდე, ხოლო Shihab-3-ისა — 150 კმ-მდე. ამ უკანასკნელს ირანიდან ისრაელის ტერიტორიამდე მიღწევაც შეუძლია. ირანელი სპეციალისტები მუშაობენ Shihab-4 ტიპის საშუალო სიშორის მქონე ბალისტიკური რაკეტების დახვეწაზე, რომლებსაც ფრენა უკვე 2000 კმ-მდე შეეძლებათ და ირანიდან NATO-ს წევრ საბერძნეთს, ბულგარეთს, რუმინეთსა და პოლონეთსაც კი მისწვდებიან. Shihab-5 და Shihab-6 ტიპის რაკეტები საკონტინენტშორისო კლასის იქნება და მათი მოქმედების რადიუსში (შესაბამისად, 4000 და 6400 კმ) მთელი ევროპა მოხვდება. 10 ათას კმ სიშორეზე მფრენი საკონტინენტშორისო ბალისტიკური რაკეტებით კი ირანელები ნიუ-იორკამდე და ვაშინგტონამდეც მიაღწევენ.



ირანული ბალისტიკური რაკეტის სტარტი მობილური გასაშვები დანადგარიდან



AN/TPY-2 ტიპის რადარიდან აღმოჩენილი მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების ჩამოგდება THAAD-ის (ზედა სურათი) სისტემის ანტისარაკეტო დანადგარებსაც დაეკისრება



**ჩვენი დოსიე:** თითოეული ამერიკული რადარის AN/TPY-2-ის ღირებულება 200-300 მლნ დოლარის ფარგლებში მერყეობს. 2007 წელს აშშ-ის ანტისარაკეტო თავდაცვის სააგენტომ კომპანია Raytheon-ს ხუთი რადარი შეუკვეთა. პირველი რადარი 2006 წელს ამერიკელებმა იაპონიაში დაამონტაჟეს და მისი საშუალებით აკონტროლებენ ჩრდილო კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების საგამოცდო სტარტებს. მეორე რადარი პენტაგონმა ისრაელის სამხედრო ბაზაში განათავსა 2008 წელს, მესამე რადარის დაყენებას კი თურქეთში აპირებენ.

მომზადებას თურქეთის საჰაერო სივრცეშიც კი გადიოდნენ.

იდილია დაარღვია ისრაელის სპეცდანიშნულების რაზმების ძალისმიერმა მოქმედებებმა ღაზის სექტორისკენ მიმავალი „თავისუფლების ფლოტილიაზე“, რასაც თურქეთის რამდენიმე მოქალაქე შეეწირა.

ანკარა დღესაც ითხოვს ისრაელისგან მობოდიშებას, მაგრამ ამაოდ, რასაც ელჩების გაწვევა მოჰყვა და ვითარება ამ ორი დიდი სამხედრო შესაძლებლობების მქონე ქვეყანას შორის უკიდურესად იძაბება.

თურქეთის მხარის ულტიმატუმმა, რადარის მიერ მიღებული ინფორმაცია არ გადასცემოდა ისრაელს, ამერიკელ კონგრესმენთა ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია და საქმე იქამდეც მივიდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტს ამ რადარის თურქეთის ნაცვლად საქართველოში განთავსება შესთავაზეს.

ტაქტიკური თვალსაზრისით შეიძლება პენტაგონისთვის წამგებიანი არ ყოფილიყო საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში X-დიაპაზონში მომუშავე მძლავრი მობილური რადიოლოკაციური სადგურის დაყენება, რადგან ირანის საჰაერო სივრცის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გაკონტროლება შეიძლებოდა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არ მოხდა. მაშინ, როდესაც პრეზიდენტ ობამას კრემლთან „გადატვირთვის“ პროგრამა აქვს დაწყებული, იგი საქართველოს გამო კიდევ ერთხელ არ გაიფუჭებს საქმეს რუსეთთან.

სიმართლე ითქვას, AN/TPY-2 ტი-

პის ფაზირებულანტენიანი რადიოლოკატორის საქართველოში, კერძოდ კი მის აღმოსავლეთ ნაწილში, განთავსების შემთხვევაშიც ქართული ცის კონტროლი ბევრად არც გაძლიერდებოდა. საქმე ის არის, რომ ეს ანტისარაკეტო რადიოლოკატორი წრიულად არ ბრუნავს და მხოლოდ ერთ გარკვეულ სექტორს „უყურებს“. ამერიკელთა ინტერესში, ბუნებრივია, იქნება, რომ ამ რადარს სულ სამხრეთით, ირანის მიმართულებით გამოესხივებინა რადიოტალღები. იგი „ზურგშექცეული“ აღმოჩნდებოდა ჩრდილოეთის, რუსეთის მხარეს, ანუ იმ მიმართულებაზე, საიდანაც ყოველთვის გვესხმოდნენ თავს საჰაერო აგრესორები.

ერთი თვის წინ ანკარას ოფიციალურად სტუმრობდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი. სავარაუდოდ, სწორედ ჰილარი კლინტონმა დაარწმუნა თურქები, რომ სრულიად არ იყო საჭირო რადარის მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის ისრაელისთვის მიწოდება, რადგან ანალოგიური რადარი ამერიკელებმა ისრაელში ჯერ კიდევ 2008 წელს აამუშავეს.

მართალია, ანკარა დათანხმდა, მაგრამ თურქი სამხედროები, ალბათ, ხვდებიან, რომ ისრაელის სამხედრო ბაზაში სამი წლის წინ დამონტაჟებული ამერიკული ანტისარაკეტო რადარი მხოლოდ განსაზღვრულ სექტორს აკონტროლებს ირანის მიმართულებით, ხოლო თურქეთის აღმოსავლეთით განთავსებულ რადარს ხედვის სხვა სექტორი ექნება. შეიძლება ამ ორი რადარის სექტორების ნაწილის გადაფარვა მოხდეს, მაგრამ ისრაელის დაზვერვას ყოველთვის დააინტერესებს თურქეთის აღმოსავლეთიდან ამერიკული რადარის მიერ დანახული ირანის საჰაერო სივრცეში არსებული ოპერატიული ინფორმაცია.

ამიტომაც ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ რადარების თემა კვლავ აქტუალური გახდეს (მით უმეტეს, თუკი თურქეთ-ისრაელის შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბება) და ოფიციალურმა ანკარამ ამერიკელებს ბრალი დასდო მის ტერიტორიაზე განთავსებული რადარიდან ინფორმაციის ისრაელისთვის მიწოდებაზე.

ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ისრაელისა და თურქეთის შემდეგ ანალოგიური რადარის დაყენება პენტაგონს საქართველოს ან აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც უნდა დასჭირდეს, რადგან ეს სამივე რადიოლოკატორი ხედვის სექტორებით მუდმივად გააკონტროლებს ირანის საჰაერო სივრცის დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, ანუ სწორედ იმ საშიშ მიმართულებებს, საიდანაც საშუალო სიშორის ირანულმა ბალისტიკურმა რაკეტებმა შეიძლება მომავალში იერიში მიიტანონ ევროპაზე, ხოლო უფრო შორეულ პერსპექტივაში კი საკონტინენტშორისო ბალისტიკური რაკეტებით თვით ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე.

**ირაკლი ალადაშვილი**

**ჩვენი დოსიე:** როგორც მოსალოდნელი იყო, კრემლმა გააპროტესტა თურქეთში ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის ერთ-ერთი კომპონენტის — მძლავრი, ფაზირებულანტენიანი რადიოლოკაციური სადგურის 2011 წლის ბოლომდე განთავსებაზე ვაშინგტონისა და ანკარის შეთანხმება. თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში რადარის დამონტაჟების შემთხვევაში მისი ხედვის სექტორში, ძირითადად, ირანის საჰაერო სივრცის დასავლეთი ნაწილი აღმოჩნდება და არა რუსეთის ცა. ამიტომაც ერთ შეხედვით კრემლს პროტესტის საბაბი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ თურქეთის აღმოსავლეთიდან ამერიკული რადარის კონტროლის სექტორის ზედა ნაწილში მოხვდება სამხრეთ კავკასიის ქვედა მხარე, სომხეთის ჩათვლით, სადაც რუსეთის გიუმრის სამხედრო ბაზაა დისლოცირებული, რაც ამერიკელებს და შესაბამისად, თურქებს, საშუალებას მისცემს აკონტროლონ საჰაერო სივრცე სომხეთის თავზე და ოპერატიულად დააფიქსირონ რუსული სამხედრო ბაზის აქტიურობა, მათ შორის ერევან-იუჟნის აეროდრომზე ბაზირებული 18 რუსული МиГ-29 ტიპის გამანადგურებლის ფრენა.

ერევან-იუჟნის (ერებუნის) სამხედრო აეროდრომიდან რუსული МиГ-29 ტიპის გამანადგურებლის აფრენის მომენტი



# წიგნი შინაგანი ჯარის საბრძოლო გზაზე




20 წლის წინ, 1991 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა განკარგულებას შინაგანი ჯარის შექმნაზე და იმავე წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად მილიციის პოლკოვნიკი ჯონდო ტაბატაძე დაინიშნა.

სწრაფად შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელმაც შეიმუშავა შინაგანი ჯარის დებულება, სტრუქტურა, საშტატო განრიგი და დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცა.

დებულების თანახმად, შინაგანი ჯარის დანიშნულება იყო პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვა, ბრძოლა დანაშაულსა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან.

ახალი ფორმირების ამოცანებში შევიდა:

— რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისათვის დახმარება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში;

— ორგანიზებულ დანაშაულებთან, ტერორისტულ და დივერსიულ ჯგუფებთან ბრძოლა;

— განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ობიექტების დაცვა და სპეციალური ტვირთების გადაზიდვისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

— სისხლის სამართლის სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაცვა. მსჯავრდადებულ და დაპატიმრებულ პირთა ბადრაგირება, განსასჯელთა უზენაესი სასამართლოს პროცესებზე დაცვა;

— საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში მონაწილეობა;

შინაგან ჯარში დაიგეგმა ოპერატიული, საპატრულო, სპეცდანიშნულების, სასწავლო, სწრაფი რეაგირების, საგანგებო დანიშნულების დანაყოფების, აგრეთვე სოხუმის, ცხინვალის, ბათუმის ბატალიონების, ავიაესკადრილიისა და საკომენდანტო ასეულის ჩამოყალიბება.

პირველი რიგის საკითხებში საბადრაგო სამსახურის გამართვა დადგა, რადგან 1991 წლის შემოდგომაზე რუსული საბადრაგო პოლკი საქართველოს ტოვებდა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 2 ათასამდე მსჯავრდადებული დაცვის გარეშე რჩებოდა.

იმავდროულად, საჭირო იყო პოსტსაბჭოური სივრცის სხვადასხვა ქვეყნიდან ქართველი პატიმრების გადმოყვანა და განაწილება. შინაგანმა ჯარმა 1991 წლის 16 ოქტომბერს პირველად სპეცდანიშნულების (საბადრაგო) პოლკის საშტატო-საორგანიზაციაო სტრუქტურა მიიღო. მას მოჰყვა საპატრულო პოლკი, 1-ელი ოპერატიული ბრიგადა და ა.შ.

ნოემბრიდან დანაყოფების ფორმირება ყოფილი საბჭოთა შინაგანი ჯარის 69-ე საბადრაგო დივიზიის ნაწილების დისლოკაციის ადგილებზე დაიწყო.

რუსები საქართველოს ტოვებდნენ და მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა, ხოლო შენობა-ნაგებობებსა და ინვენტარს აზიანებდნენ.

ნოემბრის ბოლოს ახალშექმნილი შინაგანი ჯარის ქვედანაყოფებმა ახალწვეულები მიიღეს. ჯარისკაცებს აკლდათ უნიფორმა, ეკიპირების საგნები, საწოლ-სადგამები, საკვები, მედიკამენტები, მაგრამ პატრიოტიზმის გრძნობა ყველა სიძნელეს სძლევდა.

პირველი გაწვევის ბევრი ჯარისკაცი მაშინ მორგებულ სამხედრო ფორმას ვეღარ შეელია და დღესაც სამშობლოს ემსახურებიან ვიცე-პოლკოვნიკები როინ გიგიაძე და ვეფხია ჩალაბაშვილი, კაპიტანი პაატა გრიგალაშვილი და სხვები.

მწირი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პირობებში შინაგანი ჯარი ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდებოდა და ბრძოლისუნარიანობას იმაღლებდა, თუმცა ქვეყანაში დაწყებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ ფორმირების პროცესზე უარყოფითად იმოქმედა.

1993 წლის 24 მარტიდან შინაგანი ჯარის სარდლად პოლკოვნიკი გელა ლანჩავა დაინიშნა და მისი დიდი მონდომებით მაისის ბოლოს შინაგან ჯარში დაახლოებით 6 ათას 500 სამხედრო მსახურობდა.

საუკეთესო შენაერთად 1-ელი ოპერატიული ბრიგადა ითვლებოდა, რომლის I ბატალიონი БРДМ-ებით, II — БПГ-ებით და III — ხუთი ტანკით იყო აღჭურვილი. ბრიგადას საარტილერიო დივიზიონიც ჰყავდა.

საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენელმა ნაწილმა — შინაგანმა ჯარმა ქვეყნის ერთიანობისთვის წარმოებულ ომებში მხედრული მოვალეობა პირნათლად მოიხადა.

შინაგანი ჯარის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ ცხინვალის რეგიონსა (1992 წლის 16 ივნისი — 30 ნოემბერი) და აფხაზეთში მიმდინარე (1992 წლის 14 აგვისტო 1993 წლის სექტემბრის ბოლო) ომებში.

პოლკოვნიკი ბიჭიკო კანდელაკი: „ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ სტაბილიზაციის პირველი ნიშნები გამოჩნდა, მაგრამ იყო ძალები, რომლებსაც ქართველებსა და ოსებს შორის ძველ ურთიერთობის აღდგენა არ სურდათ და ამ პროცესის ჩასაშლელად სისხლიან პროვოკაციებს მიმართავდნენ.

1992 წლის 13 აგვისტოს საღამოს სოფელ ნიქოზში განლაგებული სამშვიდობო ასეულის შტაბიდან სატვირთო ავტომობილი „ურალით“ მიემართებოდნენ შინაგანი ჯარის საპატრულო პოლკის სამხედრო მოსამსახურეები, ლეიტენანტი ვეფხია ბიჩინაშვილი და რიგითები ბეგლარ ბირთველიშვილი, ზურაბ ბირთველიშვილი, ზაზა ბუზალაძე, კობა სოიტაშვილი და გელა ფარესტაშვილი.

სოფელ მუგუთთან ოსების შეიარაღებულმა ჯგუფმა „ურალს“ ცეცხლი გაუხსნა. შემდეგ დაჭრილი ქართველი მშვიდობისმყოფელები ტყვედ აიყვანეს, სასტიკად აწამეს და სოფელ ავნევის თავზე ყანაში დახვრიტეს.

ბანდიტებმა არც შემთხვევის შემსწრე გლეხი დაინდვეს და ისიც სიცოცხლეს გამოასალმეს.

ასე მუხანათურად და დაუნდობლად გაუსწორდნენ ამ ჯარისკაცებს, ვინც რეგიონში მშვიდობის დამყარების საქმეს კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ“.

ბევრად მეტი მსხვერპლი გაიღო შინაგანმა ჯარმა აფხაზეთის ომში. თითქმის ყველა მნიშვნელოვან ოპერაციასა თუ ბრძოლაში ყოველთვის შინაგანი ჯარის რომელიმე ქვედანაყოფი მონაწილეობდა.

1993 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში სოფელ ახალდაბის რაიონში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ქართული დაჯგუფება გენერალ-მაიორ გუჯარ ყურაშვილის მეთაურობით მოწინააღმდეგის პოზიციების გარღვევასა და ალყაშემორტყმულ სოხუმში შეღწევას ცდილობდა.

ტყვარჩელის მიმართულებაზე ყურადღების გადასატანად და ამ გზით ახალდაბის რაიონში მოწინააღმდეგის ძალების შესამცირებლად გენერალ ყურაშვილის ბრძანებით ტყვარჩელისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზის დანაღმვა და სოფელ არაკვიჩთან ჩასაფრება დაიგეგმა. დავალების შესასრულებლად შინაგანი ჯარის 1-ელი ოპერატიული ბრიგადისა და თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის 118-ე ბატალიონის მებრძოლებისგან გაერთიანებული რაზმი გამოიყო.

1-ელი ოპერატიული ბრიგადის რიგითი ვახტანგ რამაზაშვილი: „სოფლის გადასახვევთან წითელ „ჟიგულს“ ვაკვირდებოდით, როცა მოულოდნელად ერთ-ერთი ეზოდან აშკარად ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი გამოვიდა.

ქართულად შევეხმიანე, მან კი იარაღზე წაივლო ხელი, მაგრამ გასროლა ვერ მოასწრო. მას ქართლოს მეყანწიშვილმა РПГ-7-ით დაასწრო.

რამდენიმე წუთში ტყვარჩელის მხრიდან სატვირთო ავტომობილის ხმა გავიგონეთ და შესახვედრად მოვემზადეთ.

ყუმბარმტყორცნელების — ქართლოს მეყანწიშვილის, დავით სვეტაძის და მალხაზ ნოზაძის ზუსტი გასროლებითა და რაზმის სხვა წევრების ავტომატების ცეცხლით „კამაზს“ ცეცხლი მოედო და შიგ მყოფი მებრძოლები განადგურდნენ.

სროლა შეწყდა და ჩვენდა გასაკვირად სატვირთო ავტომობილის კა-

1993 წლის 26 მაისის აღლუმის მონაწილე შინაგანი ჯარის ჯავშანტექნიკა





1992 წ. ცხინვალის რეგიონი — სამშვიდობო ძალების შინაგანი ჯარის მე-3 ქართული ბატალიონის მე-3 ასეული



აფხაზეთის ომი — პოზიცია მდინარე გუმისთას სანაპიროზე

ბინიდან თავში დაჭრილი ერთადერთი გადარჩენილი გადმოვიდა. მან სროლა დააპირა, მაგრამ მალხაზ ნოზაძემ არ დააცალა.

მოკლული გავჩხრიკეთ. მას პოლკოვნიკ ანატოლი ლებედზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი აღმოაჩნდა. რუსეთის არმიის ოფიცრები რომ სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ, ვიცოდით და ეს შემთხვევაც ამის დამადასტურებელი მაგალითი იყო.

ცოტა ხანში ჩვენს რაზმს მოწინააღმდეგის T-55 მებრძოლების ჯგუფთან ერთად მოადგა. ვალერი კაცაძე ყუმბარსატყორცნით ტანკს წინ გადაუდგა და ორივემ თითქმის ერთდროულად გაისროლა.

ვხედავდით, ტანკი როგორ აფეთქდა და მასზე შემომსხდარი მებრძოლები აქეთ-იქით მოისროლა. ჩვენი მხრიდან ვალერი კაცაძე და კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი დაიჭრა".

შინაგანი ჯარი მონაწილეობდა 1998 წლის მაისის გალის მოვლენებშიც, 2004 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში დაწყებულ საბრძოლო მოქმედებებში და ა.შ..

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მიმდინარე ბრძოლებში შინაგანი ჯარის 203 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და ბევრად მეტი დაიჭრა. არიან დაინვალიდებულებიც.

შინაგანი ჯარის ბოლო სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ გოგი თათუხაშვილის ინიციატივითა და უამრავი ადამიანის მონდომებით მოხერხდა შინაგანი ჯარის წარსულის თითოეული ფურცლისა თუ საბრძოლო ეპიზოდის აღდგენა, რაც საფუძვლად დაედო წიგნს „მეწამული ბერეტები სამშობლოს სადარაჯოზე".

წიგნში ასეულობით ეპიზოდთან ერთად დაახლოებით ათი ათასზე მეტი პირია ნახსენები.

წიგნი დაღუპულ მებრძოლებს უკვდავყოფს და სამშობლოს წინაშე მათ თავდადებას სათანადო პატივს მიაგებს.

წიგნის პრეზენტაცია 11 სექტემბერს საქართველოს ეროვნული არქივის შენობაში შედგა, ხოლო 12-18 სექტემბერს ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მდებარე პროფკავშირების სასახლეში (ყოფილი შინაგანი ჯარის შტაბი) წიგნის ცალკეული გვერდები გამოიფინა.

მნახველს საშუალება ჰქონდა თავისი ახლობლის შესახებ არსებულ ინფორმაციას გაეცნოს ან დამატებით ინფორმაცია მიაწოდოს.

ცვლილებების შეტანის შემდეგ წიგნის I ტომი დასრულებულ, საბოლოო სახეს მიიღებს და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

**თემურ ჩაჩანიძე**

# Су-27-ები გუდაუთაში ისევ გამოჩნდნენ




რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ უკვე სამმა წელმა განვლო და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. რუსებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფეხი მყარად მოიკიდეს და სამხედრო ბაზებიც ააშენეს.

ცხინვალის რეგიონთან შედარებით, რუსები უფრო აფხაზეთში აქტიურობენ. აქ რუსებმა ტექნიკის შემოყვანა ომის დასრულებისთანავე დაიწყეს. თანდათანობით რუსმა ოკუპანტებმა რეგიონში მედესანტეები, ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსები, Т-90-ის ტიპის ტანკები შემოიყვანეს და С-300-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემებიც მოაყოლეს. აფხაზეთის პორტებში კი რუსულმა სანაპირო დაცვის კატარღებმა დაიდო ბინა.

როგორც აღმოჩნდა, რუსებმა აფხაზეთში საბრძოლო თვითმფრინავებიც განათავსეს. არც ისე დიდი ხნის წინ ინტერნეტში ორი ფოტოსურათი გავრცელდა. მათზე Су-27-ის ტიპის ორი გამანადგურებელია ასახული, საბორტე ნომრებით „03“ და „23“.

ორივე ფოტო გუდაუთის სამხედრო აეროდრომზეა გადაღებული. ჩანს, ტანკებისა და საზენიტო კომპლექსების შემდეგ, რუსებმა აფხაზეთში სამხედრო ავიაციაც შეიყვანეს.

ისტორია მეორდება და 20 წლის შემდეგ Су-27-ები გუდაუთაში ისევ დაბრუნდნენ. საბჭოთა პერიოდში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შენაერთებს 34-ე საჰაერო არმია იცავდა. მისი შტაბი მაშინ თბილისში იყო, ხოლო არმიის შემადგენლობაში საქართველოში დისლოცირებული 3 საშტურმო... 

თველოში დისლოცირებული 3 საშვეულმფრენო და 8 საბრძოლო თვითმფრინავების პოლკი შედიოდა.

1982 წლამდე ავიაგამანადგურებელთა ერთ-ერთი, 171-ე პოლკი იმ დროს გუდაუთის სამხედრო აეროდრომზე ბაზირებდა. პოლკის განკარგულებაში Су-15ТМ-ისა და Як-28П-ს ტიპის გზაგადამჭრელები იყო.

1980 წლის ივნისამდე პოლკი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მე-14 კორპუსის შემადგენლობაში შედიოდა და აეროდრომის დატოვების შემდეგ ტექნიკა და პირადი შემადგენლობა 34-ე არმიის დაქვემდებარებაში გადავიდა.

80-იანი წლების ბოლოს გუდაუთაში, ბომბორის აეროდრომზე, გადავიდა 529-ე ავიაგამანადგურებელთა პოლკი, რომლის განკარგულებაში უკვე 34 ერ-

**ისტორია მეორდება — 20-წლიანი შესვენების შემდეგ რუსული გამანადგურებლები გუდაუთაში ისევ დაბრუნდნენ**



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ეს ფოტო გუდაუთაში 1980-იანი წლების დამლევს არის გადაღებული. 529-ე პოლკის პირადი შემადგენლობა საბრძოლო შემადგენლობა საბრძოლო ამოცანას ეცნობა**

თული თანამედროვე Су-27-ის ტიპის გამანადგურებელი იყო.

რამდენიმე მათგანი აფხაზეთის ომშიც მონაწილეობდა. 1993 წლის 19 მარტს, დილის 4 საათსა და 30 წუთზე, გუდაუთის სამხედრო აეროდრომიდან ქართული მოიერიშეებისთვის გზის გადასაჭრელად იმ პერიოდისთვის უახლესი Су-27СК აფრინდა (საბორტო ნომერი „11“), რომელსაც ბელორუსი მაიორი ვაცლავ შიპკო მართავდა.

1958 წელს დაბადებულმა შიპკომ 1980 წელს კაჩის მფრინავების უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და კრასნოდარის მფრინავების უმაღლესი საავიაციო სასწავლებლის პოლკში მფრინავ-ინსტრუქტორად დაინიშნა.

აფხაზეთის ცაში ეს მისი მე-15 საბრძოლო გაფრენა იყო. შიპკომ ვერ მოახერხა სამიზნის აღმოჩენა და ბაზაში დაბრუნების წინ უკანასკნელი რადიოშეტყობინება გადასცა — „სიმაღლე 800 მ, ღრუბლების ქვეშ ვარ, სამიზნე ვერ აღმოვაჩინე, ვუხვევ სიმაღლის აღებით“.

მაგრამ შიპკოს ბაზაში დაბრუნება არ ეწერა, მისი თვითმფრინავი მთას შეეჯახა, მაგრამ არ აფეთქებულა. ძლიერმა დარტყმამ მფრინავი კაბინიდან ამოაგდო და ის ადგილზევე გარდაიცვალა. მაშინდელ ტელეკადრებში კარგად ჩანს, თუ როგორ უკაკუნებს ჯოხს შევარდნაძე რუსული თვითმფრინავის ნარჩენებს. რუსმა სამხედროებმა კი დაიჯერეს, რომ თვითმფრინავი ქართული საზენიტო რაკეტის მსხვერპლი გახდა. სინამდვილეში ის არავის ჩამოუგდია, სავარაუდოდ, უამინდობის გამო მთას თავად შეეჯახა. ქართულმა სპეცსამსახურებმა კი ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ძრავასთან რაკეტის ფრაგმენტები დაყარეს.

გაურკვეველია, რა უნდოდა აფხაზეთში საექსპორტოდ შექმნილ თვითმფრინავს. ალბათ, რუსებს მისი გამოცდა რეალურ საბრძოლო მოქმედებებში სურდათ.

აფხაზეთში ახალგანთავსებული გამანადგურებლები უთუოდ იმსახურებს ყურადღებას. მართალია, ისინი გუშინ და გუშინწინ არ შექმნილა, მაგრამ დღემდე ანგარიშგასაწევი ძალაა.

**ალექსანდრე აფაქიძე**



**ბომბორაში ბაზირებად ორადგილიან Су-27-ებზე დელფინებს ახატებდნენ. (ფოტო მარჯვნივ) ზუსტად იგივე თვითმფრინავი საბორტო ნომრით „01“ ფოტოობიექტივმა თითქმის 20 წლის შემდეგ რუსეთის ერთ-ერთ ავიასარემონტო ქარხანაში დააფიქსირა (ფოტო ქვემოთ)**



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-18, 2011)



# სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

„ბერიას დოკუმენტი“ 1940 წლის ნოემბრის დასაწყისშია მომზადებული, თუმცა მითითებულია, რომ „ომერი“ ჯერ კიდევ სექტემბერში დაუკავშირდა საბჭოთა სპეცსამსახურებს. ეს პერიოდი საჭირო იყო მის მიერ მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციისა და ნაწილობრივ გადასამოწმებლად. ამ დოკუმენტში იმდენად მასშტაბური სტრატეგიული სადაზვერვო ინფორმაცია იყო, რომ მხოლოდ ერთ აგენტურულ წყაროზე დაყრდნობა არაპროფესიონალური იქნებოდა, ამიტომ დოკუმენტის ბოლოს ხაზგასმითაა მითითებული მიღებული მონაცემების გულდასმით გადამოწმების აუცილებლობა. ლავრენტი ბერიას ხელქვეითებს სხვა სანდო წყაროებითაც უნდა შეემოწმებინათ „ომერისა“ და „59“-ისგან მიღებული ისეთი უმნიშვნელოვანესი საიდუმლო ცნობები, რომლებიც მთელ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს მოიცავდა. გადასამოწმებელი კი მართლაც ბევრი იყო, რაც დოკუმენტშიც არის მოყვანილი:

1. ევროპის უმთავრესი ქვეყნების (გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის) საიდუმლო გეგმები საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით;

2. საბჭოთა კავშირის უშუალო მეზობლისა და ისტორიული მოწინააღმდეგის – პოლონეთის მიერ შექმნილი ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „პრომეთეს“ საიდუმლო მოქმედებები;

3. თურქეთის (მუდამ რუსეთსა და ევროპას შორის მოთამაშე ქვეყნის) ცბიერი საგარეო პოლიტიკა და მისი საშინაო მდგომარეობის საინტერესო ანალიზი;

4. ძალთა განლაგება ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში, მისი უახლოესი და სამომავლო გეგმები.

ზემოაღნიშნული ჩამონათვალი ნათლად მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან აგენტურულ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე. სანამ ამ მასშტაბური სადაზვერვო დოკუმენტის დაწვრილებით გაანალიზებას შევუდგებით, გავიხსენოთ, თუ რა დაძაბული გეოპოლიტიკური მდგომარეობა იყო 1940 წლის ნოემბრის დასაწყისისთვის ევროპაში.

## ჰიტლერ-სტალინის საიდუმლო შეთანხმების შედეგები

1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში გაფორმებული ე. წ. რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის საიდუმლო დამატებები ევროპის ახალ გადანაწილებას ითვალისწინებდა. როგორც შემდგომ განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ცხადყო, ორმა დიქტატორმა: ჰიტლერმა და სტალინმა საკუთარ ინტერესებს კაცობრიობის ბედი ანაცვალეს და ახალი მსოფლიო ომი დაიწყეს.

მოსკოვში პაქტის ხელმოწერიდან სულ რაღაც ერთ კვირაში, 1939 წლის 1-ელ სექტემბერს, გერმანიამ პროვოკაცია მოაწყო პოლონეთის საზღვარზე და ვარშავას შეუტია. საფრანგეთი და ინგლისი, პოლონეთთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ომში ჩაერთვნენ. თუმცა თავიდან უფრო პოლიტიკურად, ვიდრე რეალური სამხედრო ძალით. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

გერმანელების მიერ ვარშავის აღების შემდეგ, სტალინმა პოლონეთის ის ტერიტორია დაიკავა, რომელიც ოდესღაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა გერმანიასთან შეთანხმებით ბალტიისპირეთის, დასავლეთ უკრაინისა და ბესარაბიის ოკუპირებაც მოახდინა.

ჰიტლერმა კი 1940 წლის 14 ივნისს პარიზისა და შემდგომ საფრანგეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის ოკუპაცია განახორციელა. დაიწყო ინგლისზე შეტევისთვის მზადება.

როგორც ვხედავთ, ევროპის ერთი ნაწილი ორ დიქტატორს შორის გადანაწილდა, თუმცა ორივემ იცოდა, რომ ადრე თუ გვიან, მათ შორის ომი გარდაუვალი იქნებოდა.

შეიძლება ბევრმა სტალინის თაყვანისმცემელმა არც კი იცის, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირი გერმანიის არა მარტო პოლიტიკური, არამედ მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორიც გახდა. 1939-1941 წლებში მოსკოვი აწვდიდა ბერლინს ყველა იმ საჭირო სამრეწველო პროდუქციას, ნედლეულს, ხორბალს, ხორცს და ა.შ., რის გარეშეც გერმანია მცირე მასშტაბის ომსაც კი ვერ დაიწყებდა.

ომში საფრანგეთისა და ინგლისის ჩართვის შემდეგ გერმანიას სრული ეკონომიკური იზოლაცია ემუქრებოდა, პირველ რიგში კი საზღვაო ბლოკადა, რაც ჰიტლერისთვის დამღუპველი იქნებოდა. მაგრამ ჰიტლერს მეგობრულად გვერდში ამოუდგა მეორე დიქტატორი – სტალინი.

1939 წლის სექტემბერში, პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ, ინგლისმა საბჭოთა კავშირს შეატყობინა, რომ გერმანიის საზღვაო ბლოკადას იწყებდა და ყველა ქვეყნის იმ გემს დააკავებდა, რომელსაც გერმანიაში საბრძოლო ტექნი-



საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმისა და ფოთის დასაბომბად მოიაზრებოდა ბრიტანული ბომბდამშენი „ბლენჰეიმი“

კა, იარაღი და სტრატეგიული ნედლეული შეჰქონდა.

საპასუხოდ მოსკოვმა სახმელეთო გზით გაზარდა გერმანიის მომარაგება. 1941 წლის 22 ივნისამდე, ანუ გერმანიის თავდასხმამდე, საბჭოთა კავშირის არ შეუწყვეტია გერმანიისთვის სტრატეგიული ნედლეულისა და სურსათის მიწოდება. ამ საკითხს პირადად სტალინი აკონტროლებდა და ვაი მას, ვისი მიზეზითაც თუნდაც ერთი საათით შეფერხდებოდა გერმანიის მომარაგება.

1939-41 წლებში საბჭოთა კავშირმა გერმანიას მიაწოდა 1 მლნ ტ-მდე ნავთობი, 1,5 მლნ ტ ხორბალი, ათეულათასობით ტონა სპილენძი, ნიკელი, თუთია და ა.შ. ახლა ირკვევა, რომ სტალინის დავალებით სხვა ქვეყნებში სპეციალურად ყიდულობდნენ კაუჩუკის ნედლეულს, რათა ის შემდგომ გერმანიას მიეღო. საბჭოთა კავშირი მსოფლიო ფასებზე გაცილებით იაფად აწვდიდა გერმანიას ნედლეულსა და პროდუქციას.

გერმანიის სამხედრო ეკონომიკა უმთავრესად იმპორტირებულ ნავთობზე, რკინის მადანზე, სპილენძზე, ხორბალსა და სხვა ნედლეულზე იყო დამოკიდებული. ნედლეულის პრობლემების მქონე გერმანელი დიქტატორი იფიქრებდა კი ახალი ომის წამოწყებას? დანამდვილებით შეიძლება ითქვას: რომ არა სტალინის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა, გერმანია მასშტაბური ომის დაწყებას ვერ შეძლებდა და საბჭოთა კავშირს თავს ვერ დაესხმოდა.

## ჰიტლერის შეტევის ძირითადი ობიექტები ჭიათურა და ზესტაფონიც იყო

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ისტორიკოსები საყოველთაოდ დამტკიცებულ ფაქტად თვლიდნენ, რომ 1942 წელს გერმანელების კავკასიაზე შეტევა, ძირითადად, ბაქოს ნავთობის ხელში ჩასაგდებად დაიწყო. თუმცა უახლესი დოკუმენტური წყაროებით ირკვევა, რომ ბაქოს გარდა გერმანიისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჭიათურასა და ზესტაფონსაც ჰქონდა.

გერმანელებისთვის აგენტურული წყაროებისგან ცნობილი იყო, რომ საბჭოთა კავშირმა მოასწრო ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის რეგიონებში ნავთობის იმდენი მარაგის შექმნა, რაც 1943 წლის ჩათვლით ეყოფოდა. ამას ადასტურებს ფაშისტური გერმანიის გენერლის, შემდგომში დასავლეთ გერმანიის დაზვერვის დამაარსებლისა და 1946-68 წლებში მისი ხელმძღვანელის რიჰარდ გელენის მემუარები.

ომის პერიოდში გელენი მესამე რაიხის გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის იმ განყოფილების უფროსი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალს შეისწავლიდა და კონკრეტულ რეკომენდაციებს ადგენდა.

1942 წლის დასაწყისში გელენმა ჰიტლერს წარუდგინა მოხსენება „საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პოტენციალი“, სადაც დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებული იყო საბჭოთა კავშირის სტრატეგიული რესურსებით უზრუნველყოფაში არსებული მდგომარეობა (საბადოების მდებარეობა, მოპოვების მოცულობა, ტრანსპორტირების გზები, რეალური მოთხოვნა და ა.შ.).

**გერმანიის დაზვერვის ამ მოხსენებიდან საინტერესოა ის ნაწილი, სადაც განხილულია საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი და მისი მნიშვნელობა მეორე მსოფლიო ომში. ციტატა გელენის მემუარებიდან: „კავშირის მეტალურგიული მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ჭიათურიდან კავკასიური მანგანუმის მიწოდებაზე. ამიტომაც კავკასიის დაკარგვა გამოიწვევდა სსრკ-ში ფოლადის გამოდნობის მნიშვნელოვან შემცირებას“.**

**მეორე ციტატა: „როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მოლიბდენ-ვოლფრამის კონცენტრატის გადამუშავება ხდებოდა კავკასიის რეგიონში, უფრო ზუსტად – საქართველოში, ზესტაფონის მეტალურგიულ კომბინატში. ჩვენი გათვლებით ამ კომბინატის მწყობრიდან გამოყვანა გამოიწვევდა სამხედრო მრეწველობისათვის ძალზე საჭირო ლეგირებული ფოლადის გამოდნობის მინიმუმ 30%-ით შემცირებას“.**

**სავარაუდოა, რომ მოხსენების გაცნობის შემდეგ ადოლფ ჰიტლერი დიდხანს ეძებდა საბჭოთა რუკებზე მისთვის ეგზოტიკურ ჭიათურასა და ზესტაფონს.**

## რატომ გეგმავდნენ საფრანგეთი და ინგლისი ბათუმისა და ფოთის დაბომბვას

ზემოაღნიშნული მცირე ისტორიული ექსკურსი დაგვჭირდა იმიტომ, რომ გვეჩვენებინა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიას როგორც საბჭოთა კავშირისთვის, ასევე გერმანიისთვის.

ეს კარგად უწყოდა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმაც, რომელიც ჰიტლერ-სტალინის დროებითი პარტნიორობით ძალზე უკმაყოფილი იყო. ამიტომ გერმანიის ეკონომიკური პოტენციალის შესასუსტებლად საჭირო იყო საბჭოთა კავშირიდან გერმანიაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტისთვის ხელის შეშლა, ხოლო თუ საბჭოთა კავშირი დიდი ბრიტანეთის წინაალმდეგ ომში ჩაებმებოდა, კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მწყობრიდან გამოყვანა ჩერჩილს ამ შემთხვევაშიც დიდად გამოადგებოდა.

**„ბერიას დოკუმენტში“ აღნიშნულია, რომ საბჭოთა მხარეზე ახალგადმოსულმა აგენტმა „ომერმა“, მეორე საბჭოთა აგენტ „59“-ს მეტად საგანგაშო ინფორმაცია გადასცა საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის. კერძოდ, „ცნობილი გახდა მოკავშირეთა განზრახვა საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების შემთხვევაში ბაქოსა და ბათუმის დაბომბვის შესახებ. „59“-მა განუცხადა „ომერს“, რომ ის აპროტესტებდა ამ ქალაქების დაბომბვას“.**

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში „59“-ს ხელთ უნდა ჰქონოდა საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის შტაბში 1940 წლის 4-5 აპრილს გამართული საკოორდინაციო ჯგუფის თათბირის საიდუმლო ოქმები ოპერა-

ცია „კავკასიის ნავთობის“ შესახებ, რაც იმითაც დასტურდება, რომ კავკასიის ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი ობიექტების დაბომბვის სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა 1940 წლის იანვრიდან დაიწყეს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის გენერლებმა: მორის გამელენმა, მაქსიმ ვეიგანმა, უეველმა და ადმირალებმა ფ. დარლანმა და ე. კანინგემმა.

ისინი თვლიდნენ, რომ ოპერაციის წარმატებისთვის საკმარისი იქნებოდა 90-100 თვითმფრინავი, მათ შორის ამერიკული Glenn Martin-ის ხუთი, ინგლისური Blenheim-ის და ფრანგული Farman 212-ის ოთხი ჯგუფი.

მასირებული დაბომბვებით ნავთობის სტრატეგიული ობიექტები ბაქოში – 15 დღეში, გროზნოში — 12-ში, ხოლო ბათუმში კი დღე-ნახევარში განადგურდებოდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც 1907 წელს დასრულდა ბაქო-ბათუმის 863 კმ სიგრძის ნავთობსადენის გაყვანა, შავიზღვისპირეთში ბათუმის პორტის მნიშვნელობა ბევრად გაიზარდა. აქედან გადიოდა სხვა ქვეყნებში და გერმანიაშიც კასპიის ზღვაში მოპოვებული ნავთობი.

ბათუმზე შეტევა მხოლოდ შავი ზღვიდან, საზღვაო ავიაციის ძალებით უნდა დაწყებულიყო. საქართველოს ტერიტორიაზე ბათუმთან ერთად საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებს ფოთის პორტიც უნდა დაებომბათ.

მაქსიმ ვეიგანის გათვლებით საჰაერო დარტყმებისთვის მზადება 1940 წლის ივნისის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო. გეგმით შეტევის პირველ 6 დღეში კავკასიის მთელი ნავთობის მრეწველობისა და შავი ზღვის პორტების (ბათუმი და ფოთი) 30-35% განადგურდებოდა.

ფრანგი და ბრიტანელი გენერლების დამუშავებული ოპერაცია „კავკასიის ნავთობი“ ითვალისწინებდა მხოლოდ სტრატეგიული ობიექტების დაბომბვას, რაც რამდენჯერმე ხაზგასმით არის აღნიშნული საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის შტაბში 1940 წლის 4-5 აპრილს გამართული საკოორდინაციო ჯგუფის თათბირის საიდუმლო ოქმ №18-ში. მიუხედავად ამისა, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის თავიდან აცილება მაინც არ მოხერხდებოდა.

1940 წლის 10 მაისს გერმანიამ მასირებული შეტევა დაიწყო დასავლეთ ევროპაში და უკვე 14 ივნისს პარიზი დაიკავა, ამის შემდეგ, ბუნებრივია, ბათუმისა და ფოთისთვის არავის ეცალა.

საბჭოთა დაზვერვის აგენტ „59“-ისგან მიღებული ცნობები იმით იყო ღირებული, რომ ეს აგენტი 1939 წლის სექტემბრიდან გენერალ ვეიგანის გარემოცვაში ტრიალებდა და ნოე ჟორდანიას დავალებით მოლაპარაკებებში „კავკასიის საქმეებში ექსპერტის“ სტატუსით მონაწილეობდა.

იმავდროულად, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ოპერაცია „კავკასიის ნავთობის“ შესახებ საბჭოთა დაზვერვას „ომერისა“ და „59“-ის გარდა, სხვა წყაროებისგან მიღებული ინფორმაციაც ექნებოდათ.

ამ მოსაზრებას ადასტურებს 1939-1953 წლებში საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პავლე სუდოპლატოვის მოგონებებიც, სადაც ნათქვამია: „ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დასრულებამდე ინგლისელებმა და ფრანგებმა შეიმუშავეს სავიაციო დაბომბვების გეგმა. დოკუმენტებში ნათლად იყო ნათქვამი, რომ ოპერაციის მიზანი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის კავკასიის ნავთობის გარეშე დატოვება იყო. ბაქოს ნავთობმომპოვებელ და გადამამუშავებელ საწარმოებზე იერიშის მიტანის შესახებ ქვეყნის ხელმძღვანელობამ დაზვერვის (სამხედრო და შინსახკომის) ცნობებიდან იცოდა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენმა დაზვერვამ ვერ შეძლო ზუსტი ინფორმაციის მოპოვება ბაქოს დაბომბვის თარიღის შესახებ: სახელდებოდა 1940 წლის თებერვალი, მარტის დასაწყისი, მაგრამ საჰაერო დარტყმები არ ყოფილა. ხმები მოსალოდნელი დაბომბვისა და დივერსიების შესახებ დიდ დაძაბულობას იწვევდა ზემოთ (იგულისხმება საბჭოთა ხელმძღვანელობა – ბ. ა.), რის შედეგადაც ამიერკავკასიაში ჩვენი სამხედრო შენაერთების რაოდენობა გასამმაგდა“.

ამ მცირე ამონარიდიდან კარგად ჩანს, რომ საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელობას სხვადასხვა წყაროსგან ჰქონდა საიდუმლო ინფორმაცია ოპერაცია „კავკასიის ნავთობის“ შესახებ და სათანადოდაც ემზადებოდა.

სუდოპლატოვის წიგნს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ამჟამად კი გვინდა ისტორიულ წყაროებზე მუშაობის ძირითად პრინციპებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

საზღვარგარეთ მოქმედ საბჭოთა აგენტურას (თუნდაც სიმონ პირუმოვს) ხშირად ერთი მიზანი ამოძრავებდა, — მაქსიმალურად გაებუქებინა საკუთარი მიღწევები და ხელმძღვანელობის წინაშე თავი მოეწონებინა, ამიტომ მათი ინფორმაცია ნაკლებად სანდოა და გადამოწმება სჭირდება.

ზოგიერთი ავტორი კი პირუმოვის მოხსენებების საფუძველზე ისეთ შორს მიმავალ და ფანტასტიკურ დასკვნებს აკეთებს, როგორიცაა თუნდაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის კავშირი საბჭოთა სპეცსამსახურებთან.

გამორიცხული არ არის, რომ შეფიცულთა რაზმში ჩეკა-ოგეპეუს აგენტურის შეგზავნა მოეხერხებინოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თავად ქაქუცა და მისი რაზმის უდიდესი ნაწილი საქართველოს ჩეკას გეგმებით მოქმედებდა.

ასევე ნაკლებად სანდოდ მიგვაჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში შემონახული დოკუმენტები (დაკითხვის ოქმები და „აღიარებები“), რადგანაც იმ წლებში არსებული პრაქტიკის მიხედვით დაპატიმრებულებს სასტიკად აწამებდნენ და ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ობიექტურ სურათს ვერ მოგვცემს. ამიტომ „სენსაციური“ არგუმენტები ისტორიული ფაქტებით უნდა იყოს გამყარებული.

***ბესიკ ალადაშვილი***

***ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი***

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**დასავლეთის ქვეყნები ჭიათურის დაბომბვასაც აპირებდნენ**



# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



პენტაგონი აზერბაიჯანს ახალი კატარღებით დაეხმარება

## აზერბაიჯანი

● პენტაგონმა აზერბაიჯანს დახმარების სახით გამოუყო 10 მლნ დოლარი, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლაში სამხედრო-საზღვაო ძალების შესაძლებლობათა ამაღლებას მოხმარდება. დახმარება მოიცავს პატარა კატარღების, ძრავებისა და მყვინთავთა აღჭურვილობის გადაცემას, აგრეთვე შესაბამის ტრენინგებს.

● 1-ელ სექტემბერს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის მორიგი დარღვევის შედეგად ფიზულის რაიონში დაიჭრა აზერბაიჯანის არმიის ჯარისკაცი ფარჰად ვუგარ-ოღლი მუსტაფზადე.

● ქალაქ ნაფთჩალეს გარნიზონის ერთ-ერთი ნაწილის ასმეთაურს, უფროს ლეიტენანტ ელვინ აგაევს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მას ბრალად ედება ქრთამის აღება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და ხელქვეითების ცემა-ტყეპა.

● 5 სექტემბერს აღინიშნა თავდაცვის სამინისტროს შექმნის მე-20 წლისთავი. მაშინ თავდაცვის მინისტრად გენერალ-ლეიტენანტი ვალეჰ ბარშადლი დაინიშნა. მაღალი თანამდებობები დაიკავეს გენერალ-მაიორებმა დადაშ რზაევმა და არიფ სალახოვმა, პოლკოვნიკმა ტელმან მეჰთიევმა. 9 ოქტომბერს დასახლება ზიხში ჩამოყალიბდა პირველი მოტომსროლელი ბრიგადა, რომელიც მოხალისეებითა და წვევამდელებით დაკომპლექტდა.

● აგვისტოში სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 69-ჯერ დაარღვიეს, რის შედეგადაც 2 სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ყველაზე მეტი, 22 შემთხვევა, ფიზულის რაიონში აღინიშნა, სადაც პოზიციური სროლა დაახლოებით 30-45 წუთი გრძელდებოდა. მიმდინარე წლის დასაწყისიდან სომხებმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი სულ 482-ჯერ დაარღვიეს, რასაც 10 სამხედრო მოსამსახურისა და 4 სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო 14 კი დაიჭრა.

● წლის ბოლოს ამოქმედდება აზერბაიჯან-იორდანიის ერთობლივი წარმოება, რომელიც ჯავშანჟილეტებსა და ჩაფხუტებს დაამზადებს. იორდანიული კომპანია NP Aerospace Jordan-ი აზერბაიჯანის საწარმო „რადიოგურაშდირმას“ 15 ათასი ჩაფხუტისთვის კომპოზიტურ მასალებსა და 12 ათასი ჯავშანჟილეტისთვის საჭირო კერამიკულ ფილებს მიაწვდის.

## სომხეთი

● როგორც თავდაცვის მინისტრმა სეირან ოჰანიანმა 30 აგვისტოს ბრიფინგზე განაცხადა, სომხეთი ყოველწლიურად სამხედრო-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციას სულ უფრო და უფრო სრულყოფს და აფართოებს. მინისტრმა არ გამორიცხა რუსულ საჰაერო თავდაცვის სისტემა C-400-ზე გადასვლაც.



სომხეთი რუსეთისგან C-400-ს მოელის



საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზამ ზაფხული სწავლებებში გაატარა

● „დღეისთვის თავდაცვის სამინისტრო არ გეგმავს სამხედრო სამსახურის ორიდან ერთ წლამდე შემცირებას ან გაზრდას“, — განაცხადა მინისტრმა სეირან ოჰანიანმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. ოჰანიანის განმარტებით, დიასპორების წარმომადგენლები მზად არიან მოხალისეებად იმსახურონ, თუ სამსახურის ვადა შემცირდება და დასძინა, რომ შეღავათები არავისთვის დაწესდება. ყოველ გაწვევაზე საზღვარგარეთ მცხოვრები დაახლოებით 500 სომხეთის მოქალაქე სამხედრო სამსახურის გასავლელად სამშობლოში ჩამოდის და მათ დიდ ნაწილს რუსეთის სამხრეთის მცხოვრებნი შეადგენენ.

## ჩრდილო კავკასია

● სარატოვის გარნიზონის სასამართლომ განიხილა სარატოვის ოლქის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში 2010 წელს მომხდარი შემთხვევა, რომელიც ჩრდილოკავკასიელ წვევამდელებს შეეხებოდა. სასამართლოს განაჩენში ნათქვამი იყო, რომ 3 ჯარისკაცი ჩრდილო ოსეთიდან, 2 — დაღესტნიდან და 1 — ყაბარდო-ბალყარეთიდან გაერთიანდნენ და რუს ჯარისკაცებს იჭერდნენ, სცემდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და ფულს ართმევდნენ. ბოლოს თმას ისეთნაირად კრეჭდნენ, რომ თავზე სიტყვა KABKA3-ის რომელიმე ასოს მოყვანილობას უტოვებდნენ. მწყობრში მდგომი რუსი ჯარისკაცების თავებით კი სიტყვა KABKA3-ი სრულად იწერებოდა.

● რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაღესტანში ყიზლარის რაიონში იატაკქვეშა შეიარაღებულ ფორმირებებთან საბრძოლველად დამატებით 200 მებრძოლი გაგზავნა.

● რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის შავი ზღვა-აზოვის სანაპირო დაცვის სამმართველოს უფროსად გენერალ-მაიორი იური ზვირიკი დაინიშნა. მან შეცვალა გენერალ-მაიორი ფიოდორ ჩერედნიჩენკო, რომელმაც ფედერალური უშიშროების სამსახურის სამხრეთის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის პოსტი დაიკავა. ბოლო დრომდე გენერალი ზვირიკი აფხაზეთში საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო სამმართველოს უფროსი იყო.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 2 სექტემბერს დასრულდა რუსეთის საოკუპაციო ჯარების მე-7 სამხედრო ბაზისა და სოხუმის რეჟიმის აღმოსავლეთის დაჯგუფების მე-2 საზღვაო ქვეითთა ბატალიონის ერთობლივი საბატალიონო ტაქტიკური სწავლება. დამუშავდა შემდეგი ამოცანები: ბატალიონის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა, თამიშის რაიონში ჯავშნის ორგანიზება, საბრძოლო შეთანწყობის მოწესრიგება, თავდაცვის ორგანიზება, საზღვაო დესანტის მოგერიება, შეტევითი ბრძოლების წარმოება. სწავლებას ხელმძღვანელობდა სოხუმის რეჟიმის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ვასილი ვასილჩენკო.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● ძარწემის პოლიგონზე საოკუპაციო ჯარების საბატალიონო ტაქტიკური სწავლებები გრძელდება. ამჯერად სწავლებაში 300 სამხედრო და საბრძოლო ტექნიკის 70 ერთეული მონაწილეობდა. მოტომსროლელებმა დაამუშავეს ხელსაყრელი თავდაცვითი და საცეცხლე პოზიციათა შერჩევის ჩვევები, მისი საინჟინრო მოწყობა, ურთიერთმოქმედება საჰაერო თავდაცვისა და არტილერიის ქვედანაყოფებთან. სწავლების ბოლოს მოტომსროლელებმა საბრძოლო სროლები შეასრულეს.

### თვითგამოცხადებული ყარაბაღი

● 26 აგვისტოს სამხედრო ნაწილ „ეგნიკნერში“ ჯარისკაცი ალას აბრამიანი ოფიცერმა სასტიკად სცემა, რის გამოც სამედიცინო პუნქტში აღმოჩნდა, სადაც 10 სთ უმწეო მდგომარეობაში მყოფს პუნქტის უფროსმა დახმარების ნაცვლად კიდევ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამის შემდეგ აბრამიანი გადაიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც ერთ სთ-ში გარდაიცვალა. დაიწყო გამოძიება და ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ ფაქტის გამო 3 ოფიცერია დაკავებული.

● 7 სექტემბერს ყარაბაღის არმიის წვევამდელი 19 წლის აიკ მკრტიჩიანის ცხედარი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით პოსტზე იპოვეს.

*თეიმურ ჩაჩანიძე*

გენერალი ზვირიკი დაწინაურეს



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მანევრი თანამედროვე ომებში

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N18, 2011)

ოპერატიული მანევრს ატარებენ მსხვილმასშტაბიანი ოპერაციისა თუ კამპანიის ინტერესებისთვის, ოპერატიული გაერთიანების სარდლის ჩანაფიქრითა და ხელმძღვანელობით. მისი მიზანია ოპერაციის (კამპანიის) მიმდინარეობაში ისეთ ცვლილებათა შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობენ შუალედური თუ საერთო ამოცანის გადაწყვეტას. ოპერატიული მანევრის შემადგენელი შეიძლება იყოს ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ან ავიაციის მასიური დარტყმები, ჯარების ოპერატიული დაჯგუფების გადასროლა ერთი მიმართულებიდან მეორეზე მოწინააღმდეგის დაცვითი პოზიციების ბლოკირების მიზნით.

**გენერალ კამკამიძის ქართულ შეიარაღებულ ძალებში მოსვლა აფხაზეთის საბრძოლო მოქმედებების თეატრში აღინიშნა რამდენიმე ბრწყინვალე მანევრით, რომელიც ნახევრად გასამხედროებულმა ქართულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ჩაატარეს. ერთ-ერთი იყო ოპერატიული მანევრი ლაბრა-ქოჩარა-ოტაფის მიმართულებით, ფლანგური შეტევით მოწინააღმდეგის კომუნიკაციის გადაჭრა და ქართულ განლაგებების ზურგში დარჩენილი ქალაქ ტყვარჩელის სრული ბლოკირება. ამ შესანიშნავი ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანას ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებამ შეუშალა. ქართველების წინსვლა შეჩერდა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, როგორც ყოველთვის, მოწინააღმდეგემ 100%-ით გამოიყენა და ტყვარჩელის დამცველები რუსული „ჰუმანიტარული“ დახმარების საფარქვეშ საბრძოლო საშუალებებით მოამარაგა.**

1991 წელს სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს კოალიციის ჯარების სარდალმა გენერალმა ნორმან შვარცკოპფმა შეტევის ტიპური ალგორითმის (წინსვლა-შეჩერება-გადაჯგუფებ-წინსვლა-შეჩერება-გადაჯგუფება) ნაცვლად კოალიციის შტაბებს წარუდგინა ასეთი გეგმა: „ჩემი ჩანაფიქრი არ გულისხმობს შუალედური ობიექტების დაკავებას, შემდგომ პაუზას და საბრძოლო მასალითა თუ საწვავით შევსებას. თუკი დივიზიები თავს მოიყრიან და გახდებიან სტატიკური, ისინი გადაიქცევიან კარგ სამიზნედ ქიმიური დარტყმისთვის და დავმარცხდებით. VII კორპუსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეჩერდეს“.

გეგმის შესაბამისად, მოკავშირეებმა თავი მოუყარეს ძალებს ქუვეითის სამხრეთ საზღვრებთან. სინამდვილეში ეს ერაყელთა ყურადღების გადატანისკენ მიმართული ქმედება აღმოჩნდა. ჰაერში ბატონობის პირობებში კოალიციის ძალებმა ფლანგიდან ღრმა მანევრი ჩაატარეს. 1500 ტანკმა და 300 ათასამდე ქვეითმა დასავლეთიდან 300 მილი გადალახა და მოულოდნელად მოწინააღმდეგეს მარცხენა ფლანგიდან შემოერტყა. ამის შემდეგ სამხრეთ ერაყის მთელი არმია ალყაში მოექცა და ერაყელთა სარდლობა იძულებული გახდა, ცეცხლი შეეწყვიტა.

სტრატეგიულ მანევრს ატარებენ სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებით, სტრატეგიული ავიაციის მასიური გამოყენებითა და ჯარების

მსხვილი გაერთიანებებით. ძირითადად, უმაღლესი მთავარსარდალი მეთაურობს და შეიძლება მოიცავდეს საომარი მოქმედებათა როგორც ერთ, ასევე რამდენიმე თეატრს.

სტრატეგიული მანევრის ბრწყინვალე მაგალითია ე.წ. „შლიფენის გეგმა", რომელიც გერმანიის გენერალური შტაბის უფროსმა გრაფმა ალფრედ ფონ შლიფენმა (1833-1913 წწ.) შეიმუშავა. მისი ავტორი თვლიდა, რომ საფრანგეთის საფრთხის საბოლოოდ გაუვნებლების მიზნით უპირველესად დარტყმა უნდა მიეყენებინათ დასავლეთის ფრონტისთვის, რაც თავისთავად აღმოსავლეთ პრუსიის დაკარგვასა და ავსტრია-უნგრეთის სამხედრო კატასტროფას გულისხმობდა. საპირწონედ გამოდიოდა საფრანგეთის ომიდან სწრაფი გაყვანის შესაძლებლობა. ეყრდნობოდა რა ე.წ. „კლაუზევიცის აქსიომას" — „საფრანგეთის გული ძევს პარიზსა და ბრიუსელს შუა", შლიფენმა იგნორირება გაუკეთა ბელგიისა და ლუქსემბურგის ნეიტრალიტეტს და ღრმა „ორმაგი შემოვლა გადაწყვიტა". ამით:

მთავარ დარტყმას ბელგიის არმია (6 დივიზია გერმანელთა 40-მდე დივიზიის წინააღმდეგ) მიიღებდა და ომს საწყის ეტაპზე გამოეთიშებოდა;

გერმანიას ბელგიის და ფლანდრიის განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურის დაუბრკოლებელი გამოყენების საშუალება ეძლეოდა;

ატლანტის სანაპიროს დაკავებით ბრიტანეთი ევროპის საბრძოლო მოქმედებათა თეატრისგან იზოლირებული იქნებოდა;

გერმანელთა ჭარბი ძალების ზურგში გასვლის მუდმივი საფრთხის გამო მოკავშირეები პარიზის სამხრეთით უკან დაიხევდნენ;

პარიზი — საფრანგეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური ცენტრი გერმანელთა ხელში ბრძოლის გარეშე გადადიოდა.

შედეგად საფრანგეთი მოკავშირეებთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთით უკან დაიხევდა და შემდგომში განადგურდებოდა.

რა თქმა უნდა, მოკავშირეებს შეეძლოთ კონტრდარტყმების მიყენება და შეტევების გერმანელთა ცენტრში — ელზასისა და არდენების მიმართულებით განვითარება, მაგრამ ეს დროებითი წარმატება იქნებოდა.

გეგმით გათვალისწინებული იყო პარიზის — 39, ხოლო საფრანგეთის კაპიტულაცია კი 42 დღეში. 1906 წელს შლიფენის გადადგომის შემდგომ ჰელმუტ ფონ მოლტკემ თავდაპირველ გეგმაში ცვლილება შეიტანა. მან მარჯვენა ფლანგიდან ჯარების ნაწილი რუსეთის ფრონტის გასაძლიერებლად გადაისროლა. ასევე, უარი თქვა ჰოლანდიის გავლით ჯარების გადაადგილებაზე. საწყისი გეგმის მისეული ცვლილებები დღემდე რჩება სამხედრო ისტორიკოსთა განსჯისა და კრიტიკის საგნად.

**მანევრის თითოეულ სახეს სხვადასხვა ფორმა აქვს.** ისინი ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის მიზნის, მოქმედებების მიმართულების, სიღრმისა და თანამიმდევრობის მიხედვით შეირჩევა.

**მანევრის ფორმა განისაზღვრება მოქმედების იმ ტიპითაც, რომელიც მას მოსდევს.** თუ ფრონტალური დარტყმა ხორციელდება, მაშინ მანევრი ფრონტალურია, ხოლო დარტყმა თუ ფლანგზე ან ზურგში მოდის, მაშინ ფლანგური და ა.შ. ყველაზე გავრცელებულია მანევრის შემდეგი ფორმები და მათი კომბინაცია:

**ფლანგური მანევრის ფორმებია:** შემორტყმა და შემოვლა (ერთმაგი, ორმაგი). შემორტყმა ხორციელდება მოწინააღმდეგის ფლანგზე შეტევის მიზნით. მიმდინარეობს ფრონტიდან მოქმედ დანაყოფებთან მჭიდრო ტაქტიკურ კავშირსა და საცეცხლე ურთიერთქმედებაში.

**შემოვლა წარმოადგენს** ფლანკირების (მოწინააღმდეგის მიმართულებით ფლანგებიდან გასწვრივი ცეცხლით სროლა) ღრმა ფორმას და მოწინააღმდეგის ზურგში გასვლის მიზნით ხორციელდება. მიმდინარეობს როგორც ფრონტიდან და ფლანგებიდან მოქმედ დანაყოფებთან, ასევე საჰაერო და აერომობილურ ძალებთან ურთიერთქმედებით;

**ფრონტალური მანევრის ფორმებია:** აქტიური ძალისხმევის გადატანა ერთი მიმართულებიდან მეორეზე, ზურგიდან ფრონტისკენ და პირიქით;

უკან დახევა;

**საცეცხლე დარტყმითი მანევრებია:** ცეცხლით მანევრის არსი მდგომარეობს სახმელეთო საშუალებების ცეცხლის გადანაწილებაში მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან ობიექტებსა და განლაგების რაიონებზე. საცეცხლე მანევრით მიიღწევა გადამწყვეტ მიმართულებებზე მისი სწრაფი გადატანა და მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენება;

**რაკეტ და ცეცხლსაწინააღმდეგო მანევრი:** ძირითადად განლაგების რაიონების (საყრდენი პუნქტების, პოზიციების) შეცვლას გულისხმობს;

ზემოთ მოყვანილი თეორიული საფუძვლები ძალიან გულდასმით ისწავლება ჩვენი არსებული თუ სავარაუდო მოწინააღმდეგეების სამხედრო აკადემიებსა და სასწავლებლებში. ამდენად, მოკლედ თუ რა კონტრზომები შეიძლება იქნეს გამოყენებული მოწინააღმდეგის მიერ მანევრის სხვადასხვა ფორმის გამოყენების შემთხვევაში:

— უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყველა დონეზე **უწყვეტი დაზვერვის ორგანიზება.** სამწუხაროდ, ხშირად დაზვერვა თუ თვალთვალი მხოლოდ მზვერავის საქმე ჰგონიათ. არადა, ნე-


გენერალი ალფრედ ფონ შლიფენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აფხაზეთის ომში კამკამიძის დაგეგმილი მანევრის ბოლომდე მიყვანა არ მოხერხდა

ბისმიერი ჯარისკაცისა თუ მეთაურის მოვალეობაა მოწინააღმდეგისა და ბრძოლის ველის თვალყურის დევნება ნებისმიერი საშუალებით. მოწინააღმდეგის განზრახვის დროული გამომჟღავნება ადეკვატური და დროული ზომების მიღების საშუალებას იძლევა;

— **უკან დახევა წარმოადგენს** ყველაზე ლოგიკურ და მარტივ კონტრმანევრს ფლანგებიდან მოწინააღმდეგის შემორტყმის ან შემოვლითი მანევრების შემთხვევაში. ოღონდ საამისოდ უნდა არსებობდეს რეალური მიზეზები და ზემდგომი მეთაურის გადაწყვეტილება;

— **საბრძოლო წყობის კუთხით** (მარჯვენა, მარცხენა) მოწყობა არ აძლევს მოწინააღმდეგეს ფლანგზე დარტყმის საშუალებას;

— **ურთიერთდაზღვევით გადაადგილება** – როცა საბრძოლო წყობის ზოგიერთი ნაწილი დაზღვევას აკეთებს, სანამ სხვები გადაადგილდებიან და ასე მონაცვლეობით;

— **რეზერვის სიღრმეში თავმოყრა** საშუალებას იძლევა ბლოკირებულ იქნეს ფლანგებსა და ზურგში მოწინააღმდეგის გასვლის მცდელობა;

— **უზრუნველყოფის ზონის შენარჩუნება,** როცა მეთაური ცდილობს საბრძოლო მოქმედებები საკუთარი უზრუნველყოფის ზონის ფარგლებში აწარმოოს მისგან მოწყვეტის გარეშე. ეს ხელს უწყობს შეტევის იმპულსის მუდმივ უზრუნველყოფას;

— **რელიეფის სწორი გამოყენება** – ადგილმდებარეობის დამაბრკოლებელ პირობებზე დაყრდნობა გარკვეულწილად მოწინააღმდეგის მხრიდან ფლანკირების ან ზურგში გასვლისგან იფარავს. თუმცა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს – სრულიად გაუვალი გარემო არ არსებობს!

**მანევრისა და კონტრმანევრისთვის საცეცხლე თუ დარტყმითი ძალისხმევის ერთი მიმართულებიდან მეორეზე გადატანის მზადყოფნა საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის წაყენებული უცვლელი მოთხოვნა უნდა იყოს.**

**ჩვენი არმიისთვის მანევრის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს მოსალოდნელი მასირებული საცეცხლე ზემოქმედებისგან საკუთარი ძალების გარიდება, რისთვისაც საჭიროა დანაყოფების სწრაფი დაქსაქსვა, გადაადგილების მიმართულებების შეცვლა და სხვ.**

ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია, მანევრი ცეცხლში მოყოლილი დანაყოფების ჩანაცვლებისთვის, საფრთხის მატარებელი მიმართულებათა გამაგრების ან შეტევის გაგრძელების მიზნით ჩატარდეს.

მანევრის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ყველა დონის ოფიცერთა სამეთაურო უნარ-ჩვევებზე, შესაძლებლობაზე, აგრეთვე დამოუკიდებლად და რაც მთავარია, ვითარების სწორედ შეფასებაზე, მოძებნოს მოცემულ მომენტში გამარჯვების განმსაზღვრელი წერტილი, მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება და შემსრულებელს გასაგებად მიაწოდოს. თუმცა ეს ხშირად არ კმარა.

თანამედროვე ბრძოლაში მებრძოლები ხშირად დამოუკიდებლად მოქმედებენ ზემდგომ მეთაურთან კავშირის გარეშე და გარემოებებში, რომელიც სისწრაფესა და დაუყოვნებლობას მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, უმცროსი მეთაურების მომზადებაში დიდი ადგილი უჭირავს დამოუკიდებელი მოქმედებებისთვის მზადყოფნას. მათ მოეთხოვებათ ინიციატივის გამოჩენა, მანევრის ფორმისა თუ ბრძოლის მეთოდის შერჩევისას შემოქმედებით მიდგომა.

ყველაფერი ეს მშვიდობიან პერიოდში უნდა ისწავლებოდეს და მიზანს მართალია, დიდი შრომის ფასად, მაგრამ მივაღწევთ — მტერს მომზადებული დავხვდებით.

***ვახტანგ კაპანაძე***
*ბრიგადის გენერალი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი*

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge



# „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ ფრანგული შავი სამყაროს მეფეები

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N18, 2011)

## სტრუქტურა, ტაქტიკა და იდეოლოგია

„ისლამურ შეიარაღებულ დაჯგუფებას“ მეტად რთული სტრუქტურა აქვს, რაც მასთან ბრძოლას ძლიერ აძნელებს. ფრანგული მასმედიის მონაცემებით, ორგანიზაცია შედგება სამი ნახევრად დამოუკიდებელი კომპონენტისაგან — ისლამური რაზმები („ალ-კატაიბ ალ-ისლამიია“), ახალგაზრდული ისლამური ჯამაათი („აჯ-ჯამაა ალ-ისლამიია მინ აშ-შაბაბ“) და ისლამური კომიტეტები („ალ-ლიჯან ალ-ისლამიია“). ორგანიზაციას ხელმძღვანელობს შეიხთა საბჭო, რომელსაც ექვემდებარება შემდეგი ბიუროები: შარიათის, პროპაგანდის, საგარეო ურთიერთობებისა და დაზვერვის. შეიხთა საბჭოს წევრები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევენ უმაღლეს ლიდერს, თუმცა ამ უკანასკნელის ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ნომინალურია.

ისლამური რაზმები საიდუმლო, გასამხედროებული დაჯგუფებაა. მისი წევრების მოვალეობაა მუსლიმანთა უსაფრთხოების დაცვა ყველგან, სადაც კი საჭირო გახდება. რაზმელთა აუცილებელი ატრიბუტია შავი ნიღაბი. ისინი, ძირითადად, ღამით მოქმედებენ და სამართალდამცველებთან ფართომასშტაბიან შეტაკებებსაც არ არიდებენ თავს. ისლამური რაზმები, როგორც წესი, იყოფიან ათეულებად, ოცეულებად, ასეულებად და ა.შ., თუმცაღა ჩინთა სისტემა იქ არ არის. მებრძოლები ამას იმით ხსნიან, რომ ალაჰის წინაშე ყველა თანასწორია. ისლამურ რაზმებში ყველა მეთაურს ფარული კენჭისყრით და ძალზე მოკლე ვადით (2-3 თვით) ირჩევენ. ამასთან, მათ მებრძოლებთან კონსულტაციის გარეშე გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვთ.

წევრთა ვინაობა ისლამურ რაზმებში უმკაცრესად გასაიდუმლოებულია. როგორც წესი, ისინი ცნობილი არიან მეტსახელებით („ან-ნისბა“) და ოჯახებთანაც კავშირი გაწყვეტილი აქვთ. ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ ჯერ კიდევ 2006 წელს წერდა, რომ პარიზის არაბული გარეუბნების მაწანწალათა თავშესაფრები ისლამური რაზმების არაოფიციალური საბრძოლო ბანაკებია: „მეჩეთებთან ან საქველმოქმედო სახლებთან არსებული მაწანწალათა თავშესაფრები სავსეა ჯანიანი ბიჭებით... ერთ ხელში მათ ყურანი უჭირავთ, მეორეში კი ნარგილე, მაგრამ საკმარისია დაღამდეს, რომ ყველა წამში ფხიზლდება, იარაღდება და „ისლამის სადიდებლად“ გარეთ გამოდის“, — ასე აღწერდა გაზეთი ისლამური რაზმების მებრძოლთა ყოფას პარიზის გარეუბნებში. ამ მხრივ, რასაკვირველია, სიტუაცია დიდად არ შეცვლილა.

ახლგაზრდული ისლამური ჯამაათი „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი წევრების ასაკი 15-დან 20 წლამდე მერყეობს. მათი მოვალეობაა ყურანის შესწავლა და ქუჩებში ინფორმაციის მოპოვება, ან გავრცელება. საინტერესოა, რომ ახალგაზრდულ ისლამურ ჯამაათში გაწევრებული მოზარდების უმრავლესობა ე.წ. „მყეფარი“, ანუ გაზეთების გამყიდველია, ან მაწანწალა. ოჯახი ძალიან ცოტას თუ აქვს და ბევრი ღამეს ღია ცის ქვეშ ათენებს. ისინი მარიხუანასაც ყიდიან და მათხოვრობენ კიდევაც, აღებულ ფულს კი უფროსებს — ისლამური კომიტეტების წევრებს აბარებენ. დემონსტრაციებისა და საპროტესტო გამოსვლების დროს ახალგაზრდული ისლამური ჯამაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კადრი ისლამისტების ვიდეომიმართვიდან

თის წევრებს ხალხში ჯგუფ-ჯგუფად გარევა და საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცველების საჩხუბრად გამოწვევა ევალებათ. ამ მოვალეობას კი ისინი, როგორც წესი, მშვენივრად ართმევენ თავს. ისლამური რაზმების წევრთა მსგავსად, ახალგაზრდული ისლამური ჯამაათის წევრებიც მეტსახელებით არიან ცნობილი.

მესამე კომპონენტის — ისლამური კომიტეტების ძირითადი მოვალეობა ადამიანთა გატაცება, რეკეტი და ტერაქტების ორგანიზებაა. ესაა ყველაზე სერიოზული და ძალზე გავლენიანი დანაყოფი მთელ ორგანიზაციაში. მის უმცირეს სტრუქტურულ ერთეულს კომიტეტი შეადგენს. ფრანგული მასმედიის ხელთ არსებული ცნობებით, თითოეულ ისლამურ კომიტეტში სულ 10-12 კაცია გაერთიანებული. 10 კომიტეტი ქმნის „ფრონტს“. საფრანგეთის ყველა დიდ ქალაქში რამდენიმე ასეთი „ფრონტი“ არსებობს და ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ფრონტის მეთაურები ფარული კენჭისყრით ირჩევენ უმაღლეს ხელმძღვანელს („არ-რაის“), რომელიც შეიხთა საბჭოს გადაწყვეტილებებს კი ემორჩილება, მაგრამ ფაქტობრივად, ფართო ავტონომიით სარგებლობს — შეუძლია საკუთარი შეხედულებით დაგეგმოს ტერაქტი, განაგოს ფინანსები და ა.შ.

ისლამური კომიტეტების წევრები ახალგაზრდული ისლამური ჯამაათისა და ისლამური რაზმების წევრებსაც მფარველობენ. ამ ორ უკანასკნელ კომპონენტში ახალ წევრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ, თუკი მათ ისლამური კომიტეტებიდან უწევენ რეკომენდაციას; შეიხთა საბჭოშიც ყველაზე მეტი წევრი ისლამური კომიტეტებიდანაა. ამასთან, თუ ისლამურ რაზმებსა და ახალგაზრდულ ისლამურ ჯამაათში ბევრი კრიმინალია.

ისლამური კომიტეტების წევრთა უმეტესობას უმაღლესი განათლება ევროპის, ამერიკისა თუ არაბული სამყაროს საყოველთაოდ ცნობილ უნივერსიტეტებში აქვს მიღებული: „ისინი ინტელექტუალები არიან, მაგრამ არ იღვწიან სიკეთისათვის“, — ასე დაახასიათა ისინი ერთ-ერთმა ფრანგმა ექსპერტმა.

„ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ უმაღლესი ხელმძღვანელობის ორგანო — შეიხთა საბჭო, დაუზუსტებელი მონაცემებით, ორ ათეულამდე წევრისგან შედგება. მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებთან მჭიდრო კავშირების გაბმა, საყოველთაო ჯიჰადის („წმიდა ომის“) გამოცხადების შემთხვევაში მათთან კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფა და ამა თუ იმ საკითხზე არგუმენტირებული, ყველასთვის სავალდებულო შესასრულებელი გადაწყვეტილებების მიღება. შეიხთა საბჭოს წევრები ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევენ უმაღლეს ლიდერს. ამ უკანასკნელის ხელისუფლება ნომინალურია — მას არ შეუძლია გადაწყვეტილება საბჭოს დაუკითხავად მიიღოს.

„ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ იდეოლოგიური საყრდენია ჩრდილოეთ აფრიკაში გავრცელებული სუფიური სწავლება — ას-სენუსიია, რომელსაც ისლამის თანამედროვე ევროპელი მკვლევრები „აფრიკულ ვაჰაბიზმს“ ეძახიან. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელწოდება უმართებულოა, ის მაინც ხაზს უსვამს ას-სენუსიიას მიმდევრების სამ უმთავრეს პრინციპს — ყოველივე ახლის უარყოფას, ტრადიციების ზედმიწევნით დაცვას და ჯიჰადის აუცილებლობას. სენუსიტები (ასე ეძახიან ას-სენუსიიას მიმდევრებს) თვლიან, რომ ყოველმა მუსლიმანმა რწმენის გავრცელების საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს და ამ მიზნით გააკეთოს ყველაფერი, რასაც შეიხი ანუ სულიერი მოძღვარი უბრძანებს; მხოლოდ ასე შეძლებს ის ღმერთთან მიახლოებას და მის შეცნობას, რასაც სუფიურ სწავლებაში „მარიფათი“ ეწოდება.

დღეს საფრანგეთში „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ გარდა, სენუსიტთა კიდევ რამდენიმე სხვა ორგანიზაციაც მოქმედებს, რომელთა უმრავლესობა ქვეყანას პრობლემას არ უქმნის; თუმცაღა „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ ჭეშმარიტი სენუსიტები თავად არიან, რამდენადაც ას-სენუსიიას ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს — ჯიჰადს მარტო ისინი იცავენ.

ას-სენუსიიას მოძღვრების თანახმად, ტერაქტი არის შურისძიება მუსლიმანური რწმენის შეურაცხმყოფელებზე; ეს უკანასკნელები კი აუცილებლად უნდა დაისაჯონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ალაჰი მას დასჯის, ვისაც შურისძიება შეეძლო და არაფერი გააკეთა. სენუსიტი ალიმები (მუსლიმანი ღვთისმეტყველები) ირწმუნებიან, რომ თუ შეურაცხყვეს ერთი მუსლიმანი, სანაცვლოდ ათი ურწმუნო უნდა დაისაჯოს, რადგან სამართლიანობა მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღდგება. სწორედ ამიტომაცაა, რომ „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ მიერ ორგანიზებული ტერაქტები ყოველთვის მასშტაბურია.

## პოლიტიკური მხარდაჭერა და დაფინანსების ძირითადი წყაროები

„ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ უმთავრესი პოლიტიკური მხარდამჭერი ალჟირული რადიკალური პარტია „ისლამური ხსნის მოძრაობაა“, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერორისტული ორგანიზაცია დღეს საფრანგეთში მოქმედებს. „ისლამუ-

რი შეიარაღებული დაჯგუფებისა“ და „ისლამური ხსნის მოძრაობის“ მჭიდრო თანამშრომლობა კი იმით გამოიხატება, რომ როცა საფრანგეთში არალეგალური ემიგრაციის საწინააღმდეგო კანონებს იღებენ და „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ აქტიურდება, „ისლამური ხსნის მოძრაობა“ ალჟირის პარლამენტიდან მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირის ხოლმე, რომ პარიზი მუსლიმანთა უფლებებს უხეშად არღვევს; არაბულ სამყაროსთან ურთიერთობაში საფრანგეთს ამის გამო პრობლემები ექმნება და ბოლოს მაინც დათმობაზე წასვლა უწევს.

ფრანგული მასმედიის ინფორმაციით, „ისლამური ხსნის მოძრაობა“ ირანიდან ფინანსდება და თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი საფრანგეთში, „ისლამურ შეიარაღებულ დაჯგუფებასთანაც“ ხვდება. ფრანგი ექსპერტები აცხადებენ, რომ სინამდვილეში „ისლამური შეიარაღებული მოძრაობა“ „ისლამური ხსნის მოძრაობის“ სამხედრო ფრთაა, თუმცა ალჟირული პარტია ყოველთვის თავგამოდებით უარყოფს ამას: „მართალია, ჩვენ საფრანგეთში ჩვენი ინტერესები გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნის შინაურ საქმეში ვერევით“, — განაცხადა 2006 წელს „ისლამური ხსნის მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ალი აბდულაჰ ბენ სლიმანმა. მოგვიანებით, ალჟირულ მასმედიაში გავრცელდა ცნობა, თითქოსდა „ისლამური ხსნის მოძრაობა“ „ისლამურ შეიარაღებულ დაჯგუფებას“ დაუპირისპირდა, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

ფრანგულ მასმედიაში შარშან გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ორგანიზაციამ ნარკოვაჭრობით, არალეგალური ემიგრანტების გადაყვანითა და სხვა მსგავსი ბნელი საქმეებით 2008-2009 წლებში 2 მილიონ დოლარზე მეტი იშოვა: „ალჟირელებს ჩვენთან კარგად აწყობილი ბიზნესი აქვთ — ისინი აკონტროლებენ ქუჩას, წილში უსხედან არაბ მოვაჭრეებს, კაზინოს მეპატრონეებსა და მათხოვრებს და მათგან მიღებულ თანხებს „ისლამის განმტკიცებას“ ახმარენ. ისლამის განმტკიცებაში კი ისინი ტერორიზმსა და არეულობების მოწყობას გულისხმობენ“, — წერდა ფრანგული გაზეთი „ფიგარო“. პარიზის არაბულ გარეუბნებში ქუჩის კონტროლი ფულის შოვნის უიოლესი გზაა, რადგან იქ ბევრი არალეგალურად მუშაობს და პოლიციის გადაკიდებას ურჩევნია, „ისლამურ შეიარაღებულ დაჯგუფებას“ (კერძოდ — ისლამურ კომიტეტებს) გადაუხადოს და თავი უსაფრთხოდ იგრძნოს.

დაუზუსტებელი ცნობებით, „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი „ალ-ქაიდაც“ იყო — ოსამა ბინ ლადენი ევროპაში მოქმედ ტერორისტულ გაერთიანებებს იმთავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა; უცნობია, ამჟამად რა სახის დახმარებას უწევს „ალ-ქაიდა“ „ისლამურ შეიარაღებულ დაჯგუფებას“, რადგან ბინ ლადენის განადგურების შემდგომ ამ ორგანიზაციამ მოკავშირე დაჯგუფებებს ფინანსური დახმარება შეუმცირა. ასეა თუ ისე, „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფება“ ფულის ნაკლებობას არ უჩივის: „მათ იმდენი ფული აქვთ, რომ შეუძლიათ, ეიფელის კოშკიც კი იყიდონ“, — ასეთი იყო ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში 2010 წელს გამოქვეყნებული მთავარი სტატიის ქვესათაური. სტატიაში საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ ართმევდნენ წილს „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ წევრები პარიზელ მათხოვრებს „წყნარი ცხოვრების“ სანაცვლოდ. სხვათა შორის, თანხა საკმაოდ სოლიდური იყო — საათში 20 ევრო; ასე რომ, ალჟირელი ისლამისტები ფულს მართლაც უზრუნველად შოულობენ.

## „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ მიერ ორგანიზებული გახმაურებული აქციები

2003 წლის შემოდგომა — მასობრივი არეულობები პარიზის ქუჩებში. ისლამისტების წაქეზებული არაბი არალეგალი ემიგრანტები უფლებების გაზრდას ითხოვდნენ და საფრანგეთის მთავრობას მუსლიმანთა შევიწროებაში ადანაშაულებდნენ.

2005 წლის 3 მაისი — აფეთქება ქ. ალჟირის საერთაშორისო აეროპორტში. მას 12 კაცი ემსხვერპლა, 6 კი დაიჭრა. „ისლამურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ“ მომხდარზე პასუხისმგებლობა იმავე დღეს აიღო.

2007 წლის 15 აპრილი — აფეთქება ესპანეთის აფრიკულ სამფლობელო მელილიაში, საზღვაო პოლიციის ბაზაში. დაიღუპა 13 პოლიციელი, დაიჭრა 4.

2008 წლის 7 თებერვალი — პარიზში საკუთარი სახლიდან გაიტაცეს რაშიდ ალი, წარმოშობით მაროკოელი ჟურნალისტი, რომელიც „ისლამური შეიარაღებული დაჯგუფების“ დანაშაულებრივ ქმედებებს ამხელდა. მისი ცხედარი ერთ-ერთ ნაგავსაყრელზე იპოვეს. ისლამისტებმა მომხდარზე პასუხისმგებლობა 28 თებერვალს აიღეს.

*მიხეილ ლაბაძე*

ფრანგული პოლიცია ალჟირელთა დემონსტრაციას შლის






# EUROCOPTER TIGER

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსული ჯავშანტექნიკა

## ტანკები ბერლინის ოპერაციაში

მეორე მსოფლიო ომში წითელი არმიის სატანკო ჯარებმა არაერთი ოპერაცია ჩაატარეს, სადაც მოქნილ მოქმედებებსა და ეკიპაჟების თავდადებასთან ერთად არცთუ მცირე როლი რიცხვობრივმა უპირატესობამ ითამაშა.

ამის შესანიშნავი მაგალითია 1945 წლის აპრილ-მაისში ბერლინის აღების ოპერაცია.

გერმანიის დედაქალაქს 1-ელი გვარდიული სატანკო არმია 709 ტანკითა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარით, მე-2 გვარდიული სატანკო — 664-ითა და მე-3 გვარდიული სატანკო — ჯავშანტექნიკის 632 ერთეულით უტევდა.

მოგვიანებით ოპერაციაში ჩართული 1-ელი პოლონური არმიის განკარგულებაში 276 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი იყო.

გაურკვეველი რჩება ბერლინის იერიშის მონაწილე 6 საერთო საჯარისო არმიის დაქვემდებარებაში მყოფი სატანკო და მექანიზებული შენაერთების ჯავშანტექნიკის რაოდენობა, ურომლისოდაც საერთო სურათის წარმოდგენა შეუძლებელია.

ბერლინის ოპერაციაში მონაწილე სატანკო ქვედანაყოფები, ძირითადად, საშუალო Т-34-85-ისა და მძიმე ИС-2-ის ტიპის ტანკებით იყო აღჭურვილი, ხოლო ბევრი ეკიპაჟი სასწავლო ნაწილებში მომზადებული და გამოუცდელი კადრებით იყო დაკომპლექტებული

ტანკებს საცეცხლე მხარდაჭერას სხვადასხვა სახის თვითმავალი არტილერია უკეთებდა. მათ შორის იყო მსუბუქი თვითმავალი ქვემეხი СУ-76, ტანკსაწინააღმდეგო თვითმავალი დანადგარები (СУ-85, СУ-100 და СУ-57 — ამერიკული წარმოების Т-48), მძიმე თვითმავალი ქვემეხი ИСУ-122 და ამერიკული თვითმავალი საზენიტო დანადგარი М-17.

ბლოკირებული გერმანიის დედაქალაქის გარნიზონი დაახლოებით 120 ათას კაცსა და 60-მდე ტანკს ითვლიდა. ქალაქს სამხედროებთან ერთად სახალხო ლაშქრის — ფოკლშტურმის 200-ზე მეტი ბატალიონი იცავდა.

ბერლინი საცეცხლე საყრდენი პუნქტებითა და წერტილებით კარგად გამაგრებული იყო, ხოლო ქალაქის ცენტრში სქელკედლიანი, ქვის მასიური ნაგებობების კარ-ფანჯრები აგურებით იყო ამოშენებული და ადგილ-ადგილ ამბრაზურები ჰქონდა დატანებული.

ქუჩები ოთხ მეტრამდე სიგანის ბარიკადებით იყო ჩახერგილი, ხოლო ძირითად მაგისტრალებზე ბარიკადებში დატოვებული სამმეტრიანი გასასვლელების ჩასაკეტად მიწითა და ქვებით დატვირთული ვაგონები იყო მომზადებული.

თავდაცვით ბრძოლებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა მიწისქვეშა საკანალიზაციო კომუნიკაციებმა, რომელთაც დამცველები მანევრირებისთვის და საარტილერიო-საავიაციო დაბომბვების დროს თავშესაფრებად იყენებდნენ.

1942 წლის გაზაფხულზე ვერმახტმა საბჭოთა ტანკებთან საბრძოლველად მსუბუქ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებაზე კონკურსი გამოაცხადა. ყველას ფირმა HASAG-ის პროექტმა აჯობა, რომლის ავტორიც დოქტორი ჰენრიხ ლანგვეილერი იყო.



ბერლინი თავდაცვისთვის ემზადება. 1945 წლის გაზაფხული

მრავალი ნაკლის მიუხედავად, გამარჯვებულის Faustpatrone სიმარტივით გამოირჩეოდა და მალე კონსტრუქციის დახვეწაც მოხერხდა. შემდგომში მან დასახელება Panzerfaust-ი მიიღო და საბჭოთა ჯავშანტექნიკასთან ბრძოლის საკმაოდ ეფექტური საშუალება გახდა.

მოკლე დროში გერმანულმა ქარხნებმა Panzerfaust-ის რამდენიმე მოდელის (30/60/100/150 — შეესაბამება სროლის ეფექტურ მანძილს) წარმოება აითვისეს და დიდი რაოდენობითაც ამზადებდნენ.

პანცერფაუსტებთან ერთად ქალაქის დამცველთა განკარგულებაში იყო – 7,92 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო თოფები PzB.39, 30 მმ-იანი ყუმბარსატყორცნები GzB.39, 20/28 მმ-იანი მძიმე ტანკსაწინააღმდეგო თოფები PzB.41(s), 88 მმ-იანი უკუგორებო ქვემეხები Panzerschreck-ი, სხვადასხვა კალიბრის (37 მმ-იანი, 42 მმ-იანი, 50 მმ-იანი, 75 მმ-იანი, 88 მმ-იანი) ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები და თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო დანადგარები.

დედაქალაქის დაცვაში მონაწილეობდა სატანკო ასეული „ბერლინი“, რომელიც 1945 წლის იანვარში ჩამოყალიბდა. ასეულის განკარგულებაში სარემონტო ქარხნებიდან წამოყვანილი 10 „პანტერა“ და 12 PzIV იყო. ტექნიკას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო, ამიტომ გზაჯვარედინებზე მომზადებულ ტრანშეებში იყო ჩაყენებული და საცეცხლე წერტილების მოვალეობას ასრულებდნენ.

წითელი არმიის შეტევა საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდებოდა და ჩანდა, რომ გერმანელთა წინააღმდეგობის დაძლევა სწრაფად არ მოხერხდებოდა, ამიტომაც ბრძოლებში არტილერია, ავიაცია და ჯავშანტექნიკა ჩაერთო, რაც მოსახლეობაში დიდ მსხვერპლს იწვევდა.

საბჭოთა სამხედროებს ბევრი ქალაქი ჰქონდათ აღებული და ქუჩაში ბრძოლის გამოცდილებასაც ფლობდნენ. მიუხედავად ამისა, ბერლინისთვის ბრძოლა ბევრად რთული და მრავალმხრივ გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა.

ტანკებს მანევრირება უჭირდათ და მაღალი სიჩქარეების განვითარებას ველარ ახერხებდნენ, რითაც გერმანელებს მსუბუქ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებათა, განსაკუთრებით კი ფაუსტპატრონების გამოყენება უადვილდებოდათ.



ფაუსტპატრონებით შეიარაღებული გერმანული სახალხო ლაშქარი

ამ უკანასკნელისგან თავდასაცავად ჯერ კიდევ 1945 წლის დასაწყისში წითელი არმიის ტანკსარემონტო ქვედანაყოფებმა ტანკების კუსტარულად დამზადებული ეკრანებით აღჭურვა დაიწყეს.

კუმულაციური ჭურვის მოქმედების შესამცირებლად ტანკის კორპუსზე დაახლოებით 500-600 მმ-ის დაშორებით ლითონის თხელი ფურცლები ან ბადეები იყო დადუღებული. ამავე დანიშნულებას ასრულებდა კორპუსზე დაწყობილი ცარიელი კასრები, ყუთები და სხვა საგნები.

თუმცა ყველა ეკიპაჟს ეკრანის მნიშვნელობა გათვითცნობიერებული არ ჰქონდა და მის გარეშე იბრძოდა.

არასრული მონაცემებით, გერმანიის დედაქალაქის აღება წითელ არმიას ათასობით ჯარისკაცის სიცოცხლესთან ერთად დაახლოებით 800 ტანკისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარის ფასად დაუჯდა. დანაკარგის დიდი ნაწილი არტილერიაზე მოდის. რაც შეეხება ფაუსტპატრონების შედეგიანობას, ამის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს და ეს მაჩვენებელი სატანკო არმიების დანაკარგის 8-20%-ის ფარგლებში მერყეობს.

გასათვალისწინებელია, რომ სამხედრო მოლაშქრეთა უმრავლესობას სამხედრო საქმეში ჩაუხედავი, ფიზიკურად თუ მორალურად მოუმზადებელი პირები შეადგენდნენ, ამიტომაც ფაუსტპატრონების გამოყენებას სასურველი შედეგი ყოველთვის არ მოჰქონდა.

გამოყენების ტაქტიკა კი მარტივი იყო: მოლაშქრეები სარდაფებში, პირველ სართულებზე, ქვის კედლების უკან, ან სადარბაზოებში იყვნენ ჩასაფრებული. ატარებდნენ წინ მიმავალ ქვეითებს და შემდეგ ტანკებს ახლო მანძილებიდან ესროდნენ გვერდით ან ზედა პროექციაში.

ტანკებზე დაყენებული ეკრანები რაღაც ეფექტს იძლეოდა — კორპუსში წარმოქმნილი ნახვრეტის დიამეტრი შემცირდა, მაგრამ კუმულაციური ჭავლი შიგნით მაინც აღწევდა და ტანკი თუ არ იწვოდა, ეკიპაჟი იღუპებოდა ან დაჭრილები დამოუკიდებლად გამოსვლას ვერ ახერხებდნენ.

საჭირო იყო სარემონტო ბრიგადების გამოძახება და სქელი ჯავშნის ავტოგენით გაჭრა, რასაც არცთუ მცირე დრო მიჰქონდა.

ღია ლიუკებით მოძრაობა კი აკრძალული იყო, გერმანელი გრენადერები ფანჯრებიდან ხელყუმბარებს საკმაოდ ზუსტად ისროდნენ და ტანკებს ცეცხლს უკიდებდნენ.

საუკეთესო გამოსავალი დახურული ლიუკებით სვლა იყო და ბრძოლის წინ ეკიპაჟები ამის თაობაზე სათანადო რეკომენდაციასაც იღებდნენ.

შემუშავდა ფაუსპატრონისტებთან ბრძოლის მეთოდი: ტანკების წინ მიმავალი ქვეითები ქუჩისპირა სახლებს ჩასაფრებული გერმანელებისაგან საფუძვლიანად წმენდნენ და ტანკსაწინააღმდეგო თოფებისა თუ ფაუსტპატრონების გამოყენების საშუალებას არ აძლევდნენ.

ამ დროს უკან მომავალი ტანკები დახურული ლიუკებით საფეხურისებურად გადაადგილდებოდნენ. ერთი მოძრაობა შენობებიდან მინიმალურ მანძილზე და ქუჩის მარცხენა ნაწილს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ველოსიპედზე დამაგრებული 88 მმ-იანი უკუგორებო ქვემეხი Panzerschreck-ი

ტანკი ამ საცეცხლე საშუალებით აღიჭურვა.

კარგი ეფექტი ჰქონდა თვითმავალ საზენიტო დანადგარ M-17-ს, რომლის ტყვიამფრქვევები ერთდროულად დიდ ფართობს ფარავდა. ამის გავლენით ოპერაციის მსვლელობისას წითელი არმიის ზოგიერთმა ქვედანაყოფმა საკუთარი ძალებით სატვირთო ავტომობილები ДШК-ებით აღჭურვა.

ბერლინის ბრძოლებში გამოჩნდა, რომ ტანკის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებაში ჯავშნის სისქე მაინცდამაინც დიდ როლს არ თამაშობდა, ხოლო პრიმიტიული ეკრანი დაცვის გარანტიას არ იძლეოდა.

აკონტროლებდა, მეორე კი ოდნავ უკან მოჰყვებოდა და საცეცხლე საშუალებები ქუჩის მარჯვენა ნაწილისკენ ჰქონდა მიმართული.

50 მეტრამდე სიგანის ქუჩაში ერთდროულად 2-3 ტანკი, 3-4 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი და 6 ქვემეხი მოქმედებდა. მეტი ტექნიკა ერთმანეთს ხელს უშლიდა და დანაკარგიც მატულობდა.

ზოგჯერ ტანკები დესანტით დიდი სიჩქარით რამდენიმე კვარტალის გავლას აზერხებდნენ და რომელიმე გზაჯვარედინს ან მოედანს, ან სკვერს იკავებდნენ და იქიდან არტილერიას წინააღმდეგობის კერათა ჩახშობაში ეხმარებოდნენ.

სცადეს ტანკების ქვეითთა გარეშე გამოყენებაც, რასაც დიდი დანაკარგი მოჰყვა.

ფაუსტპატრონისტებთან ბრძოლაში საუკეთესო საშუალება 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ДШК-ა ითვლებოდა და ბერლინზე შეტევის წინ ყველა



იმპროვიზებული ტანკსაწინააღმდეგო „ეკრანი“ T-34-85-ის კორპუსზე

7,92 მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო თოფი PzB.39



ეროვნული ბიბლიოთეკა



T-34-ის 1956 წლის „გმირობები“ 2006 წლის ოქტომბერში ბუდაპეშტის ქუჩებში „გაცოცხლდა“

ომს მდიდარი გამოცდილება და შედეგი მოჰქონდა, რომელიც შემდგომში კონსტრუქციულად სრულიად განსხვავებული მიდგომებით შექმნილ ჯავშანტექნიკის ნიმუშებში აისახებოდა.

1944 წელს დასრულდა T-34-85-ის შემცვლელი T-44-ის პროექტირება. ფორმით ახალი ტანკი წინამორბედს ძალიან ჰგავდა, მაგრამ სხვა მხრივ საერთო ძალიან ცოტა თუ ჰქონდა.

განსხვავება იყო მოწყობილობებში, კომპანირებაში, ზომებში, კორპუსისა და კოშკურის ფორმებსა თუ ჯავშნის სისქეში.

ერთ-ერთი სიახლე განივად მოთავსებული ძრავა იყო, რის ხარჯზეც ტანკის სიგრძე შემცირდა, დაიკლო მასამ და წონის ეკონომიით ჯავშნის სისქის მომატება მოხერხდა.

გაიზარდა ტანკის შიდა მოცულობა და ეკიპაჟს უფრო კომფორტული პირობები შეექმნა. სიმაღლე 300 მმ-ით შემცირდა და ხელახლა დაპროექტებულმა კოშკურამ კორპუსის ცენტრისკენ გადაიწია.

ომი გრძელდებოდა და T-34-ის წარმოებას ხელი რომ არ შეშლოდა, 1944 წლის ბოლოს ხარკოვის ერთ-ერთი ქარხანა ახალ ტანკს პატარა სერიებად უშვებდა.

სიახლეების მიუხედავად, T-44-ის წარმოება 1947 წელს შეწყდა. ამ დროისთვის სულ 1823 ტანკი იყო დამზადებული.

T-44 საბრძოლო მოქმედებებში არ მონაწილეობდა, მაგრამ 1956 წელს უნგრეთის ოკუპაციაში მონაწილე საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში შედიოდა.

ომის პერიოდში შექმნილი ბოლო ტანკი კი ИС-3 იყო. პროექტი 1944-45 წლებში ჩელიაბინსკის საცდელმა ქარხანა №100-მა მოამზადა და 1945 წლის მაისში სერიული წარმოებაც დაიწყო.

ტანკის პროექტირების დროს კურსკთან გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა და კონსტრუქტორებმა იმ ბრძოლებში ტანკების დაზიანებათა ხასიათი გაითვალისწინეს, დაზიანებები კი ძირითადად კორპუსისა და კოშკურის შუბლის ნაწილზე მოდიოდა.

შესაბამისად, კორპუსისა და კოშკურის ფორმები შეიცვალა. კოშკურამ უფრო მოკვერცხილი ფორმა მიიღო, ხოლო კორპუსის შუბლს კი გაუკეთდა წვეტი, რომელსაც მაქსიმალური კუთხით დახრილი ლითონის სამი ფურცელი ქმნიდა. ИС-3-ში ჯავშნის სისქემ 120 მმ-ს მიაღწია.

კორპუსში გამოჭრილი სადამკვირვებლო ღრიჭოებზე უარი ითქვა და მისი ადგილი ეკიპაჟისთვის უფრო უსაფრთხო და მოსახერხებელმა პერისკოპულმა ხელსაწყოებმა დაიკავა.

სუსტ ადგილად ძრავა-ტრანსმისია რჩებოდა და ექსპლუატაციისას მწყობრიდანაც ხშირად გამოდიოდა. მისი გაუმჯობესება არა და არ მოხერხდა, ხოლო 1946 წლის მეორე ნახევრიდან ტანკის სერიული წარმოება შეწყდა.

ИС-3-ის ბიოგრაფია ომებში მონაწილეობის გარეშე დასრულდა. საინტერესო ეპიზოდად კი 1945 წლის 7 სექტემბერს ბერლინში იაპონიაზე გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმში მონაწილეობა დარჩა.

ომისდროინდელი დიდძალი ჯავშანტექნიკა წითელი არმიას კიდევ კარგა ხანს ემსახურა, მაგრამ დროთა განმავლობაში მოძველდა და საბრძოლო მახასიათებელთა ასამაღლებლად სამოდერნიზაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

მოდერნიზებულ T-34-85M-ზე ახალი 520-ცხ.ძალიანი ძრავა დაიდგა. შეიცვალა ხელსაწყოები, სავალი ნაწილი და შიდა დიზაინი, გაუმჯობესდა ტანკის საცეცხლე შესაძლებლობები.

T-34-ის სამსახური ხანგრძლივი გამოდგა და ეს შემთხვევითი არ არის. კვანძებისა და აგრეგატების საიმედოობა, თავად ტანკს მარტივი ტექნოლოგიურობა, სარემონტო ვარგისიანობა, დაზიანებათა სწრაფად აღმოფხვრისა და მწყობრში შეყვანის მცირე დრო იმის წინა პირობა იყო, რომ ტანკის სამსახური დიდხანს გაგრძელდებოდა.

მართლაც T-34-მა ბოლო „საბ-



T-44: მასა – 31 ტ, ეკიპაჟი – 4 კაცი, ჯავშანი – 15-120 მმ, დიზელის ძრავა 500ცხ.ძალიანი, სიჩქარე – 25-60 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი – 180-250 კმ, შეიარაღება – 85 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

რძოლო“ დავალება 2006 წელს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში შეასრულა. ანტისამთავრობო გამოსვლებისას დემონსტრანტებმა 26 ოქტომბერს სამხედრო მუზეუმიდან T-34 გამოიყვანეს, ძრავა აამუშავეს და პოლიციელებთან შეტაკებაში გამოიყენეს.

ასევე ხანგრძლივი იყო ИС-2-ის სამსახური. 1957 წელს ტანკებმა მოდერნიზაცია გაიარეს: შეიცვალა ძრავა-ტრანსმისია, დაემატა საწვავის ავზი, საბრძოლო მარაგი 7 ჭურვით გაიზარდა, შეიცვალა კოშკურის კონსტრუქცია და სხვ.

მოდერნიზებული ИС-2М-ები რეზერვში ირიცხებოდნენ, ხოლო 60-იანი წლებიდან ბევრი მათგანი შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის საზღვრებთან განლაგდა და იქ სტაციონარული საცეცხლე წერტილების მოვალეობას ასრულებდა, დროდადრო სწავლებებშიც მონაწილეობდნენ. რუსეთის არმიამ ისინი შეიარაღებიდან ოფიციალურად 1995 წელს მოხსნა.

ომის დასრულებისთვის უკვე გამოკვეთილი იყო საბჭოთა ტანკმშენებლობის ძირითადი მიმართულებები, სადაც აქცენტი საშუალო და მძიმე ტანკებზე კეთდებოდა.

შემცირდა მსუბუქი ტანკების მნიშვნელობა, როცა ომის წინ სატანკო პარკების დიდ ნაწილს ასეთი ტანკები შეადგენდნენ.

საბჭოთა ტანკმშენებლობაზე დიდი გავლენა მოახდინა გერმანულმა, ამერიკულმა და ბრიტანულმა ჯავშანტექნიკამ. ომის შემდგომი საბჭოური ჯავშანტექნიკის ბევრი ნიმუში ნაალაფარი და ლენდლიზით მიღებული ტექნიკის გაცნობის საფუძველზეა შექმნილი.

**თემურ ჩაჩანიძე**

ИС-3: მასა – 46,5 ტ, ეკიპაჟი – 4 კაცი, ჯავშანი – 20-120 მმ, დიზელის ძრავა 520ცხ.ძალიანი, სიჩქარე – 40 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი – 185 კმ, შეიარაღება – 125 მმ-იანი ქვემეხი, 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევები





# წკიპურტები ნასერისათვის

ყველა ქვეყნის სპეცძალებს წარმატების ზენიტი აქვს. ისრაელის სპეცძალებს ასეთი დრო ეგვიპტესა და ისრაელს შორის ე. წ. „დაუძლურების ომის“ დროს დაუდგა. „ექვსდღიან ომში“ სპეცძალების გამოყენებამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ნაყოფი არ გამოიღო, მაგრამ „დაუძლურების ომის“ დროს კი სრულიად განსხვავებული სურათი შეიქმნა. ალბათ, ამის მიზეზი ახალი ტაქტიკისა და მათ შორის მოულოდნელი საცეცხლე თავდასხმების ტაქტიკის დამუშავება იყო.

## რას გულისხმობს „დაუძლურების ომი“

1967 წლის 10 ივნისს დასრულდა ე. წ. „ექვსდღიანი ომი“, სადაც ისრაელმა არაბული ქვეყნების არმიებს პრევენციული დარტყმები მიაყენა და სინას ნახევარკუნძული, გოლანის მაღლობები, მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი, აღმოსავლეთი იერუსალიმი და ღაზის სექტორი აიღო. დაპყრობილი მიწები 3-ჯერ აღემატებოდა თავად ისრაელის ტერიტორიას.

მიუხედავად ამისა, უკვე იმავე წლის სექტემბერში ისრაელის ხელისუფლებამ აშშ-ის მთავრობის შუამავლობით არაბულ ქვეყნებს აცნობა, რომ მზად იყო სინას ნახევარკუნძულისა და გოლანის მაღლობების დასატოვებლად, ხოლო დანარჩენი ოკუპირებული ტერიტორიების თაობაზე მოლაპარაკებისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

სანაცვლოდ ისრაელი აღიარებასა და არაბულ ქვეყნებთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვდა.

ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა უარყო ისრაელის ხელისუფლების წინადადებები. უფრო მეტიც, 1968 წლისთვის ნასერმა ეგვიპტის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა აღადგინა და საომარი მოქმედებები გააქტიურა.

იმავე წლის შემოდგომაზე ეგვიპტურმა არტილერიამ ებრაელთა პოზიციებს მთელ ფრონტზე მძლავრი დარტყმები მიაყენა. საპასუხოდ, ისრაელმა 1968 წლის 1-ელ ნოემბერს ჩაატარა სპეცოპერაცია „ხელემი“ („შოკი“), რომელშიც საპარაშუტო-სადესანტო ბრიგადის სადაზვერვო ასეულის მებრძოლები მონაწილეობდნენ.

ოპერაციაში ოცდაათკაციანმა ჯგუფმა კაპიტან მატანა ვილნას მეთაურობით ისრაელის საზღვრებიდან 350 კმ-ით მოშორებული სატრანსფორმატორო ქვესადგურიააფეთქა.

იმავდროულად შვეულმფრენებმა მდინარე ნილოსზე ნაგა ჰამადის წყალ-



„ცახალის“ პოზიციები სუეცის არხის სანაპიროზე



ისრაელელი სამხედროები ინსტრუქტაჟს იღებენ

საცავის ჯებირსა და იდფუს ხიდთან მძლავრი ასაფეთქებელი მუხტები მიიტანეს. აფეთქების შედეგად ეგვიპტის დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა და ქვეყნის გარკვეული ნაწილი დაიტბორა.

ამ მოვლენებმა ეგვიპტელები დაარწმუნა, რომ საომარი მოქმედებების აქტიური ფაზის დაწყებამდე აუცილებელი იყო ზურგის სტრატეგიული ობიექტების საიმედო დაცვა და 1969 წლის გაზაფხულამდე სუეცის არხის რაიონში აქტიური საბრძოლო მოქმედებები შეწყდა. ამით ებრაელებმა ისარგებლეს და არხის სანაპიროს გაყოლებით. მასშტაბური საფორტიფიკაციო სამუშაოები დაასრულეს.

შეიარაღებაში ეგვიპტურ არმიას კოლოსალური უპირატესობა ჰქონდა და არხის გაყოლებაზე 1000-მდე ქვემეხი, მძიმე ნაღმსატყორცნი და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა განათავსა.

გარდა ამისა, ებრაელთა პოზიციებს ხშირად ეგვიპტის სამხედრო ავიაციაც ბომბავდა.

პერიოდულად ეგვიპტელი კომანდოსები არხის სანაპიროზე განლაგებულ ისრაელელთა პოზიციებზე პერიოდულ თავდასხმებს ან ჩასაფრებებს აწყობდნენ.

ისრაელის არმია სწრაფ და შეტევით ბრძოლებზე იყო მომზადებული და მოწინააღმდეგეებს ყოველთვის ღირსეულად უმკლავდებოდა. ამჯერად კი ჩათრეული აღმოჩნდა სასანგრე ომში, რომლისთვისაც არც გამოცდილება და არც სამხედრო ტექნიკა არ ჰქონდა.

იმავდროულად, ნაკლებინტენსიური საომარი მოქმედებები სირიის, ლიბიისა და იორდანიის საზღვრებზეც მიმდინარეობდა.

ისრაელის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიზანი იყო, რომ ეგვიპტელებს ბრძოლა შეეწყვიტათ და კვლავ არხის აღმოსავლეთ ნაპირზე დარჩენილიყვნენ. ბრძოლები, რომელსაც პრეზიდენტმა ნასერმა „დაუძლურების ომი“ უწოდა, ჩვიდმეტი თვე გაგრძელდა და 1970 წლის 7 აგვისტოს ღამით ზავით დამთავრდა, მაგრამ მშვიდობამ მხოლოდ სამ წელიწადს გასტანა.

## ისრაელის სპეცდანიშნულების რაზმების სტრატეგიული წარმატება

ისრაელელი სამხედროები სპეცოპერაციებს ეგვიპტის ტერიტორიაზე ატარებდნენ. „ცახალის“ სპეცრაზმებმა და სადაზვერვო ქვედანაყოფებმა მოქმედების სრული თავისუფლება მიიღეს.

1969 წლის 29 აპრილს სპეცრაზმმა „საიერეტ ცანხანიმ“ (მეთაური გადი ხანეგბი) მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში ოპერაცია „ბოსტანა-22“ ჩაატარა და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის რამდენიმე საყრდენი ააფეთქა.

იმავდროულად, ორმა სატრანსპორტო თვითმფრინავმა მდინარე ნილოსში ორი მძლავრი ფეთქებადი მუხტი ჩააგდო იმ იმედით, რომ დინება ხიდებამდე მიიტანდა და ააფეთქებდა. მართლაც ერთი ხიდი დაზიანდა.

„ბოსტანა-22“-მა ნასერის პრესტიჟზე უარყოფითად იმოქმედა — მისი განცხადება, რომ ეგვიპტის თავდაცვის ზურგში ნაპრალი საიმედოდ იყო დახურული, არ გამართლდა.

ისრაელელთა სპეცოპერაციებმა ეგვიპტელთა გეგმა, რომლებიც სუეცის არხის სანაპიროზე საომარ მოქმედებათა განახლებას ითვალისწინებდა, ოთხი თვით შეაფერხა.

## ახალი ტაქტიკა და იარაღის ძიება

ისრაელის არმიის მთავარი ოფიცრის შტაბში, რომელიც პასუხს აგებდა სპეცოპერაციების დაგეგმვა-ჩატარებაზე, ახალი ტაქტიკა დამუშავდა.

განზრახული იყო მოწინააღმდეგის ზურგში ბანაკებსა და შტაბებზე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით 5 კმ მანძილიდან დარტყმის მიყენება. ამ ამოცანების შესასრულებლად შვეულმფრენთა გამოყენება იყო დაგეგმილი.

ასეთი მოქმედებებით ეგვიპტელები საკუთარი ღრმა ზურგის დაუცველობას დაინახავდნენ, მათში ეს პანიკას გამოიწვევდა და განწირულობის ატმოსფეროს შექმნიდა.

ებრაელები იმედოვნებდნენ, რომ

დაძაბული სიტუაცია არაბებს ფრონტიდან გარკვეული სამხედრო ნაწილების მოხსნასა და ზურგში გადაყვანას აიძულებდა, რაც სუეცის ნაპირზე თავმოყრილ დაჯგუფებას შეასუსტებდა.

ოპერაციისთვის იარაღის სისტემების შერჩევა დაევალა მაიორ დანი ლავის, რომელიც არმიაში ქვეითების ნაღმსატყორცნებით მომარაგებას განაგებდა.

გეგმით ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარების გამოყენება იყო გადაწყვეტილი, მაგრამ გაირკვა, რომ ისრაელის არმიას ეს იარაღი არ გააჩნდა.

ბოლოს ფირმა Soltam-ის 120 მმიანი ნაღმსატყორცნ K-5-ის გამოყენებაზე შეთანხმდნენ, რომელიც საბრძოლო მდგომარეობაში 140 კგ-ს იწონიდა და ნაღმებს 6,25 კმ-ზე ისროდა.

სამოქმედო რაიონამდე ნაღმსატყორცნების შვეულმფრენებით გადატანა გადაწყდა.

## ოპერაციისთვის მზადება

ახალმა ტაქტიკამ სროლის სიშორის ახალი ცხრილის დამუშავება, ნაღმების გრუნტში შენახვის ახალი მეთოდისა და საგანგებო მზომი ხელსაწყოები მოითხოვა.

მოკლე დროში ახალი მზომი ხელსაწყოები სახელმწიფო მიწათმოწყობის სამმართველოში დამზადდა. ასევე მცირე დრო დასჭირდა ცხრილებისა და ნაღმების შენახვის მეთოდების დამუშავებას.

შვეულმფრენებისთვის საჭირო იყო ადამიანების, იარაღის, საბრძოლო მასალისა და ურიკების (თუ შვეულმფრენი დაგეგმილ ადგილას ვერ დაჯდებოდა იარაღის გადასატანად) ჯამური წონის გამოთვლა.

ოპერაციის მეთაურად ბატალიონის მეთაურის მოადგილის მოვალეობების შემსრულებელი კაპიტანი იცხაკ მორდეხაი დაინიშნა.

ოპერაციას ნაღმტყორცნელთა ორი გათვლა ესაჭიროებოდა. შერჩევის მიზნით ჩამოყალიბდა ორი მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც წვრთნების პროცესში გაიცხრილა.

ბოლოს თორმეტი საუკეთესო ნაღმტყორცნელი დარჩა. სპეცოპერაციებში ნაღმსატყორცნების გამოყენება ისრაელელთათვის სიახლე იყო, ამიტომ ოპერაციის ორგანიზაცია ზედმიწევნით ზუსტ და ხანგრძლივ მომზადებას მოითხოვდა.

მზადებამ თითქმის ორ თვეს გასტანა. თავიდან პროფესიული სწავლებები (ხელმძღვანელი დანი ლავი) ჩატარდა, ხოლო მომდევნო ვარჯიშები პოზიციებზე ნაღმსატყორცნების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანაზე დროის შემცირებას დაეთმო. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რაიონში შვეულმფრენებიდან გათვლების, ნაღმსატყორცნებისა და ნაღმების დესანტირებისთვის გამოყოფილი დრო 25-30 წამით განისაზღვრა.

კომპლექსური ტაქტიკურ-სპეციალური წვრთნები საბრძოლო სროლებით საიდუმლოდ მაიშერის რაიონში ჩატარდა. გათვლებმა საუკეთესო შედეგები უჩვენეს და პირველი მიზანმიმართული სროლა შვეულმფრენის დაჯდომიდან 60 წამში შეძლეს.

ამოცანის შესასრულებლად სამხედრო-საჰაერო ძალების 114-ე ავიაესკადრილიის სხვადასხვა მოდიფიკაციის ფრანგული შვეულმფრენები SA.321 Super Frelon-ი იყო გამოყოფილი.

ოპერაციის მსვლელობისას შვეულმფრენთა პილოტებს დამატებით ნაღმსატყორცნელთა ცეცხლის კორექტირებაც ევალებოდათ.

„სუპერფრელონის" სამოქმედო რადიუსი 350 კმ-ია და რაიონში ზუსტი დაჯდომა სათანადო ნავიგაციას მოითხოვდა. ამისათვის პილოტებმა მარშრუტი რუკებისა და აეროფოტოსურათების დახმარებით ზედმიწევნით შეისწავლეს. დამზადდა ადგილმდებარეობის მაკეტი, რომელიც პილოტებს გადასხმის ადგილის ზუსტად დაფიქსირებაში უნდა დახმარებოდა.

## ოპერაცია „ბოსტანა-39"

ნაღმსატყორცნების გამოყენებით პირველმა ოპერაციამ კოდური სახელწოდება „ბოსტანა-39" მიიღო და ჩატარება 27-28 აგვისტოს ღამისთვის დაიგეგმა.

შეტევის ობიექტად შეირჩა მსხვილი სამხედრო ბაზა მანკაბადი, რომელიც კაიროდან სამხრეთით დაახლოებით 300 კმ-ში მდებარეობს.

იქ განთავსებული იყო საწვრთნელი ბაზა, სადაც წვევამდელები სამხედრო მომზადებას გადიოდნენ.

ბანაკი სიგრძეში 800 მ, ხოლო სიგანეში კი — 500 მ იყო. დაზვერვის მონაცემებით იმ პერიოდში ტერიტორიაზე ოფიცრებისა და მომსახურე პერსონალის ჩაუთვლელად 2 ათასამდე ახალწვეული იყო.

ბანაკი, ისევე როგორც ყველა სხვა სამხედრო ობიექტი, ღამით განათებული იყო. ოპერაციის დამგეგმავების აზრით, პირველივე გასროლების შემდეგ ბანაკში შუქი ჩაქრებოდა და წყვდიადში ჩაიძირებოდა, ამიტომ პირველი სასინჯი სროლების შესრულება ფოსფორული ნაღმებით გადაწყდა.

ფრანგული შვეულმფრენი
SA.321 Super Frelon-ი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ისრაელელთა პოზიციების დაბომბვაში ხშირად საბჭოთა წარმოების Су-7-ები მონაწილეობდნენ

## ოპერაციის ჩანაფიქრი

ჩანაფიქრით შვეულმფრენი დანიშნულ ადგილზე ძირითად ტვირთს მიიტანდა, თერთმეტ მებრძოლს გადმოსვამდა და იმ ადგილს სწრაფად გაეცლებოდა.

მეორე შვეულმფრენი დანიშნულ ადგილზე 4 მებრძოლს დატოვებდა და შემდგომ მეთვალყურეობითა და ცეცხლის კორექტირებით იქნებოდა დაკავებული, ხოლო ოპერაციის დასრულების შემდეგ მებრძოლთა ევაკუაცია ჰქონდა დავალებული.

მესამე შვეულმფრენი მდინარე ნილოსის აღმოსავლეთით გადმოსხმის ადგილიდან ხუთი წუთის საფრენ მანძილზე ჰაერში ბარაჟირებას დაიწყებდა. მისი ამოცანა ევაკუაციისას მედესანტეებით სავსე შვეულმფრენის დაზღვევა იყო.

ამავე შვეულმფრენის ბორტზე სარეზერვო ჯგუფი და საწვავით სავსე ავზები იქნებოდა იმ შემთხვევისათვის, თუ ძირითადი ამოცანის შემსრულებელ შვეულმფრენს საწვავი გაუთავდებოდა.

ოპერაციაში კიდევ ორი დამხმარე შვეულმფრენი იყო ჩართული. პირველი რეზერვში იყო და შემთხვევით მწყობრიდან გამოსული რომელიმე ძირითადი შვეულმფრენი უნდა შეეცვალა. მეორეს კი ნებისმიერ დროს შეეძლო მოქმედი მანქანების ავზების საწვავით შევსება.

ოპერაციის წინ მასში მონაწილე ქვედანაყოფებმა „გენერალური რეპეტიცია" ოპერაციის ადგილმდებარეობის მსგავს გარემოში ჩაატარეს. დიდი ყურადღება დაეთმო სროლების სიზუსტეს.

გენერალური შტაბის უფროსმა ამოცანა საბოლოოდ დააზუსტა, სპეცრაზმელებს მიწაზე ყოფნის დრო 30 წუთით განუსაზღვრა და მოწინააღმდეგის მიმართულებით არანაკლებ 50 ნაღმის გასროლა დაავალა.

ოპერაციის საწყის წერტილად შარმ-ელ-შეიხის სამხედრო აეროდრომი, ხოლო შვეულმფრენთა დასატვირთად სინას დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი დასახლება შეირჩა.

რაზმის მეთაურ კაპიტან იცხაკ მორდეხაის განკარგულებაში იყვნენ კაპიტანი დანი ლავი და კიდევ ერთი ოფიცერი, ოთხი ნაღმმტყორცნელი და რამდენიმე მებრძოლი, რომლებსაც ნაღმსატყორცნთა პოზიციების საცეცხლე საშუალებებით მხარდაჭერა ევალებოდათ.

გაფრენის წინ ოპერაციის მონაწილენი აწონეს და აღმოჩნდა, რომ წვრთნების შედეგად თითოეულ მათგანს რამდენიმე კილოგრამი ჰქონდა დაკლებული და ამ „ეკონომიის" ხარჯზე შვეულმფრენმა დამატებით რამდენიმე ნაღმი მიიღო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი სამხედრო პილოტის საბედისწერო გაფრენა




## „19 სექტემბერს, ქართული სამხედრო ავიაციის დაარსების დღეს იყო დაბადებული“

არიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში წარუშლელი კვალი დატოვეს, თუმცა, ამის შესახებ საზოგადოების დიდ ნაწილს არაფერი სმენია. ერთ-ერთი ასეთია მფრინავ-ინსტრუქტორი, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაესკადრილიის შტაბის უფროსი დავით ცხოვრებაძე, რომელსაც 19 სექტემბერს, ქართული ავიაციის დაარსების დღეს, 29 წელი შეუსრულდებოდა. საბედისწერო გაფრენამდე მაგიდაზე დახვავებული ნახაზები, გაანგარიშებები, ქართული სამხედრო ავიაციის განვითარებისთვის გადალახული და მოსაგვარებელი უამრავი პრობლემა დარჩა.

2001 წლის 21 სექტემბერს თაფანის ველზე ქართული სამხედრო ავიაცია საწვრთნელ ფრენებს ასრულებდა. სამმა თვითმფრინავმა სინქრონული ფრენით გაარღვია ცა და მთების მიღმა გაუჩინარდა. იქიდან მხოლოდ ორი დაბრუნდა... ეს იყო უბედური შემთხვევა, რომელიც ფრენისას არც ისე იშვიათია, — შემობრუნებისას, დავით ცხოვრებაძის თვითმფრინავის მინას ფრინველი მიენარცხა და ჩაამტვრია. როგორც სპეციალისტები ამბობენ, თვითმფრინავმა წონასწორობა დაკარგა და დაღმასვლით ფრენისას ხევებს კენწერო წააცალა. მფრინავს კატაპულტირება არ უცდია, ბოლომდე იბრძოლა სამხედრო თვითმფრინავის გადასარჩენად, 150-მდე მეტრი „მუცლით იხოხა“, შემდეგ კი ხევში გადაეშვა. ხევის მიღმა სოფელი იყო. სავარაუდოდ, მფრინავმა მოსახლეობას საფრთხე არ შეუქმნა და თავი გაწირა. არადა, ახალდაბადებულ სამხედრო საქმეს კვალიფიციური კადრები მართლაც ძალიან სჭირდებოდა.

„პროფესიონალი, მიზანდასახული და საოცრად ენერგიული; ადამიანი, რომელიც მფრინავად იყო დაბადებული“, — ასე ახასიათებენ მას ახლობლები.

საქართველოში საავიაციო ინსტიტუტი რომ დაარსდა, დავითი მესამე კურსზე იყო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლობდა. როგორც კი მისი საოცნებო სპეციალობის სასწავლებელი შეიქმნა, სწავლა იქ გააგრძელა. ოჯახი მის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ დავითს თავისი საქმე იმდენად უყვარდა, მიხვდნენ, მათ პროტესტს აზრი არ ჰქონდა. მან თავისი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის მცირე დროის განმავლობაში ახალდაბადებული ქართული სამხედრო ავიაციის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანა მოასწრო.

სტუდენტობის დროს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. თავისუფალ დროს საათობით იდგა კედელთან და მუშაობდა. ერთხელაც ორი სამხედრო თვითმფრინავი დაუხატავს. როცა შენობა შეაკეთეს და კედლები გადაღებეს, ის ოთახი ხელუხლებელი დატოვეს, თუმცა შემდეგ აფხაზეთიდან დევნილებმა ნახატი წაშალეს.

არდადეგების დროსაც კი მუშაობდა. ჭიათურაში ყოფნისას პატარა ავიაგამანადგურებელი დაუხატავს. „ქაღალდი არ ეყო და ნაშრომი კედელზე გადაიტანა, თუმცა, მისი დასრულება ვერ შეძლო, კუდი დაუსრულებელი დარჩა“, — იგონებენ მისი ოჯახის წევრები და სინანულით დასძენენ, — ავიაკატასტროფის დროს მის თვითმფრინავს სწორედ კუდი მოსწყდაო.

ქართველი მფრინავის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას საქართველოს ფარგლებს გარეთაც აფასებდნენ. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ამერიკაში ორი წლით წასული ქართველი ახალგაზრდა ტეხასის შტატში ლონგლინის საჰაერო ბაზაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამ ტრაგედიამდე და მის შემდეგაც, მის პატივსაცემად სხვადასხვა ქვეყნიდან მფრინავები ჩამოდიოდნენ. დავით ცხოვრებაძის დაღუპვის შემდეგ ლონგლინის სამხედრო-საჰაერო ბაზის წარმომადგენელმა ჯონ გალსფაი მაგიმ დაღუპულის ოჯახს მისთვის მიძღვნილი ლექსიც გამოუგზავნა, რომელიც ქართულ სათვისტომოს წევრს დავითის მშობლიურ ენაზეც ათარგმნინა.

„მე ავიჭერი ზეცაში მაღლა და მოვწყდი მიწას/, შევეთამაშე სივრცეს ზევით ვერცხლისფერ ფრთებით/, მაღლა სვლით მზისკენ შევერიე ზეციურ ჯადოს/. მზე ღრუბლებს არღვევს, მე კი მისკენ ვისწრაფვი ფრენით“.

**პაატა ცხოვრებაძე, დავითის ძმა:**

— მასზე 6 წლით უფროსი ვიყავი. მეც სამხედრო-საავიაციო საქმეს მივყვებოდი და შემეძლო მისთვის „სხვანაირად“ მიმეხედა, ყურადღება მიმექცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა



დელ-რიოს საავიაციო აკადემიაში მუშაობა შესთავაზეს და უარი თქვა

მაგრამ იმდენად დამოუკიდებელი პიროვნება იყო, უნდოდა ყველაფრისთვის თავად მიეღწია. ასეც მოხდა, 29 წლის იყო, მაგრამ საკმაოდ კარგი გზა გაიარა. რამდენჯერმე საჩუქრად თვითმფრინავის მაკეტი და ძრავები ჩამოვიტანე. მას მერე შეუყვარდა ავიაცია. თვითმფრინავის შექმნაც შეეძლო და მისი გამოცდაც. ჰაერში ფრენა მხოლოდ რომანტიკა არ არის, ნებისყოფის უდიდესი გამოცდაა. მფრინავმა იცის, რომ უბედური შემთხვევისგან დაზღვეული არ არის და ყოველ წუთს სიკვდილს თვალებში უყურებს. თუმცა, ფრენაზე უარს მაინც არ ამბობს.

ტეხასში, სადაც საქართველოს თითქმის არავინ იცნობდა, ყველა გაუოცებია თავისი საქმის ცოდნითა და განათლებით“.

ამერიკაში წასვლამდე დავითი, საქართველოს საავიაციო ინსტიტუტში სწავლობდა, რადგან ქართულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოები არ არსებობდა, სასწავლო პროცესი რუსულად მიმდინარეობდა. დავითს არაერთხელ აღმოუჩენია წიგნში შეცდომა. 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების დროს ინსტიტუტში სწავლა გართულდა, მაგრამ კურსანტები დაბრკოლებებს არ უშინდებოდნენ.

**ლელა ქრისტესიაშვილი, მარნეულის სამხედრო ნაწილის ექიმი:** — 1993 წელს, მაშინ, როცა საქართველოს სამხედრო ავიაცია სუნთქვას იწყებდა, საავიაციო ინსტიტუტმა პირველი კურსდამთავრებულები აჩუქა სამშობლოს. იმ კურსანტების დამოკიდებულება საქმის მიმართ მაოცებდა, ყველაფერს თავად აკეთებდნენ, აუდიტორიების მოწყობაშიც კი მონაწილეობდნენ. ამაყობდნენ, რომ ქართული სამხედრო ავიაციის განვითარების კარიბჭე პირველად მათ უნდა შეეღოთ. 1998 წელს უკრაინიდან საქართველოში, ფოთის პორტში 10 დაშლილი და ნახმარი, „დელფინის“ ტიპის L-29 თვითმფრინავი ჩამოიყვანეს, რომელთა ასაწყობად მფრინავთა ჯგუფი გაგზავნეს, მათ შორის იყო დავით ცხოვრებაძეც. ორკვირიანი მუშაობის შემდეგ თვითმფრინავებიააწყვეს და მარნეულის საწვრთნელ ბაზაზე ჩამოფრინდნენ. დავალების ბრწყინვალედ შესრულებისთვის დავით ცხოვრებაძეს ქების სიგელი გადასცეს. შემდეგ კი გაირკვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველ მფრინავთა მომზადება იწყებოდა. იქ წასვლას ბევრი ცდილობდა, მაგრამ ავიატორმა, პირველი კლასის მფრინავმა ედუარდ გოგიაშვილმა არჩევანი დავით ცხოვრებაძეზე შეაჩერა. ერთი სიტყვით, დავითი სახელმწიფო ხარჯებით ორწლიან სტაჟირებაზე ამერიკაში გაუშვეს“.

დავით ცხოვრებაძემ სწავლა ტეხასის შტატის, სან-ანტონიოს საერთაშორისო ენების ინსტიტუტში გააგრძელა, შემდეგ კი დელ-რიოს საავიაციო აკადემიას მიაშურა. ლონგლინის სამხედრო-საჰაერო ბაზის შესასვლელ კარებს დღემდე ამშვენებს შემდეგი სიტყვები: „ამ კარის ზღურბლი გადაულახავთ მსოფლიოში საუკეთესო მფრინავებს“.

ქართველ მფრინავს სამუშაოდ დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა, — მას სამშობლო ელოდა, სადაც ბავშვობის ოცნება უნდა აეხდინა. ეს იყო ქართულ ცაში ფრენა და საქართველოს სამხედრო ავიაციის მსოფლიო დონეზე განვითარება. არადა, არც ამერიკაში სწავლა და ცხოვრება იყო ადვილი. როგორც მისი მეგობრები იგონებენ, ამერიკაში ცხოვრების ხარჯები დიდი იყო, სტიპენდია — მცირე და დღის განმავლობაში ქართველი სტუდენტის საკვები ერთი ვაშლი იყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იქ გადატანილ გაჭირვებაზე ახლობლებისთვის იუმორით მოუყოლია. ვიღაცას უთქვამს, სამშობლოში რატომ არ დაბრუნდი, მწვანე ბარათი ხომ გქონდაო? დავითს სწყენია, იქ უამრავი ქვეყნის წარმომადგენელი სწავლობდა და ყველას თავისი სახელმწიფოს დროშა ჰქონდა, პატარა საქართველოს დროშა მეც ღირსეულად უნდა მეტარებინაო.

სტიპენდიიდან ფულს აგროვებდა, რათა ინსტიტუტის დამთავრებისთვის სამხედრო ფორმა შეეკერა, იქაურებს ხომ არ ვაფიქრებინებდი, რა ღარიბი ქვეყნის წარმომადგენელი ყოფილაო.

დელ-რიოს საავიაციო აკადემიაში სწავლისას, ერთ-ერთი მოხსენების დროს, ორი თემა მოუმზადებია, ამერიკასა და საქართველოზე. სამშობლოზე მოხსენება ასე დაუწყია: „ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას 26-საუკუნოვანი ისტორია აქვს. მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობიდან ერთ-ერთი ქართულია, ყველასგან განსხვავებული თავისი სრულყოფილი ენით. რაც იწერება, ის წარმოითქმის, მას ასოების შეერთებით სხვა ბგერის წარმოთქმა არ სჭირდება“. ერთ-ერთმა მსმენელმა, რომელმაც საქართველოს არსებობის შესახებ პირველად მაშინ გაიგო, გაოცებულმა იკითხა: „მაშ, თქვენ დინოზავრების ქვეყნიდან ხართ?“

მოხსენების დასრულების შემდეგ, დავითს ბიბლიოთეკიდან ენციკლოპედია გამოუტანია და დაინტერესებული პირებისთვის საქართველოს შესახებ ცნობები მიუწოდებია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სტაჟირებაგავლილი დავით ცხოვრებაძე მფრინავ-ინსტრუქტორად, ავიაესკადრილიის შტაბის უფროსად დაინიშნა. ახალგაზრდა მფრინავი განსაკუთრებულ ყურადღებას წესრიგს აქცევდა. ხშირად უთქვამს, ბევრი რამ არის გასამარტივებელი. სამხედრო მმართველობაში უამრავი ზედმეტი რგოლია და თანხა უაზროდ იხარჯებაო. მის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „საკმარისია, მოწყობის შემდეგ პირადმა შემადგენლობამ ნაწილი სათანადო მეთაურებთან ერთად ობიექტზე გაგზავნოს, რომ ყველამ, უბრალო ქვეშევდრომებმა და მეთაურებმა თავი არხეინად იგრძნონ და აღარაფერი გააკეთონ. საჭიროა, აღმზრდელობითი მუშაობა დისციპლინის დამრღვევებთან. უნდა გამკაცრდეს სასჯელი საავიაციო ესკადრილიაში, გაგრძელდეს საბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო და სამეთაურო მომზადება გეგმის მიხედვით. უნდა დასრულდეს სამუშაოები საავიაციო ესკადრილიის ტერიტორიაზე, მოწესრიგდეს და გამზადდეს თვითმფრინავის სადგომები".

**ბესო მაისურაძე, დავით ცხოვრებაძის მეგობარი:**

— ძალიან უყვარდა ბუნება, ნადირობა და თევზაობა... დავდიოდით ჯიხვებზე სანადიროდ. საოცრად მახვილი თვალი ჰქონდა. ამ პასუხისმგებლობით სავსე ადამიანს, საოცარი იუმორი ჰქონდა. ერთხელ ნასვამს ჩამეძინა. დათომ ჰაერის გამაგრილებელი ჩამირთო და იქვე ახლოს ხურდა დაუყრია. მთელი ღამე ისეთ გუგუნსა და ხმაურში გავატარე, თავი სამჭედლოში მეგონა.... თითქოს ორი განსხვავებული ადამიანი ცხოვრობდა მასში: ერთი ძალიან ხალისიანი, მეორე კი საქმის მკეთებელი, სერიოზული და მიზანდასახული".

**გია ცანავა, დათოს მეგობარი:** „დიდხანს ველოდით, რომ ამ სფეროთი ვინმე დაინტერესდებოდა და სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ ამის იმედი არ ჩანდა. ძველ თვითმფრინავებსა და მოუწყობელ საცხოვრებელს, დაბალი და გაუცემელი ხელფასებიც ემატებოდა. გვიჭირდა მუშაობა... მორიგი ჯანმრთელობის შემოწმების დროს, მე და ირაკლი ბლიაძე დაგვიწუნეს, მე სასუნთქი გზების პრობლემა მქონდა, ირაკლის — გულის. დიდად არ გვწყენია, მაგრამ მარნეულიდან წამოსვლა და დათოსთან განშორება კი ძალიან განვიცადეთ. ცალ-ცალკე ყოფნა ვერც წარმოგვედგინა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა... ერთხელ ირაკლიმ დაურეკა, ხომ ხედავ, მფრინავის საქმიდან არაფერი გამოდის, ჩვენს ქვეყანაში ძლიერი სამხედრო ავიაცია არავის სჭირდება. მარტო ენთუზიაზმით კი ვერაფერს გახდები, წამოდი და სხვა საქმეს მოჰკიდე ხელი, ჩვენ დაგეხმარებითო. დათო დუმდა. ირაკლის ეგონა, დათომ ჩემი შეთავაზება ვერ გაიგოო და გაუმეორა. დათომ მცირე ხნის შემდეგ მიუგო, არ შემიძლია, დაწყებულ საქმეს ვერ მივატოვებო".

**დავით აბრამიშვილი, დავით ცხოვრებაძის მეგობარი:**

— საოცრად თავმდაბალი იყო. ამერიკაში სწავლის დროს დავითს არ გაუმხელია, რომ უკვე გამოცდილი მფრინავი იყო და ნაწილში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. ვიდრე ამერიკიდან ჩამოვიდოდა, სამხედრო ნაწილში კომპიუტერი გვქონდა, რომელსაც ვერავინ იყენებდა. დათომ კომპიუტერის დახმარებით დოკუმენტაცია მოაწესრიგა და მუშაობა გაგვიადვილა. მანვე მაიძულა, კომპიუტერზე მუშაობა მესწავლა. ყველაფერს, რასაც კი ცხოვრებაში მივაღწიე, მას ვუმადლი. თვითონაც ძალიან უჭირდა, მაგრამ სტიპენდიიდან დანაზოგს მიგზავნიდა, ოჯახი გყავს და მეტი გჭირდებაო".

**ირაკლი ბლიაძე, დავით ცხოვრებაძის მეგობარი:**

— გამოცდების ციებ-ცხელებისას, მაშინ, როცა მათემატიკას ვაბარებდით, ვიღაც უცნობმა აბიტურიენტმა ორი ფორმულა შემახსენა და მისი დახმარებით გამოცდაზე გამსვლელი ქულა მივიღე. ასე გავხდი სტუდენტი. შემდეგ გავიგე, რომ ეს ყმაწვილი დავით ცხოვრებაძე იყო. თვითმფრინავთა და შვეულმფრენთა მშენებლობის სპეციალობაზე ერთად მოვხვდით. ჯგუფში იყვნენ შემდგომში ჩვენი უახლოესი მეგობრები: სიმონ იაკობიძე, გია ცანავა, ლევან ჩიქოვანი, მამუკა ვეფხვაძე, კოკა ჯაფარიძე... ფანატიკურად გვიყვარდა ჩვენი სპეციალობა. ბევრს ვმეცადინეობდით, ვსწავლობდით, ვადგენდით კონსპექტებს, ვკითხულობდით ლიტერატურას და ვკამათობდით... დავითი ძალიან ნიჭიერი, მტკიცე ნებისყოფისა და ვაჟკაცური ბუნების კაცი იყო. იშვიათად, მაგრამ მაინც ყოფილა შემთხვევა, როცა მეგობრები სუფრასთან გვიანობამდე შემოვრჩენილვართ, ამის მიუხედავად, შეეძლო დილაადრიანად ამდგარიყო, წიგნებს ჩასჯდომოდა და ინსტიტუტში მომზადებული მისულიყო. ყოველთვის მაოცებდა მისი პასუხისმგებლობის გრძნობა".

**ნონა გაფრინდაშვილი, დავით ცხოვრებაძის დედა:**

— დავითი ისეთი ფესვებიდან იღებს სათავეს, უფლება არ ჰქონდა სხვანაირი კაცი ყოფილიყო. ჩემი ბაბუა, ვასილ გაფრინდაშვილი მწიგნობარი და სწავლული კაცი იყო. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობდა. 1921 წელს, როცა მენშევიკურმა მთავრობამ თავი საფრანგეთს შეაფარა, ვასილი მათ არ გაჰყვა და საქართველოში დარჩა, რის გამოც ახალგაზრდობის წლები გადასახლებაში გაატარა. სამშობლოში ხანში შესული დაბრუნებულა და თურმე თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა დამწვარი დახვდა. წიგნებს მაინც რას ერჩოდნენ ის ულმერთოებიო, უთქვამს და ცრემლი ჩუმად მოუწმენდია. ღირსეულ წინაპრებს დათო სათანადოდ აფასებდა და სიამაყით ამბობდა, ჩემი ქვეყნისთვის ბოლომდე უნდა დავიხარჯო, სხვანაირად მოქცევა არ შემიძლიაო. ლიდერის ხასიათი ჰქონდა. ძალიან მკაცრი და საქმიანი იყო, მაგრამ სინამდვილეში რბილი და ფაქიზი ბუნება ჰქონდა. პოეზია უყვარდა. განსაკუთრებით გალაკტიონი და ლადო ასათიანი... ახლა ყოველი დავითობის დღესასწაულზე, ჩემი შვილის ქართველი და უცხოელი მეგობრები ჩვენთან იკრიბებიან. 19 სექტემბერი არასდროს გამოგვრჩენია, — ეს დღე ქართული სამხედრო ავიაციის დაარსებისა და ჩემი შვილის დაბადების დღეა. მისი დაღუპვის წელსაც ჩამოვედი ჭიათურიდან, რათა დათოს დაბადების დღე აღგვენიშნა, მაგრამ რადგან საწვრთნელი ფრენები 21 სექტემბერს სრულდებოდა, გადაწყვიტეს, დაბადების დღეც მაშინ აღენიშნათ, თუმცა... მხოლოდ მისი დაკრძალვის შემდეგ დასხდნენ მისი მეგობრები და დათო გაიხსენეს. უბედური ვარ, რომ შვილი დავკარგე, მაგრამ ამავდროულად ბედნიერი დედა ვარ, რადგან მისი მეგობრები მუდმივად იმეორებენ, სამშობლოს სიყვარული დავითმა გვასწავლაო".

***ლალი პაპასკირი***



ინგლისელ კოლეგებთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ხდებოდა რეზერვში

## პალდოს ბაზაში გატარებული 16 დღე



შეკრება მწყობრში დგომის ჩვევათა გამომუშავებით იწყება

### 18 ივნისი

დილით დროზე ადრე ვდგები. სხვა გზა არ არის, იმ საშინელი ტუალეტით უნდა ვისარგებლო. ზოგიერთი რამდენიმე დღეა, ითმენს.

6 საათზე სერჟანტი შემოვიდა კარავში და ვისაც ჯერ კიდევ ეძინა, გააღვიძა. 15 წუთში პირის დაბანა და წვერის გაპარსვა უნდა მოვასწროთ, მერე დილის ვარჯიში იწყება. ზოგს უჭირს, ფიზიკურ დატვირთვას არ არის მიჩვეული. ვარჯიში არ მადარდებს, მაგრამ ძნელია, ორი ზომით დიდი შარვლით სირბილი. ქამრები არ დაგვირიგეს და შარვალს ზონრით ვიკრავთ.

სასადილო ჩვეულებრივ შენობაშია. ვარჯიშის შემდეგ მოგვაწყვეს და მწყობრით მივედით სასადილომდე. სერჟანტმა გვიბრძანა, ქუდები მოიხადეთ და ვინც რა სარწმუნოებაზე ლოცულობთ, თქვენთვის ილოცეთო. ასეთი წესი ყოფილა ჯარში, ჭამის წინ ქუდს იხდიან და ლოცულობენ. რეზერვიდან დაბრუნებულმა ისიც გავიგე, რომ ლოცვის გამო ჩხუბიც მომხდარა, შენ რატომ არ იწერ პირჯვარსო, რეზერვისტებს ლამის უცემიათ ერთი ბიჭი. ჩვენთან მსგავსი არაფერი მომხდარა, ალბათ, ან შეცდომები გაითვალისწინეს, ან უკეთესი სერჟანტი გვყავდა და არავისთვის დაუძალებია მაინცდამაინც „მამაო ჩვენოს“ თქმა. სწორიც არის, ოცეულში აზერბაიჯანელი და სომეხი რეზერვისტებიც გვყავს.

საუზმე ნორმალურად მეჩვენა. ჩაისთან ერთად ყოველთვის კარაქიც იყო. თუმცა, რეზერვისტებში ჭორია გავრცელებული, ჩაიში რაღაც ნივთიერებას ურევენ, რომელიც პოტენციას ამცირებსო. ვშაყირობთ, რაც ჩვენ თავს გადაგვხდა, უწამლოდაც ისედაც ყველაფერი შემცირებული გვაქვსო. ბევრი რეზერვისტი ჩაის ამი გამო არ სვამს. სერჟანტებმა რომ გაიგეს ეს ჭორი, გაიცინეს, ნეტა სისულელეებს არ იჯერებდეთო.

საუზმის შემდეგ მეცადინეობის გრაფიკის მიხედვით იარაღების გაცნობაა. ყუმბარსატყორცნებისა და სნაიპერული შაშხანების ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების გაცნობა საინტერესო იყო. ასევე გვიხსნიან პირველადი სამედიცინო დახმარების დეტალებს. უცებ მორიგი ბრძანება მივიღეთ: სასწრაფოდ თქვენს კარვებში წადით და 10 წუთში სამოქალაქო და სამხედრო ჩანთებით პლაცზე მოეწყვეთ, შესაძლოა კაშხალმა წყალს ვერ გაუძლოს და ევაკუაცია დაგვჭირდესო.

როგორც ჩანს, უკვე შევეჩვიეთ განგაშის რეჟიმს და დათქმულ დროში უკვე მთელი ბატალიონი გასაქცევად მზად ვართ. მეთაური გვეუბნება, რომ იმ სპეციალისტების დასკვნას ელოდებიან, ვინც კაშხალს ამოწმებს. ბოლოს გვითხრეს, დაიშალეთ, თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდება, მაშინ სასწრაფოდ გავალთ ნაწილიდანო.

სადილის შემდეგ სამწყობრო ნაბიჯით ვიარეთ. გვავარჯიშებენ. იარაღის დარიგებაც მოასწრეს. AK-47-ები დაგვირიგეს. საკმაოდ ძველი იარაღია.

გაგვაფრთხილეს, თუ ვინმე ავტომატს უმეთვალყურეოდ დატოვებს, დაისჯებაო. მოკლედ, გვინდა თუ არა, ახლა სულ ავტომატგადაკიდებულებმა უნდა ვიაროთ და ძილიც ავტომატზე ხელგადახვეულებს მოგვიწევს. სასაცილოა, მაგრამ ისიც გამოგვიცხადეს, ტუალეტშიც ავტომატებით უნდა იაროთ, თორემ დაისჯებითო. აღშფოთებაც ვერ მოვასწარით, ერთ-ერთ რეზერვისტს ტუალეტში მჭიდები ჩაუვარდა. ატყდა ერთი ამბავი და ბოლოს უფროსობამ გადაწყვიტა, ტუალეტსა და აბანოში თან ნუ წაიყოლებთ ავტომატებს, მეგობარს დაუტოვეთ ხოლმეო.

საღამოს მოწყობაზე ბატალიონის მეთაურმა კიდევ ერთხელ გვითხრა, რომ მუდამ მზად ვიყოთ, არ ვიცით, როდის მოგვიწევს ევაკუაცია.

დღეს ისევ ვერ მოვახერხეთ ბანაობა. ეს უკვე ნაკლებად გვაწუხებს. როგორც ჩანს, ან შევეჩვიეთ, ან მოთხოვნილება გაგვიქრა.

### 19 ივნისი

ღამით უკვე გვეძინა. შევეჩვიეთ. შუაღამითაც არავის გავუღვიძებივართ. გამოძინებულებმა უკვე ტუალეტსაც გავუძელით. თუმცა, ზოგი მაინც ვერ ბედავს ტუალეტში შესვლას და მეოთხე დღეა იტანჯება.

მოწყობის ბრძანების დროს უკვე დროში ვეტევით. დილის ვარჯიშსაც შევეჩვიეთ. საუზმე დიდი არაფერია, მაგრამ, უკვე საკვებიც ასატანი გახდა.

საუზმის შემდეგ ისევ პლაცზე მოგვაწყვეს და ლექცია ჩაგვიტარდა იარაღის დაშლა-აწყობაზე, ასევე ტაქტიკური გადაადგილებების სახეობებზე, იარაღით გადაადგილებაზე გადარბენებით, მაღალი ცოცვითა და დაბალი ცოცვით.

ამის შემდეგ უკვე საველე პირობებში, ველზე გავედით და იქ გვქონდა ლექცია იარაღის შესახებ, ასევე ტაქტიკური გადაადგილება პრაქტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაში, მოკლე გადარბენები შეტევისას და უკან დახევისას, ასევე ცოცვით გადაადგილება წინ და უკან... მოკლედ, მაგრად დავიღალეთ. ჩვენს ათეულს გადარბენების დროს შეცდომები ჰქონდა და ამის გამო დავისაჯეთ – აზიდვების კეთებამ მოგვიწია. აქ ყველაფრის სასჯელი აზიდვებია, რაოდენობას კი სერჟანტი წყვეტს.

საღამოს ნაწილში დავბრუნდით. ზოგი შეეჩვია, ზოგმაც წუწუნს უმატა.

მოწყობისას უკვე სიმღერით სამწყობრო ნაბიჯით გადაადგილებას გვასწავლიან. სერჟანტები ოცეულებს გვაჯიბრებენ ყველაფერში. გვითხრეს, ხვალ კრწანისის პოლიგონზე წახვალთ ყუმბარსატყორცნის მსროლელები. ოღონდ, ამჟამად, ავტომატი უნდა ვისროლოთ.

## 20 ივნისი

დილით მოღრუბლული იყო. გვითხრეს, პოლიგონზე ძალიან ცხელა. კრწანისამდე 45 კილომეტრია. სამხედრო მანქანებით მივდივართ. ცოტა წამოწვიმა. სირენის ხმა გვაუწყებს, რომ პოლიგონზე სროლა იწყება და სასროლეთზე აღარავინ უნდა იყოს. ინსტრუქტორები უსაფრთხოების ზომებს მკაცრად იცავენ. ავტომატით მსროლელებისთვის 10 პოზიციაა. ცალკეა ტყვიამფრქვევების, ყუმბარსატყორცნების თუ სხვა საშუალებების მსროლელთა ტერიტორია.

შეუჩვეველი ადამიანისთვის ავტომატის ხმა სასიამოვნო მოსასმენი ნამდვილად არ არის. მაგრამ რას ვიზამ, ჩემი ჯერი რომ მოვა, უნდა ვისროლო. ამასობაში გაწვიმდა. სიცხეს გადავრჩით, მაგრამ სროლა როგორ ჩაივლის? თან, ეს ძველი ავტომატები... მოვიდა ჩემი ჯერიც. ჯავშანჟილეტის გარეშე პოზიციაზე ვერავინ გავა. გვინდა თუ არა, უნდა ჩავიცვათ. ძალიან მძიმე ჩანს და მოუხერხებელი. თან, ეს საბჭოთა დროინდელი ჩაფხუტი თავზე... მოკლედ, ასეა თუ ისე, ჟილეტი მოვირგე, მჭიდები გამოვართვი და მივედი პოზიციაზე. ნაწვიმარია და გრილა. სიცხეში უარესი იქნება სროლა. დაძაბული ვარ, ამ ძველმა ავტომატმა „იაღლიში“ არ ჩაიდინოს.

მესმის ბრძანება: „მოარგეთ მჭიდები!“

მოვარგე.

„დაუმიზნეთ!“ დავუმიზნე, ისე როგორც ინსტრუქტორმა ლექციის დროს გვასწავლა. „ცეცხლი!“ — ვუყურებ სამიზნეს, სუნთქვა შევაკავე და სასხლეტს ხელი გამოვკარი.

არ გავარდა.

სხვებმა ისროლეს.



სარეზერვო დანაყოფი საწყისი პოზიციების დასაკავებლად მიემართება

ინსრუქტორი მოვიდა, ხელახლა გადატენა ჩემი ავტომატი და დამიბრუნა.

დავუმიზნე.

გავარდა.

მეორეც.

მესამეც.

შეწყვიტეთ ცეცხლი! სამიზნეების სანახავად მიდიან. რომ მობრუნდნენ, მე მიყურებენ. ნუთუ ყველა ავაცდინე?

მომიახლოვდნენ. ყოჩაღ! ორი ათიანშია, ერთიც ექვსიანში!

არ ველოდი. შედეგი მესიამოვნა.

ინსტრუქტორი ამბობს, სამი ტყვია ხუთიანებში რომ გაარტყა, ჩათვლას ეგეც ჰყოფნისო. მე კი ათიანებში და ექვსიანში გავარტყი.

კიდევ 3-3 ვისროლეთ, მაგრამ მსგავსი შედეგი აღარ მქონდა. თუმცა, პირველი 3 ტყვიის მიზანში მოხვედრა საკმარისი აღმოჩნდა ოცეულში სალაპარაკოდ. „იობაშვილმა სამიდან ორი ათიანში მოარტყა“. სასაცილოა, სნაიპერობა ძველი ავტომატით.

საღამოს ბაზაში დავბრუნდით. დღეს პირველად მოვახერხე ბანაობა. აბანოები გრძელ კონტეინერებშია. თითოში დაახლოებით 25 ადგილია. ამიტომ აქ რიგი ჩვეულებრივი ამბავია. როცა შევაღწიე, რატომღაც ცხელი წყალი გაითიშა. მაგრამ რა დროს ცხელი წყალია, ყინულოვით ცივი წყლის ქვეშ შევვარდი. რომ გამოვედი, თავს საოცრად კარგად ვგრძნობდი. მერე თქვეს, ცხელი წყალი სულ 10 წუთით იყო გათიშულიო.



მიზანში სროლა ინსტრუქტორთა მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვარჯიშები რეალურ საბრძოლო მოქმედებებთან მაქსიმალურად მიახლოებულია

## 21 ივნისი

დღეს ისევ ველზე გავედით, ლექციაა ტოპოგრაფიაში. გვასწავლიან გარემოში ორიენტაციას, ექსტრემალურ პირობებში გადარჩენის რამდენიმე საშუალებას. ლექციის თუ შესვენების დროს სერჟანტებმა უკვე რეზერვისტებისთვის ავტომატების მოპარვა დაიწყეს. ვისაც ავტომატს მოპარავენ, აზიდვები გარანტირებული აქვს.

სადილის შემდეგ ისევ ველზე გავედით და ლექცია გვაქვს ყუმბარსატყორცნ РПГ-7-ის შესახებ. ინსტრუქტორი გვეუბნება, რომ ეს იარაღი აუცილებლად შეგვიყვარდება. იარაღი არასდროს მყვარებია. ალბათ, არც ამ ყუმბარსატყორცნზე გადამეკეტება ჭკუა.

მოსაღამოებულზე ბაზაში დავბრუნდით. სანამ ვახშამი იქნება, მანამდე სავარჯიშოდ მივდივართ. სირბილი, აზიდვები — ესაა ჩვენი ვარჯიშის სახეობა. სერჟანტმა გადაწყვიტა ათეულები სირბილში შეგვაჯიბროს. შეჯიბრება ჩვენმა ათეულმა კი მოიგო, მაგრამ ჩვენს ოცეულში მყოფ სომეხ რეზერვისტს ზედმეტი მონდომების გამო ფეხი გადაუბრუნდა და დაეცა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ლავიწის ძვალი გაუტეხია. საწყალს, შერჩა 5-დღიანი რეზერვი, თაბაშირში ჩასმული ხელი და რეზერვის ჩაუთვლელობა.

## 22 ივნისი

რაც რეზერვში ვარ, წუხელ პირველად მეძინა ნორმალურად. რაღაც სიზმრის მსგავსიც ვნახე. გამთენიისას, ექვსის ნახევარზე, თავისით მეღვიძება. ტუალეტისაც თითქოს ისე ძალიან აღარ მეშინია. ცივი წყლით წვერის გაპარსვასაც მივეჩვიე.

საუზმის შემდეგ მოგვაწყვეს და ყუმბარსატყორცნის მსროლელების გარდა ყველა წაიყვანეს კრწანისში. ჩვენ ბაზაში დაგვტოვეს. მაგრად ცხელა. კრწანისში უარესი იქნება.

დღეს პირველად მოვახერხეთ შუადღისას კარვებში წამოწოლა. არადა, წესით არ შეიძლება.

დღეს დისშვილის დაბადების დღეა და ტელეფონით მილოცვასაც ვერ ვახერხებ. მოწყვეტილები ვართ გარე სამყაროს.

## 23 ივნისი

დღეს უკვე გვიწევს კრწანისში მგზავრობა. გზაში ვსაუბრობთ. თუ რამე ჭორია, უცებ ვრცელდება. გავიგეთ, გასულ ღამეს სხვა ასეულში გაწევ-გამოწევა ყოფილა. რეზერვისტს სერჟანტისთვის შეუგინებია. ზუსტად რა მოხდა, ჩვენ ვინ გვეტყვის?! თან, ისიც თქვეს, 8 რეზერვისტი ალგეთში გაუშვესო. პალდოდან ალგეთში გაშვება დასჯაა. იქ უდაბნოა, ხე არ ხარობს და ბუჩქი. სამაგიეროდ, ქვეწარმავლებია ბლომად. კალიებიც ოხრად არისო, ამბობენ. კალიებით სავსეა კრწანისის პოლიგონიც. თან, გამაფრთხილებელი წარწერებიც არის. შეიძლება გველი შეგხვდეთ და წერია, კბენის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეთ. მოკლედ, გაწევ-გამოწევის გამო ხალხი ალგეთში გაუშვიათ. შეიძლება ასეა, შეიძლება არც არის ასე. მთავარი გზავნილი ის არის, რომ ზედმეტი ხმაური არავის აძლევს ხელს და რეზერვისტებმაც ნერვები უნდა მოთოკონ.

აღმოჩნდა, რომ ყუმბარსატყორცნის სიმულატორი უნდა ვისროლოთ. ჩვეულებრივი ყუმბარსატყორცნის ასლია, თუმცა მონიტორში ვუმიზნებთ და იქ გამოსახულ ჯერ უძრავ, შემდეგ მოძრავ ტანკს ვესვრით. 10 სროლიდან 4-4 გავარტყი. კარგი შედეგია. დამიზნების პრინციპი იგივეა, თუმცა, როგორც ამბობენ, საბრძოლო ჭურვების გასროლასთან სიმულატორი რას მოვა.

გვითხრეს, სასწავლო ყუმბარსატყორცნიდანაც უნდა ისროლოთო. სპეციალურ ყუმბარსატყორცნში საბრძოლო ჭურვის ნაცვლად AK-47-ის მანათობელი ტყვია იდება და იმავე ტრაექტორიით მიფრინავს, როგორითაც ჭურვი. ასეთი ტყვიის გასროლას ავტომატის ხმა აქვს. ვიდრე ჩვენამდე რიგმა არ მოაღწია, სროლის გამო პოლიგონზე ბალახს ცეცხლი მოედო და იმხელა ტერიტორიას გაუჩნდა ცეცხლი, სანამ სახანძროები არ მოვიდნენ, არაფერი ეშველა.

ხვალ ისვრით სასწავლო ყუმბარსტყორცნსო, — და დაგვაბრუნეს ბაზაზე.

## 24 ივნისი

დილიდან ისევ წაგვიყვანეს. უკვე გაძლებაზეა ხალხი. სასწავლო ყუმბარსატყორცნით ავტომატის ტყვიები უნდა ვისროლოთ. მოგვცეს 6-6 მანათობელი ტყვია. 6-დან 2 არ გავარდა. ძველი ტყვიებია. რაც გაისროლა, მიზანს 2 მოვარტყი.




ყუმბარმტყორცნიდან გასროლა შესრულდა... სამიზნე დაზიანებულია

ბაზაში დაბრუნებულები კარგა გვარიანად ვართ დაღლილი და მზეზე შემწვარი. საღამოს მოწყობაზე ასეულის მეთაურმა მთელი ასეული შეგვაქო. ან მართლა კარგად ვიქცევით, ან გვატყობენ, რომ ნერვები გვღალატობს და ცდილობენ, გაგვამხნეონ. ხვალ როგორ ჩაივლის სროლები, ეგ არის საინტერესო: საბრძოლო ჭურვები უნდა ვისროლოთ.

## 25 ივნისი

დილით ისევ პოლიგონზე გავემგზავრეთ. ყუმბარსატყორცნის მსროლელები თითქმის ავტონომიურ რეჟიმში ვართ. სხვა რეზერვისტებისგან ცალკე ყოფნა ხშირად გვიწევს. პოლიგონზე დილიდან საშინელი სიცხეა. გაიყვანეს ორი მსროლელი სასროლ ზღუდესთან. დანარჩენები 60-70 მეტრის მოშორებით ვდგავართ. თითო მსროლელს მეორე მსროლელი ეხმარება დატენაში და შემდეგ უსაფრთხოების ზომების დაცვაში. რასაკვირველია, გვერდით გამოცდილი ინსტრუქტორიც დგას. ჩვენ შორიდან ვუყურებთ. პირველი გასროლის ხმამ აგვაფორიაქა. ავტომატი ამასთან შედარებით პატარა გაჩხაკუნებაა. ერთმა აჭარელმა რეზერვისტმა, მეშინია, მაგას რა გამასროლინებსო და ნერვიულობისგან ნახევარ საათში ლამის ნახევარი კოლოფი სიგარეტი მოსწია.

სერჟანტი ამბობს, წინა რეზერვის დროსაც იყვნენ რეზერვისტები, ვინც ვერ გაბედა ყუმბარსატყორცნის სროლა. არადა, თუ დავუჯერებთ, სროლას ისეთი „კაიფი აქვს", როგორ შეიძლება კაცმა ამ განცდაზე უარი თქვას.

მოვიდა ჩემი ჯერი. უკვე იმდენმა ისროლა, სროლის ხმას მეტ-ნაკლებად შეგუებული ვარ. თან, ყველა აღტაცებული ამბობს, „აუ, რა მაგარი იყო". სანამ ჭურვებს ავიღებ, ჯავშანჟილეტს ჩავიცვამ და ზღუდესთან მივალ, ისოლეს. ძალიან მჭექარე ხმაა, მაგრამ სხვა რა გზაა, უნდა ვისროლო. დაგვაწყვილეს მე და სხვა რეზერვისტი. ჯერ მე უნდა ვიყო მისი თანაშემწე, დავუტენო, გარემო ვაკონტროლო, ცეცხლის გახსნის შესაძლებლობა ვამცნო და რომ გაისვრის 3 ჭურვს, უკვე მე უნდა ვისროლო მისი დახმარებით.

სერჟანტი ისე გვამზადებს, თავი ბრძოლის ველზე მგონია.

„ხმამაღლაააა!" – ყვირის სერჟანტი და მეუბნება, რაც შეიძლება ხმამაღლა ვუყვირო მსროლელს, რომ მის უკან ტერიტორია თავისუფალია და სროლა შეუძლია. მეც ვუყვირი. გვერდზე ვუდგავარ და რომ გაისროლა, ხმასთან ერთად ჰაერის ძლიერმა ტალღამ დამარტყა. გაისროლა მეორე, მესამე.

ჩემი ჯერი დადგა. მეწყვილე აშკარად ჩემზე მეტად არის დაბნეული. ძლივს მოარგო ჭურვი ყუმბარსატყორცნში. „ცეცხლიი!"

სასხლეტს გამოვკარი და ვხედავ, 250 მეტრში მდგომ დაფლეთილ ტანკს შალგებში მოხვდა.

სერჟანტი მეუბნება, რომ ოდნევ მაღლა ვესროლო. ვისვრი.

ყოჩაღ! მიყვირის სერჟანტი და მეც აზარტში შევდივარ. სროლის ხმაც უკვე მსიამოვნებს.

მესამე ჭურვის სროლისთვის ვემზადები.

უკვე აუღელვებლად ვუმიზნებ. როგორც მასწავლეს, ისე. სუნთქვას ვიკავებ და დარწმუნებული ვარ, გავარტყამ.

„ცეცხლიიი!"

ტანკს ზუსტად კოშკურაში მოხვდა.

მაგარი განცდაა. ვხვდები, ომის დროს მტრის ტანკს რომ ააფეთქებ, რა გრძნობაც იქნება. დაახლოებით უკვე მესმის პროფესიონალი ჯარისკაცების განცდა, თუ რატომ იღებენ სიამოვნებას ბრძოლის დროს.

ჩათვლების დროს 3-დან 1 ჭურვის გარტყმაც საკმარისია. მე 2 გავარტყი. მომწონს ჩემი შედეგი.

ამბობენ, იმ აჭარელმა რეზერვისტმაც ისროლაო. ერთ-ერთმა სერჟანტმა დამოძღვრა და გაუბედავს.

***თემურ იობაშვილი***

(დასასრული შემდეგ ნომერში)


რეზერვისტები შეტევის ელემენტებს ამუშავებენ

გამოყენებულია ფოტოსურათები თავდაცვის სამინისტროს საიტიდან



# ხევსურეთში ჩამოვარდნილი ქართული შვეულმფრენი

ნებისმიერ ქვეყანაში სამხედრო-საჰაერო ძალებში საფრენი აპარატების ექსპლუატაციისას ინციდენტები ხდება, მათ შორის საავიაციო კატასტროფებიც. ამისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ პრევენციული ზომებით მათი მინიმუმამდე დაყვანა სავსებით რეალურია.

ათიოდე დღის წინ საქართველოში სამხედრო-საჰაერო ძალების საფრენი აპარატების მონაწილეობით კიდევ ერთი და უკვე მერამდენე საავიაციო შემთხვევა მოხდა, — 6 სექტემბერს ხევსურეთში სავარაუდოდ სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი Ми-8T-ს ტიპის სამხედრო სატრანსპორტო შვეულმფრენი ჩამოვარდა, საბორტე ნომრით „48“. საბედნიეროდ, ბორტზე მყოფ პირთაგან არავინ დაღუპულა, მაგრამ ქვეყნის სამხედრო საავიაციო პარკს კიდევ ერთი, არასაბრძოლო მიზეზით დაკარგული შვეულმფრენი გამოაკლდა.

ხევსურეთში შვეულმფრენი ვიდეოგადაღებებს აწარმოებდა. არსებული ინფორმაციით, დაბალ სიმაღლეზე ფრენისას, ქარის მიმართულების მკვეთრი ცვლილების გამო, მფრინავმა ვერ შეძლო შვეულმფრენით მართვის სახელურის დამორჩილება. ბორტზე ეკიპაჟის სამი წევრი და საქართველოსა და უცხოელი მოქალაქეებისგან შემდგარი რვაკაციანი გადამღები ჯგუფი იმყოფებოდა. ყველა მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო და საავადმყოფოდან რამდენიმე საათში გაწერეს.

სხვათა შორის, ქართულ სამხედრო ავიაციაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ოფიციალური ვერსიით შვეულმფრენის ჩამოვარდნის მიზეზი ქარის მიმართულების უეცარი ცვლილებაა. მსგავსი რამ 2007 წლის 12 თებერვალს ქუთაისში, ავტოქარხნის აეროდრომზე მოხდა. მაშინ დაჯდომისას Ми-8T-ს ტიპის შვეულმფრენი ჩამოვარდა, საბორტე ნომრით „43“. მის ბორტზე ეკიპაჟის 3 წევრი და 14 მგზავრი იყვნენ.

შვეულმფრენის დაჯდომისას იქვე რამდენიმე ადამიანი იყო, რომლებიც ამ ყველაფერს მობილური ტელეფონით იღებდნენ. ფირზე ჩანს, რომ 7-8 მ სიმაღლეზე „ჩამოკიდებულმა“ შვეულმფრენმა უმართავი ბრუნვა დაიწყო, მიწაზე დაეცა და მარჯვენა ბორტზე გადაბრუნდა. ბორტზე მყოფი 17 კაცისგან მძიმედ არავინ დაშავებულა. გადაყირავებისას, როცა მზიდი ხრახნი მიწას წამოედო, ნიჩბები იმწამსვე დაილეწა.

ჩამოვარდნისას „43“-ე ბორტი მარჯვნივ გადაყირავდა და საწვავის ავზი დაუზიანდა. ბორტზე ხანძარი მხოლოდ იმიტომ არ გაჩნდა, რომ ჩამოვარდნისას შვეულმფრენის ორივე ძრავა შუაზე გადატყდა და გაჩერდა. არადა, ჩამოვარდნილი შვეულმფრენი საწვავის გუბეში იწვა. რა თქმა უნდა, მის აღდგენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ეს შვეულმფრენი პირველად 1989 წელს ჩამოვარდა. მაშინ ის სამოქალაქო ავიაციის ცალკეულ საშვეულმფრენო ესკადრილიას ეკუთვნოდა. გუდაურში მომხდარ ინციდენტს ბორტტექნიკოსის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო აპარატის აღდგენა მოხერხდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ შვეულმფრენი ავიაკომპანია „აისის“ ნიშნით დაფრინავდა, აჭარაში მოხვდა და ასლან აბაშიძის წასვლამდე ბათუმის აეროპორტში ბაზირებდა.

2004 წელს შვეულმფრენი თბილისში ჩამოიყვანეს და „თბილავიამშენში“ კაპიტალურად გარემონტების შემდეგ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში ჩარიცხეს.

კიდევ ერთი საავიაციო შემთხვევა გასული წლის აგვისტოში მოხდა. მაშინ სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი Ми-8MTB-1, საბორტე ნომრით „17“, დაბალ სიმაღლეზე ფრენისას მცხეთის მახლობლად სავარაუდოდ მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის სადენებს წამოედო.

შვეულმფრენი სადენს ცხვირით, კაბინის დამინვის ქვედა რიგით დაეჯახა, ხოლო გაგლეჯილმა ფოლადის სადენმა აპარატის კუდის ძელი თავიდან ბოლომდე გაჭრა.

მომხდარის შემდეგ ეკიპაჟმა ფრენა გააგრძელა და მიღებული დაზიანებები მხოლოდ ალექსეევკის ბაზაში დაჯდომის შემდეგ ნახა. შეიძლება ითქვას, შვეულმფრენი და ეკიპაჟი ბეწვზე გადარჩა. თუნდაც იმიტომ, რომ „17“ ბორტი MTB-1 მოდიფიკაციისაა. ეს რომ საბაზო Ми-8 ან მოდიფიკაცია Ми-8T ყოფილიყო, რომელსაც კუდის ხრახნი მარჯვენა მხარეს აქვს, მბრუნავი ხრახნი დიდი ალბათობით გაგლეჯილ სადენს შეითრევდა და შედეგიც სავალალო იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიმინალური დანაშაულები აფხაზეთის ომში

## ინტერვიუ სამხედრო სასამართლოს პირველ მოსამართლესთან



აფხაზეთის ომის პერიოდში, სოხუმში, სამხედრო საქალაქო სასამართლო შეიქმნა და მას ცნობილი იურისტი გიორგი ქოიავა თავმჯდომარეობდა. ბატონ გიორგისა და მის კოლეგებს ურთულეს პირობებში, ტყვიების ზუზუნში უწევდათ სამხედრო მოსამსახურეების საქმეების განხილვა და განაჩენის გამოტანა. სოხუმის დაცემის შემდეგ აფხაზეთის სამხედრო სასამართლომ ფუნქციონირება თბილისში გააგრძელა. 1997 წელს კი საქართველოში ყველა სამხედრო სასამართლო გაუქმდა. გიორგი ქოიავა მას შემდეგ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გახლდათ. ამჟამად ადვოკატად მუშაობს. თავის მშობლიურ კუთხეზე საუბარი ყოველთვის უჭირს, როცა იქ გატარებულ წლებს იხსენებს, თვალები ცრემლით ევსება. არ მალავს, რომ ხშირად ესიზმრება იქაურობა და ძალიან ენატრება სახლი, სადაც გაიზარდა და ცხოვრობდა. რა პირობებში უწევდა სამხედრო საქალაქო სასამართლოს პირველ მოსამართლეს მუშაობა, რა დანაშაულებს სჩადიოდნენ ომის დროს სამხედროები, როგორ ისჯებოდნენ ისინი, ამ და სხვა საინტერესო ამბებს მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

**გიორგი ქოიავა**, იურისტი:

— 1992 წლის 14 აგვისტოს სოხუმში ქართული საჯარისო ნაწილები შევიდნენ. ზოგ ჯარისკაცს კედები ეცვა, ზოგს — ბოტასი, სამხედრო ფორმაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მაშინ საქართველოს ძალიან უჭირდა, სამოქალაქო ომი ახალი დამთავრებული იყო, ქვეყანაში სახელმწიფო საბჭო მოქმედებდა და ლეგიტიმური ხელისუფლება აღარ არსებობდა. აფხაზები სწორედ ამ დროს გათავხედდნენ. ისინი რუსების მიერ იყვნენ პროვოცირებულნი. მაშინ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულ ფრაქციაში იურიდიულ საკითხებს ვკურირებდი და იმ პერიოდის ხელისუფლებასთან ახლო ურთიერთობა მქონდა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გადაწყვეტილებებს კონსტიტუციის უხეში დარღვევით იღებდა. როდესაც გამსახურდია იყო პრეზიდენტი, ბრძანებულებას წერდა იმ უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებაზე და ემორჩილებოდნენ. მაგრამ სამოქალაქო ომის შემდეგ აღარ ცნობდნენ სამხედრო საბჭოს. ყველამ იცის, რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილები რომ გვეომებოდნენ. ბევრი აფხაზი მეგობარი, მეზობელი და თანამშრომელი მყავდა. სამ ადგილას ვმუშაობდი. მეუბნებოდნენ, ჩვენ იმას მივაღწევთ, რომ თქვენ პირველები გვესვრითო. რკინიგზა, ტვირთები იძარცვებოდა და დაცვა იყო საჭირო. მაშინ აფხაზეთში 500 მილიციელი რომ შეეყვანათ, დარწმუნებული ვარ, სიტუაციას კონტროლზე აიყვანდნენ. შეიძლება მილიციელებს საჭმელი მოეპარათ, მაგრამ ვაგონებს არ გაძარცვავდნენ, ქალებს არ გააუპატიურებდნენ, კაცს არ მოკლავდნენ და ყველაფერი წესრიგში იქნებოდა.

**— ამ პრობლემის მოსაგვარებლად აფხაზეთში რა ძალები შეიყვანეს?**

— სხვადასხვა გასამხედროებული დანაყოფები. ძალიან ცუდი ამბები მოხდა, მასიურად დაიწყო ძარცვა. ჯერ აფხაზებისა და სომხების სახლების ძარცვა გახშირდა, მერე ქართველებსაც დაერივნენ. ბარჟებზე ადგილები აღარ იყო. ნაცვლად იმისა, დაჭრილები წამოეყვანათ, ნაძარცვი ქონება მოჰქონდათ. ყველაფერს ეზიდებოდნენ. ამ დროს კი დახოცილები ქუჩაში ეყარა.

**— სამხედრო სასამართლოს შექმნა ამიტომ გადაწყდა?**

— 1992 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" განცხადება გამოქვეყნდა, რომ 23-ე ბრიგადასთან შეიქმნა საველე სასამართლო. ბრიგადის მეთაური პაატა დათუაშვილი იყო.

სამხედრო სასამართლოების გაუქმების შემდეგ სამხედროების საქმეებს სამოქალაქო სასამართლოები განიხილავენ



ეროვნული ბიბლიოთეკა

**სასამართლოს სამხედროებმა ტანკებითა და „ბეტეერებით“ ალყა შემოარტყეს და მათი ბატალიონის წევრის გათავისუფლებას მოითხოვდნენ...**



არადა, ამ სასამართლოს შექმნას სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა. ასეთი რამ სტალინის დროსაც კი არ ყოფილა, მხოლოდ მეფის რუსეთში იყო. მაშინ აფხაზეთში საველე სასამართლომ ორ საქმეზე უმძიმესი განაჩენი გამოიტანა, ორი ახალგაზრდა დახვრიტა. ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე მიხვდა, რომ სავალდებულო იყო სამართლებრივი ორგანოს შექმნა და სამხედრო სასამართლო შეიქმნა.

**— ანუ საველე სასამართლოს უკანონო დახვრეტებმა გამოიწვია სამხედრო სასამართლოს შექმნა?**

— ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ეს რომ კატალიზატორი იყო და ამან დააჩქარა, ორი აზრი არ არის. ის ბიჭები საშინელი წამებით დახვრიტეს. დეტალურად ვიცი, რაც მოხდა, მაგრამ იმ საქმეების გარჩევა დღეს ნამდვილად არ მსურს (ამ საქმეს შეგიძლიათ დაწვრილებით გაეცნოთ „არსენალის“ 2011 წლის 21 იანვრის ნომერში — რედ.). ფაქტია, ეს დანაშაული იყო, მაგრამ ამისთვის არავინ დასჯილა. რატომ არ აღმოჩნდა მაშინ ისეთი ვინმე, რომელიც ამ დანაშაულებს შეაჩერებდა, არ ვიცი. ცხადია, ორი კაცის უკანონო დახვრეტამ ხელისუფლებას უბიძგა, რომ კანონი მიეღო და სასწრაფოდ სამხედრო სასამართლოს დაეწყო ფუნქციონირება. საქართველოს მასშტაბით პირველი სამხედრო სასამართლო აფხაზეთში შეიქმნა და პირველი სამხედრო მოსამართლე და სასამართლოს თავმჯდომარე მე ვიყავი. 1992 წლის 19 დეკემბერს შევარდნაძის ბრძანებულებით დავინიშნე. თავდაპირველად სამი მოსამართლე ვიყავით. შემდეგ სტრუქტურა შეიცვალა და რიცხვობრივად ყველაზე დიდი სასამართლო ჩვენი იყო, 7 მოსამართლისგან შედგებოდა. ანალოგიური სასამართლოები შეიქმნა რეგიონებშიც. ეს ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებდა, საქმის განხილვაში სამი მოსამართლე მონაწილეობდა. წლების შემდეგ, როცა საქართველოში საოლქო სასამართლოები შეიქმნა, ეს მოდელი იქაც დაინერგა, იქაც სამკაციანი კოლეგია იხილავდა საქმეს.

**— მხოლოდ სამხედრო პირების საქმეებს განიხილავდით? იქნებ გაიხსენოთ პირველი პროცესი?**

— პირველად მკვლელობის საქმე განვიხილეთ. განსასჯელი აუცილებლად სამხედრო მოსამსახურე უნდა ყოფილიყო. თუ სამხედრო პირი არ იყო, ჩვენთან ასეთი საქმე ვერ მოხვდებოდა, მაგრამ დანაშაული ჯგუფურად თუ იყო ჩადენილი და მათ შორის ერთი პირი მაინც იყო სამხედრო, ჩვენ განვიხილავდით. ეს დათქმა პირდაპირ კანონში იდო. ხშირად განსასჯელებს შორის ისეთებიც იყვნენ, ვისაც სამხედრო საქმესთან კავშირი არ ჰქონდა. რაც შეეხება მხედრიონელებს, მათი ჩადენილი დანაშაულები ჩვენი განსჯადი არ იყო.

**— რატომ, ის ხომ შეიარაღებული ფორმირება იყო, მხედრიონელები არ გაგისამართლებიათ?**

— თუ სამხედრო მოსამსახურესთან ჰქონდათ დანაშაული ჩადენილი, მაშინ ვასამართლებდით. „მხედრიონი“ ოფიციალურ სტრუქტურას არ წარმოადგენდა. ეროვნული გვარდია თავდაცვის სამინისტროში შედიოდა, ასევე უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა და გასამხედროებული სახელმწიფო დაცვის წევრთა ჩადენილი დანაშაულები იყო ჩვენი განსჯადი. განსახილველ საქმეებს სასამართლოში ძირითადად სამხედრო პროკურატურა აგზავნიდა. სამხედრო პროკურატურა სამხედრო სასამართლოზე ადრე შეიქმნა. აგრეთვე გენერალურ პროკურორს შეეძლო გადმოეგზავნა საქმე. იმ პერიოდში მომიწია მოსამართლედ მუშაობამ, როდესაც გენერალური პროკურორი იურისტი, ალექსანდრე შუშანაშვილი იყო, ხოლო მისი მოადგილე გივი ეხვაია. აფხაზეთში პირველი სამხედრო პროკურორი მერაბ კვირკველია გახლდათ. სამწუხაროდ, დაიღუპა. ყაჩაღი მხედრიონელიც გავასამართლეთ თანამონაწილესთან ერთად. იყვნენ ისეთებიც, ე.წ შაკალები, რომლებიც დამნაშავეებს ინფორმაციას აწვდიდნენ, რომელი ბინა, სახლი დაეყაჩაღებინათ. სამწუხაროდ, არაერთი ქართველის ბინა გაძარცვეს.

**— ომის ქარცეცხლში სასამართლო პროცესების ჩატარება ადვილი არ იქნებოდა. რა პრობლემებს აწყდებოდით?**

— იბომბებოდა ქალაქები. გაუთავებლად ტყვიის ზუზუნი ისმოდა, სამუშაო პირობები არ გვქონდა. არც მანქანა იყო და არც საწვავი პატიმრების გადასაყვანად, ქაღალდიც კი არ გვქონდა; სრულიად დაუცველები ვიყავით. გამომძიებლებსაც ურთულეს პირობებში უწევდათ მუშაობა. **სამხედრო ნაწილში კაცი დაჭრეს. საქმე სხეულის განზრახ დაზიანების მუხლით აღიძრა და ნაწილში გამომძიებელი მივიდა სამხედროების დასაკითხად. გამომძიებელს ავტომატი მიაბჯინეს და შესაშინებლად ფეხებში და თავთან გაუთავებლად ისროდნენ. სიკვდილს ჩახედა თვალებში, მაგრამ არ გამოიქცა, ვაჟკაცია და ის საქმე ბოლომდე გამოიძია.**

**— აფხაზ სამხედროებსაც ასამართლებდით?**

**— არც ერთი აფხაზი სამხედრო არ გავისამართლებია, არა იმიტომ, რომ აფხაზს ვინდობდით, უბრალოდ, მათი საქმეები ჩვენთან არ მოდიოდა. ანალოგიური სასამართლო მათაც ჰქონდათ და მისი თავმჯდომარე ნაჩაჩ-ოღლი იყო, ვითომ აფხაზი, სინამდვილეში თურქი. მას პირადად ვიცნობდი.**

**— დაკავებულებს ძირითადად რა ბრალდებით ასამართლებდით?**

— დანაშაულები ისეთივე იყო, როგორიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში: **დეზერტირობა, იარაღთან დაუდევარი მოპყრობა, მაროდიორობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ქურდობა, მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა.** ქართველებს ვასამართლებდით და ობიექტური განაჩენიც გამოგვქონდა. ერთხელ ბადრაგმა დრანდის ციხიდან პატიმარი მოიყვანა, მკვლელობის მცდელობაში ედებოდა ბრალი. **საქმეს განვიხილავდით და სოხუმის ინტენსიური დაბომბვაც დაიწყო. ჭურვი სასამართლოს შენობასთანაც ახლოს დავარდა, საშინელი ნგრევის ხმა გაისმა. ინსტინქტურად ორი მოსამართლე წამოხტა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბადრაგი არ განძრეულა, პატიმარს მტკიცედ იცავდნენ.** ასეთ საშინელ პირობებში ვმუშაობდით, სიცოცხლის რისკის ფასად.

**— პროცესზე მოწმეების მოყვანა არ გიჭირდათ?**

— ძნელი იყო. ბევრს საქმის განხილვის დაწყებამდე ქალაქი დატოვებული ჰქონდა და ჩვენების მისაცემად უკან, გაგანია ომში ვინ დაბრუნდებოდა. ტელევიზიით ვაცხადებდით მოწმეების გვარებს და ვთხოვდით სასამართლოში მოსულიყვნენ. ზოგიერთი მოდიოდა. ერთ საქმეზე კურიერი გავგზავნეთ, მოწმისთვის სახლში შეტყობინება რომ მიეტანა და ძალიან ცუდად იყო, რომ დაბრუნდა, იმ მისამართზე სახლი მიწასთან გასწორებული დახვდა. რაც ჩვენ იქ გადავიტანეთ, ამის გადმოცემა შეუძლებელია, მართლა საშინელი დღეები იყო. ქალაქში ტრანსპორტი არ მოძრაობდა. მანქანა მემსახურებოდა და ამ მანქანით ყველა მოსამართლე სახლამდე მიგვყავდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენ მართლმსაჯულებას კანონის მთელი დაცვით ვახორციელებდით.

**— ასეთ ქაოსში, ალბათ, ინციდენტებიც ხდებოდა? ხომ არ ცდილობდნენ პროცესიდან დამნაშავეების დახსნას შეიარაღებული თანამებრძოლები?**

— იყო ასეთი ფაქტებიც. **ალმოსავლეთ საქართველოდან ერთ სამხედრო პირს ვასამართლებდით მკვლელობის მცდელობის ბრალდებით. აფხაზეთში დისლოცირებული ცნობილი სამხედრო შენაერთის წევრი იყო. მოსამართლეები შეშფოთებული დამხვდნენ. სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორია მთლიანად შეიარაღებული სამხედროებით და სამხედრო ტექნიკით, ტანკებითა და „ბეტეერებით“ იყო გარშემორტყმული. ისინი ბატალიონის წევრის გათავისუფლებას ითხოვდნენ.** დაცვა გვყავდა, მაგრამ ამდენ შეიარაღებულს როგორ გაუმკლავდებოდა. დაცვის წევრს ვთხოვე, მეთაური შემოეყვანა სასაუბროდ და მისი ულტიმატუმი მოვისმინე. საუბრის ბოლოს მითხრა, გვინდა სასამართლოს დავესწროთო. შემოდით, მაგრამ სამხედრო ტექნიკა აქედან გაიყვანეთ და ყველა სამხედრო პირი შენობაში უიარაღოდ შემოვიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი არ შედგება-მეთქი. ამასობაში საქმის კურსში ჩავაყენეთ სამხედრო პროკურატურა. სამხედრო პოლიციას გამოვუშვებთო, მაგრამ მანამდე დიალოგმა გაჭრა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამდენი შეიარაღებული პირი დაგვემორჩილა, ტექნიკა გაიყვანეს და სიტუაცია განიმუხტა. სამხედრო მოსამსახურეებსაც ესმოდათ კანონის არსი. ტყუილი იქნება, რომ ვთქვა, საქმის განხილვაში გვეხმარებოდნენ-მეთქი, მაგრამ გაგებით ეკიდებოდნენ ჩვენს საქმიანობას. მერე პატიმარიც მოიყვანა ბადრაგმა და პროცესიც ჩატარდა. არადა, სერიოზული საშიშროების წინაშე ვიდექით, თავისუფლად შეეძლოთ პატიმარი გაეტაცათ. მოსამართლემ საკმაოდ მკაცრი სასჯელი გამოიტანა. როგორც მახსოვს, 12 წელი მიუსაჯა, მაგრამ არაფერი მომხდარა.

ზედამხედველობას იუსტიციის სამინისტრო და მინისტრი თედო ნინიძე გვიწევდა. ომის შემდეგ ყველა სამხედრო მოსამართლისა და მათ შორის ჩემს წინააღმდეგ აფხაზეთში სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

**— მიზეზი რა იყო?**

— აფხაზებს ჩვენ სამხედრო დამნაშავეებად მივაჩნდით. ისინი ქართულ არმიას ოკუპანტად მიიჩნევდნენ, ხოლო ქართულ სასამართლოს — ოკუპანტების სასამართლოდ. სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება აფხაზეთი საქართველოს გარეშე იყოს. ვერც ერთ არაქართულ სალოცავს, არაქართულ ისტორიულ ძეგლს იქ ვერ იპოვით, ეს არაფერზე მეტყველებს?

**თეა ხურცილავა**



(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლავდიუსი

## ძვ.წ. 10–ახ.წ. 54



**იმპერატორმა კლავდიუსმა რომის მმართველობა ჩრდილოეთ აფრიკამდე გააფართოვა, აღმოსავლეთში იმპერია გააერთიანა და ბრიტანია (თავდაპირველად, ბრიტანეთის კუნძულების რომაული სახელწოდება, მოგვიანებით კი მხოლოდ ერთის — დიდი ბრიტანეთისა) რომის კოლონიად აქცია.**

### ქრონოლოგია

*ძვ. წ. 10 დაიბადა გალიაში.

* ახ. წ. 37 კონსულია ბიძაშვილის, კალიგულას მმართველობისას.

* 41 გახდა იმპერატორი.

* 41-41 დაიპყრო მავრეტანია (ისტორიული ოლქი ჩრდ. აფრიკაში).

* 43 შეიჭრა ბრიტანიაში; დაიმორჩილა ლიკია.

* 44 იუდეა პროვინციად გადააქცია.

* 46 დაიპყრო თრაკია.

* 47 ჩაახშო იცენთა ამბოხება.

* 49 დაიპყრო ჩრდილოეთი პალესტინა.

* 51 გერმანიაში კოლონიები დაარსა.

* 52 სომხეთში პრორომაული ხელისუფლება დაემხო.

* 54 გარდაიცვალა 13 ოქტომბერს.

### უბედური ბავშვობა

დაიბადა გალიაში, ლუგდუნუმში (თანამედროვე ლიონში) ძვ. წ. 10 წლის 1-ელ აგვისტოს. ახალშობილს ტიბერიუს კლავდიუს ნერონ გერმანიკუსი დაარქვეს. მამამისი, ნერონ კლავდიუს დრუზუსი, სარდალი იყო; ის ვაჟის შეძენიდან ერთ წელში გარდაიცვალა. კლავდიუსი იმპერატორ ტიბერიუსის ძმისწული იყო, ხოლო შვილიშვილი მარკუს ანტონიუსისა და ლივია დრუზილასი, იმპერატორ ავგუსტუსის ცოლისა. უშნო, ავადმყოფი და უგერგილო ბავშვი ბედის ანაბარა მიაგდეს. უმეტეს დროს წიგნების კითხვასა და ისტორიის წერაში ატარებდა. სულ 30 წიგნი შეადგინა.

კლავდიუსის წინაპრებიდან წარმატებისათვის ბრძოლას არა ერთი და ორი შესწირვია, მაგრამ მას ბედმა გაუღიმა, როდესაც 37 წლის გაზაფხულზე მისი ბიძაშვილი გაიუს ცეზარ გერმანიკუსი, ანუ კალიგულა, იმპერატორი გახდა. 1-ელ ივლისს კლავდიუსი კონსულად დაინიშნა. 46 წლისას სახელმწიფო თანამდებობა პირველად ერგო. 41 წლის 24 იანვარს, კალიგულას მკვლელობის შემდეგ, თავის გვარში ერთადერთი მამაკაცი იყო და პრეტორიულმა გვარდიამ იმპერატორად დასვა. სენატს ეს არ მოსწონებია, მაგრამ კლავდიუსმა სავარძელი გვარდიის დახმარებით შეინარჩუნა და სახელად ტიბერიუს კლავდიუს ცეზარ ავგუსტუს გერმანიკუსი დაირქვა, თუმცა ცეზარის, ანუ კეისრის, დარქმევის უფლება არ ჰქონდა.

კლავდიუსი ირწმუნებოდა, რომ ვერც ერთი მომავალი იმპერატორი ჯარის გარეშე ვერ შეძლებდა მართვას.

კლავდიუსმა ბრიტანიაში შეჭრისთვის მზადება დაიწყო. ეს ავგუსტუსის შემდეგ პირველი დიდი რომაული ექსპანსია იქნებოდა.

43 წელს ლეგიონები ბრიტანიაში გადასხა. ტემზის გადალახვითა და კამულოდუნუმის (ახლანდელი კოლჩესტერი) აღებით მან სამხედრო პოზიცია გაიმყარა. კამულოდუნუმი ახალი პროვინციის დედაქალაქი გახდა. კლავდიუსმა ვეტერანთა კოლონია დააფუძნა და დარჩენილი ბრიტანიის დაპყრობაც მოინდომა ქვეყნის ვასალურ სამეფოებად დაშლით. მას დრუიდთა დამორჩილებაც ეწადა, რომლებიც როგორც გალიაში, ისე ბრიტანიაში, ანტირომანულ ძალად ესახებოდა. პოლიტიკის ოსტატმა კლავდიუსმა თავის ვაჟს ბრიტანიკუსი დაარქვა, რათა კიდევ უფრო გაემყარებინა იდეა თავისი მხედართმთავრობისა, რომლის მეშვეობითაც რომის იმპერიის საზღვრები ახალი მიწებით გააფართოვა.

38 წელს მან ვალერია მესალინა შეირთო ცოლად, თავაშვებული, გარყვნილი ქალი. 48 წელს ჭორი გავრცელდა, თითქოს მესალინამ მალულად იქორწინა თავის საყვარელთან, გაიუს სილიუსთან. ეს კლავდიუსისთვის პოლიტიკურად მეტად სახიფათო იყო, ამიტომაც ორივე სიკვდილით დასაჯა. თავად კი ცოლად შეირთო თავისი ნათესავი აგრიპინა. ქალს უკვე ჰყავდა ვაჟი დომენტიუსი პირველი ქორწინებიდან და კლავდიუსმა იგი იშვილა. მას მომავალში ნერონს უწოდებენ, უფრო ვრცლად კი ასე ჟღერდა მისი სახელი: კლავდიუს დრუზუს გერმანიკუს კეისარი.

### ახალი პროვინციები

კლავდიუსის მმართველობისას მავრეტანიის, მცირე აზიაში ლიკიისა და თრაკიის, აგრეთვე ნორიკუმის (ცენტრალური ავსტრია და ბავარიის ნაწილი) სამეფოები რომის პროვინციებად იქცა, მაგრამ სტაბილურ ვასალურ სამეფოებს, მაგალითად, ბოსფორის სამეფოსა და კილიკიას, მეტად არ შეხებია. ჰეროდე აგრიპა I-ს კალიგულამ გალილეა გადაულოცა იუდეასა და სარმატიაში კანონების განუხრელად დაცვისთვის, მაგრამ როდესაც იერუსალიმის კედლები გააფართოვა და 12 მეფე მიიწვია ტიბერიაში, კლავდიუსი სიმწრით

გაცოფდა. ჰეროდე 44 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი ყოფილი სამეფო ისევ რომის საკუთრება გახდა.

კლავდიუსს ღვიძლ შვილ ბრიტანიკუსს გერი ნერონი ერჩია. მის ცოლსაც, ამბიციურ აგრიპინას, შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა. ნერონი 16 წლის იყო, როცა კლავდიუსი ავად გახდა. ვარაუდობენ, რომ იმპერატორი დედამისის წაქეზებით ნერონმა მოწამლა. პირველად გადარჩა, მაგრამ მალე მეორედ მოწამლეს. კლავდიუსმა 54 წლის 10 ოქტომბერს დალია სული. იმავე დღეს ჭაბუკი ნერონი იმპერატორად გამოცხადდა. რაკი ჯარიც კარგად იცნობდა და ხალხიც, ტახტზე ასვლისას დაბრკოლება არ შეჰქმნია. ბრიტანიკუსი ერთი წლის შემდეგ მოწამლეს. ნერონმა კლავდიუსის ქალიშვილი ოქტავია შეირთო ცოლად.




## კარიერის უმთავრესი მომენტები

* გადმოცემის თანახმად, კალიგულას მკვლელობის შემდეგ ერთმა ჯარისკაცმა ფარდის უკან აცახცახებული კლავდიუსი იპოვა, მის წინ მუხლი მოიყარა, იმპერატორი უწოდა და თანამებრძოლებს წაუყვანა. ასე, შემთხვევის წყალობით გახდა კლავდიუსი იმპერატორი, თუმც ვარაუდობენ, რომ კალიგულას სიკვდილში მაინც უნდა ერიოს ხელი. ცბიერი პოლიტიკოსი იყო და სენატში მოწინააღმდეგების უმეტესობა თვითმკვლელობამდე მიიყვანა.



რომაელ ლეგიონერთა ვარჯიში

* კეისრის სახელის დარქმევით, რისი უფლებაც არ ჰქონდა, კლავდიუსმა დაასრულა ამ სახელის ოჯახური გადაცემის ტრადიცია და იგი ტიტულად აქცია (ამ სიტყვიდან იღებს სათავეს კაიზერი და ცარი). კლავდიუსმა ჯარის უპირატესობანიც დაადგინა, — ვერც ერთი მომავალი იმპერატორი ჯარის მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებდა იმპერიის მართვას.

* კლავდიუსი ბრიტანიაზე გალაშქრებაში თვითონაც მონაწილეობდა 43 წლის ზაფხულის ბოლოს. 44 წელს, კამულოდუნუმში აღლუმის შემდეგ, რომში ტრიუმფით დაბრუნდა და სამუდამოდ განიმტკიცა პოზიცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯავშანჟილეტების რისხვა ბელგიურად

## ბგერაზე ორჯერ უფრო სწრაფი პისტოლეტის ტყვია, რომელიც 150 მ-ში კევლარის ჩაფხუტს ხვრეტს

მე-20 საუკუნის ბოლოს უმეტესი ქვეყნების არმიების პირადი შემადგენლობა ჯავშანჟილეტებითა და უფრო გამძლე ჩაფხუტებით აღიჭურვა, რამაც შეამცირა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დაზიანების ალბათობა.

განსაკუთრებით არაეფექტური გახდა პისტოლეტები და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები, რომლებიც ძირითადად 9X19 მმ Luger/ Parabellum-ის ტიპის ვაზნებს მოიხმარდნენ.

მაგალითად, აშშ-ის შეიარაღებაში არსებული NATO-ს სტანდარტის 9X19 მმ კალიბრის პატრონის M882-ის მასა 7,26 გ, ტყვიის საწყისი სიჩქარე 385 მ/წმ, ხოლო საწყისი ენერგია კი 538 ჯოული იყო.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ბელგიის წამყვანმა საიარაღო კომპანია Fabrique Nattionale-მ (FN) გადაწყვიტა შეექმნა პისტოლეტის ახალი ვაზნა, რომლის ტყვიის სროლის სიზუსტე, სიშორე და ჯავშანგამტანობა „ლუგერისაზე“ ბევრად უკეთესი იქნებოდა და ამასთან გასროლისას ნაკლები უკუცემის ძალა ექნებოდა.

გასული სა-



5.7 მმ კალიბრის ვაზნა P90 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის გამჭვირვალე მჭიდიდან გამოსვლისას 90⁰-იანი მოტრიალების შემდეგ

**ჩვენი დოსიე:** 5,7X28 მმ კალიბრის SS190 ტიპის ვაზნის ჯავშანგამტარი ტყვია 2,02 გ-ს იწონის. ტყვია წაწვეტებულთავიანია და მისი გულა შედგება ფოლადისა (წინა ნაწილი) და ალუმინისგან (უკანა ნაწილი). ტყვიის საწყისი სიჩქარე 650 მ/წმ (პისტოლეტის სროლისას) ან 715 მ/წმ-ია (პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის სროლისას). დამზადებულია შემდეგი ტიპის ვაზნებიც: SS192 სასწავლო-სავარჯიშო; SB193 ბგერამდელი სიჩქარის ტყვიითა და L191 ტრასირებადი ტყვიით.



უკუნის 90-იანი წლების შუახანებში ბელგიელმა ინჟინრებმა შექმნეს ვაზნა SS190, რომელიც უჩვეულო კალიბრით — 5,7 მმ გამოირჩეოდა.

მისი შემქმნელების მტკიცებით SS190 ტიპის ვაზნის ტყვია პისტოლეტ-ტყვიამფრქვევიდან სროლისას 150 მ-ში კევლარის 48 შრეს ხვრეტს, რაც კევლარის ან რკინის ჩაფხუტის გახვრეტის ტოლფასია.

ასეთ შედეგს ბელგიელებმა რამდენიმე ფაქტორის გამო მიაღწიეს.

პირველი — SS190 ტიპის ვაზნის 2,02 გ მასის ტყვიის გულის წინა ნაწი-




ამერიკული ბაზრისთვის განკუთვნილი Five-SeveN-ი

ლი ფოლადისაა, უკანა კი ალუმინის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ინდივიდუალური თავდაცვის (ჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების) გახვრეტის ალბათობას.

მეორე — 5,7 მმ კალიბრის ტყვიის საწყისი სიჩქარე პისტოლეტის გასროლის 650 მ/წმ-ს, ხოლო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის გასროლისას კი 715 მ/წმ-ს აღწევს. ტყვიის საწყისი ენერგია ლულიდან გამოსვლისას კი შესაბამისად 427 და 516 ჯოულია.

გამოდის, 9X19 მმ „ლუგერის“ ტყვიის საწყისი სიჩქარე ბელგიურზე 265 მ/წმ-ით ნაკლებია, ანუ ბელგიური SS190-ის ორგრამიანი ტყვია ლულიდან გამოსვლის ბგერაზე ორჯერ მეტ სიჩქარეს ავითარებს, რაც პისტოლეტის ტყვიებისთვის ნაკლებად დამახასიათებელია და უფრო ჩვეულია შაშხანებისა და ავტომატების ტყვიებისთვის.

**მებრძოლებისთვის მომგებიანი იყო პისტოლეტისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისთვის ერთი და იმავე ტიპის ვაზნის გამოყენება**

ბელგიური ტყვიის დიდი სიჩქარე არაეფექტურს ხდიდა მაყუჩების გამოყენებას, რადგან ამ უკანასკნელის მთავარი დანიშნულებაა ტყვიის საწყისი სიჩქარე ბგერის სიჩქარეზე ნაკლები გახადოს. თუკი პისტოლეტის გასროლილი ტყვიის სიჩქარე ძირითადად ბგერის სიჩქარეს ცოტათი აჭარბებს (300 მ/წმ-მდე), მისი 10-20 მ/წმ-ით შემცირება არსებული მაყუჩებისთვის არცთუ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

თუმცა, თუკი ტყვიის სიჩქარე ბგერის სიჩქარეს ორჯერ და უფრო მეტად აღემატება, მისი შემცირება (მით უმეტეს, პისტოლეტის მცირე ზომის მაყუჩებისთვის) შეუსრულებელი ამოცანაა.

ამიტომაც ბელგიელმა სპეციალისტებმა ძირითადი SS190 ტიპის ვაზნის ბაზაზე შექმნეს ვაზნა SB193, რომელშიც შემცირებული იყო დენთის რაოდენობა და შესაბამისად, ტყვიის საწყისი სიჩქარეც ბგერის სიჩქარეზე ნაკლები გახდა. ახალი ვაზნის გამოყენება მისაღები იყო მაყუჩიან პისტოლეტებში, მაგრამ სამაგიეროდ უნიკალურ 5,7 მმ-იანმა ტყვიამ დაკარგა ჯავშანჟილეტების რამდენიმე ათეული მეტრიდან გახვრეტის შესაძლებლობა.

SS190-ის ბაზაზე ასევე დამზადებულ იქნა ტრასირებადტყვიიანი ვაზნა L191 და SS192, რომელსაც თითბრის ექსპანსიური ტყვია ჰქონდა.

ახალი კალიბრის ვაზნის დამზადება ნახევარი საქმე იყო, რადგან ჯერ არ არსებობდა იარაღი, რომელიც მას გამოიყენებდა.






**ჩვენი დოსიე:** პისტოლეტი Five SeveN-ი უვაზნოდ 618 გ-ს იწონის. მჭიდში 5,7X28 მმ კალიბრის 20 ვაზნა ეტევა, რის შემდეგ პისტოლეტის მასა 760 გ-მდე იზრდება. პისტოლეტის საერთო სიგრძე 208 მმ-ია, ლულის სიგრძე კი 122,5 მმ.



P90-ის მინიატიურული კოპია

ბელგიელ მეიარაღეებს შეეძლოთ უკვე არსებული პისტოლეტები და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები გადაეკეთებინათ ახალ 5,7 მმ კალიბრზე, მაგრამ ისინი უფრო რთული გზით წავიდნენ.

FN-ის სპეციალისტებმა ნულიდან დააპროექტეს ახალი პისტოლეტი Five-SeveN-ი და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი P90.

პისტოლეტი Five-SeveN-ის ორი ვარიანტი მზადდება: ერთი სამხედროებისთვის, მეორე კი პოლიციისთვის, საარმიო პისტოლეტის საცემ-სასხლეტი მექანიზმი მხოლოდ ორმაგი მოქმედებისაა, ანუ ჩახმახის შეყენება სასხლეტის მოწევით შეიძლება.

მეორე პოლიციისთვის განკუთვნილი ვარიანტი Tactical-ი კი ერთმაგი მოქმედების საცემ-სასხლეტი მექანიზმით აღიჭურვება და ორივე მხარეს არაავტომატური ხელის დამცველი აქვს.

თავად ბელგიელი მეიარაღეები ასეთ დაყოფას იმით ხსნიან, რომ სამხედროსთვის პისტოლეტი ბოლო შანსია, ხოლო პოლიციელისთვის პისტოლეტი ძირითადი იარაღია და ერთმაგი მოქმედების საცემ-სასხლეტი მექანიზმი (რომლის დროსაც ჩახმახის შეყენება იარაღის გა-

**ბელგიური P90-ები პერუს, ბელგიის, აშშ-ის, დანიის, ტაილანდისა და საუდის არაბეთის სპეცდანიშნულების დანაყოფების შეიარაღებაშია**



დატენით ან თავად ჩახმახის ხელით შეყენებით ხდება) საჭიროებს სასხლეტზე თითის დაწოლის უფრო ნაკლებ ძალას, რაც თავის მხრივ ზრდის სროლის სიზუსტეს.

ბელგიური FN-ის მიერ 5,7 მმ კალიბრის პისტოლეტის ვაზნაზე შექმნილი P90 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი თავიდანვე გამოირჩეოდა ფანტასტიკური, ორიგინალური ფორმით.

შედარებით კომპაქტური, ნახევარი მეტრი სიგრძის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი განკუთვნილი იყო იმ სამხედროების თავდასაცავად, რომლებსაც შტატით არ ეკუთვნოდათ საიერიშო ავტომატური შაშხანები, მაგალითად, არტილერისტებსა და ჯავშანმანქანების მძღოლ-მექანიკოსებს.

Five-SeveN-ის ტიპის პისტოლეტისგან განსხვავებით (რომლის ლულის სიგრძე 122,5 მმ-ს შეადგენდა), P90 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ლულის სიგრძე 263 მმ-ს აღწევდა, რაც წაწვეტებულთავიან 5,7 მმ კალიბრის ჯავშანგამტან ტყვიებს 150-200 მ-ში კევლარის ჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების გახვრეტის საშუალებას აძლევდა.

ამას ტყვიის დიდი საწყისი სიჩქარე — 715 მ/წმ განაპირობებდა, რაც უფრო მეტი იყო რუსული ავტომატის — AKM-ის ნასროლი სტანდარტული 7,62 მმ ტყვიის სიჩქარეზე (710 მ/წმ).

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი P90 „ბულპაპის“ სქემით იყო დამზადებული, თუმცა მჭიდი სასხლეტის უკან კი არა, არამედ ლულის თავზე ჰქონდა დამონტაჟებული. გამჭვირვალე პლასტმასის მჭიდში 5,7 მმ კალიბრის 50 ვაზნა ეტეოდა. ოღონდ ვაზნები ლულის პერპენდიკულარულად იყო განთავსებული (რითაც გაიზარდა მჭიდის ტევადობა) და სალულეში მიწოდებამდე სპეციალური მექანიზმი ვაზნებს 90 გრადუსით აბრუნებდა.

მსროლელებისთვის, უპირველესად კი ცაციებისთვის რომ უფრო მოხერხებული ყოფილიყო, გადატენის სახელური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს ორივე მხარეს ჰქონდა დამონტაჟებული, ხოლო გასროლილი ვაზნების მასრები მარცხნივ ან მარჯვნივ კი არ განიტყორცნებოდა, არამედ ცეცხლის მართვის სახელურის ცარიელი შიგთავსის გავლით, ძირს.

ბელგიური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები P90-ები რიგი ქვეყნების არმიებისა და საპოლიციო დანაყოფების, მათ შორის ბელგიის, აშშ-ის, დანიის, ტაილანდის, საუდის არაბეთისა და პერუს შეიარაღებაშია.

რაც შეეხება პისტოლეტ Five-SeveN-ებს, ისინი ქართული სპეცსამსახურების არსენალშიც არის (მართალია, მცირე რაოდენობით), თუმცა პრობლემაა ძვირად ღირებული 5,7X28 მმ SS190 ტიპის ვაზნების საჭირო მარაგის დაგროვება.

***ირაკლი ალადაშვილი***

**ჩვენი დოსიე:** 5,7 მმ კალიბრის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი FN P90 უვაზნოდ 2,54 კგ-ს იწონის, 50-ვაზნიანი მჭიდით კი 3 კგ-ს. იარაღის საერთო სიგრძე 500 მმ-ია, ლულისა კი 263 მმ. სროლის ტემპი 900 გასროლა/წთ-ში შეადგენს, სროლის ეფექტური მანძილი 200 მ-ს აღწევს.

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევში გამოყენებულია თავისუფალ საკეტზე დაფუძნებული ავტომატიკის სქემა. სროლა წარმოებს დახურული საკეტიდან. იარაღში ჩამონტაჟებულია კოლიმატორული სამიზნე, რომლის ოპტიკურ ბადეზე გამოსახულია ლათინური ასო — T.






# FN Five SeveN

არსენალი

ISSN 1987 - 5061
9 771987 506007